


დიდება თავისუფლებას!

# ჩვენი დროშა

"NOTRE DRAPEAU"

დამაარსებელი – ნოე ჟორდანია

**ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.**

**Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie.**

K-912

№109



აგვისტო

1986 წ.

პარიზი.



PRESIDENT N. JORDANIA

1868 - 1953

# A MON PÉRE NOE JORDANIA

Viendra un jour où les poètes
De la Géorgie ressuscitée
Pourront enfin le coeur en fête
Ecrire et dire la vérité !
Alors les odes et les poèmes
Vont raconter tes xploits ,
Les joutes du chevalier moderne
Tes luttes , tes peines et ta joie ,
Tes armes étaïent parole et plume
Ton but : la liberté acquise
Pour ta patrie ,un siècle soumise
A ce vorace géant cruel !
Et l'aube était venue pour Elle .
Viendra un jour où tous nos peintres
Vont te montrer à la Géorgie ,
Ton front si haut , ton corps si svelte ,
Tes yeux si beaux ,qui pleurent sa perte ,
Pour elle tu as donné ta vie !

A. Jordania

## აგვისტოსათვის

სანამ ქართველი ერი იარსებებს, ვერავითარი ძალა ვერ ამოგლეჯს მისი გულის სიღრმიდან 1924 წლის აგვისტოს გმირულ ბრძოლების ხსოვნას. ჩვენ კარგათ ვიცით ფაქტების ღირებულება; ვიცით, რომ ამ ბრძოლებმა მდგომარეობა ვერ შესცვალა და მტრის უღელისაგან საქართველო ვერ გაანთავისუფლა; მართალია ისიც, რომ ხალხის საუკეთესო შვილები ათასობით შეეწირა ამ უღელის გადაგდების უკეთილშობილეს ცდას; მაგრამ სრულიად თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ აგვისტო საამაყო დატბა ჩვენი ისტორიის, რომ მან გაუკვალა საქართველოს გამანთავისუფლებელ ბრძოლას ბრწყინვალე მომავალი და ცხადყო საბოლოვო გამარჯვება.

ვის შეუძლია ამ გამარჯვებაში ეჭვი შეიტანოს მას შემდეგ, რაც უიარაღო პატარა ერი არ შეუშინდა ვეება, ტლანქ ძალას და საყოველთაო აჯანყებით ამცნო მთელ სამყაროს თვის ურყევი ნება ეროვნული სუვერენობის აღდგენისა! ამ უთანასწორო ჭიდილში მტერმა შესძლო ქართველი ხალხის ფიზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქურად დამარცხება, მაგრამ განა შესაძლოა მდინარის უკან დაბრუნება? რაც ვერ მოხერხდა გუშინ, განხორციელდება ხვალ, ზეგ, ახლო თუ შორეულ მომავალში; ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით როდის დაჰკრავს ჟამი საქართველოს განთავისუფლებისა; მაგრამ ურყევია ჩვენი რწმენა, რომ აგვისტოს გმირთა ხელიდან გავარდნილი დროშა თბილისის სასახლეზე კვლავ აფრიალდება. ეს მხოლოდ სურვილი როდია, ეს ისტორიული აუცილებლობაცაა. მართალია, აგვისტოს შემდეგ საქართველომ განვლო მთელი ეპოქა აუწერელი ტანჯვით და მწარე გამოცდილებით აღსავსე. მაგრამ მიუხედავათ ამისა მას ერთხელ აღებული გზა არ შეუცვლია და დასახულ მიზანს არ გადადგომია: ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა და უცხო ურდოთა მისი საზღვრებიდან განდევნა იყო და რჩება ჩვენი ერის ძირითადი ამოცანა.

აგვისტოს მსხვერპლთა სამარე ქართველი ხალხის გულია; წყნარად და მშვიდათ განისვენებენ იქ სამარადისო ძილით: იციან რომ დღევანდელი თაობანი წმინდათ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას მათ და ერის წინაშე...

ნ. ჟორდანია.

მოკლე ნაწყვეტები პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას დღიურე-
ბიდან და ნაწერებიდან.

--..--

(ამ განსვენებულ პრეზიდენტის დღიურებს არ აქვს სი-
სტემატიური წერილების ხასიათი, და ამიტომ ერთდაიმა-
ვე საკითხზედ დაწერილია სხვა და სხვა დროს იმისდა
მიხედვით, როგორც თვითონ სწერს"თუ როდის რა აზრი
მომივიდა და რის დაწერა საჭიროთ დავინახე".
ჩვენ ვეცადეთ ავტორის დღიურების მიმდევრობა შემლე-
ბის და გვარათ დაგვეცვა, ამ მეტად შემოკლებულ ამო-
ნაწერებში).

--..--

"ყველა ადამიანი არის ღვთის ნაპერწკალი, საჭი-
"როა მისი აღმოჩენა, ან სურვილი მისი აღმოჩენის
"ადამიანს მე უცქერი მაშასადამე წინასწარი, თა-
"ნაგრძნობით: მისი ავი მაწუხებს, კარგი მახარებს
"ამიტომ სრულიად მიუღებელია მისი ჩაქოლვა, მი-
"სი დამცირება, წაქცევა.
"მიყვარს დამარცხება წაქცევა გლახა აზრის, გლა-
"ხა მიმართულების, არ მიყვარს წაქცევა თვით
"ადამიანის". --..-- ნ. ჟ.

"პატარა ერისათვის არაფერია ისე სავალდებულო
"როგორც ძალთა დაზოგვა. ეს იცოდნენ ჩვენმა წინა-
"პრებმა, ამიტომ ვითვლით დღეს საუკუნეებს ჩვენი
"ერის ისტორიულ არსებობისას".

--..--

ნ. ჟ.

ქართველი ერი ისტორიული ერია, მას აქვს თავის-წარსული, აქვს გადგმული ღრმა ფესვები განვლილ საუკუნეთა ქარტეხილში.- ვის ეგონა, ვის დაესიზმრებოდა, რომ რუსის იმპერიას მოუვიდოდა ის, რაც მას მოუვიდა? ვის შესწევდა გამბედაობა ეთქვა, რომ დევი-იმპერია გადატრიალდებოდა ერთ მშვენიერ დღეს და მის ნანგრევებზე წარმოიშვებოდა თავისუფალი საქართველო? ჩვენ არ შეგვწევდა ვიმეორებ გამბედაობა დაგვეშვა რუსეთის იმპერიის ასე დამსხვრევა და ორთავიან არწივის კლანჭებიდან თავის დაძრომა.

ეჰ, ეხლაც ხომ იქა ვართ ამოიოხრებს მკითხველი, დიახ ეხლაც იქა ვართ, რუსეთის უღლის ქვეშ, თან ჩაქუჩი და ნამგალი, ორ თავიან არწივზედ უფრო საშინელი, ვერაგი... ვერც იმის გარანტიას მოგცემთ, რომ პირველი არ შესცვლის მეორეს. მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ჩვენ დღეს გვაქვს ის რაც გვაკლდა წინეთ- გამბედაობა- და ამ გამბედაობას ამაგრებს და უძლეველს ხდის დღევანდელი მხოლოდ ვითარება, ერების თავისუფლებისაკენ სრბოლვა და მისწრაფება.

--..--

დგება ჩვენი მაისი. ამიერ კავკასიის თვითეული ერი აცხადებს თავის დამოუკიდებლობას.

26 მაის ჩვენ ვთქვით :"ამიერიდან ქართველი ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულ უფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა".

მაგრამ ხანამ ამ ჩვენთვის საეპოქო სიტყვებს ვიტყოდით ჩვენ წაუმძღვარეთ მას თვით დამოუკიდებლობის აქტში ახსნა განმარტება. უკანასკნელში თქვენ ვერ დაინახავთ ერთს, ვფიქრობ უმთავრეს, რომ ასეთია

ქართველი ერის უზენაესი ნების ყოფა. ახნა განმარტე-ბაში ჩვენ თითქოს მოვიბოდიშეთ, თავს კიკაცუნებთ, გარემოებამ გვაიძულა ვამბობთ. თუგავიხსენებთ მაში-ნდელ სულის კვეთებას, იმ ყრუანცელს, რომელმაც გაუ-რბინა ყველა იქ დამსწრეთ აფრიალებულ ეროვნულ დრო-შის დანახვაზე, ჩვენთვის უდაოა, რომ ქართველი ერის გარდაუვალი სურვილია, რომ საქართველო იყოს დამოუკი-დებელი სუვერენული უფლებების მაცარებელი სახელმწი-ფო. მაშ რა მოგვივიდა? ნუთუ გვაკლდა ნების ყოფა თა-ვისუფალ დამოუკიდებელ ერისა? ნუთუ გვაკლდა ალცკინე-ბა? ნუთუ ისევ "მერანის" კაეშანი გვაჭმუნებდა? ნუთუ ისევ აკაკის "საცრფოს" ვეძებდით? ნუთუ ისევ ილიას გოდება გვესმოდა"შენ როდის აყვავდები"? არა მიზეზი ეს არ იყო ნების ყოფა არ გვაკლდა, არც ალ-ცკინება, არა მეცად უცნაურ პირობებში დავიბადეთ, რევოლიუციის ცეცხლიდან გამოვედით მისმა ალმა ნაწი-ლობრივ დაგვწვა. გვაკლდა რა? გვაკლდა იგივე გამბე-დაობა, რითაც დავიწყეთ, ჩვენს ნების ყოფას, ჩვენს ალცკინებას გულში ვიმარხავდით გარეთ არ ვაჩენდით, ეს არ არის თავისთვად ნაკლი, ვფრთხილობდით და ვფი-ქრობდით, სასიკვდილოდ დაჭრილ რუსეთს, რომ მალა მო-კრიბა, და ჩვენთვის ლალაცი დაებრალებინა ალგვიდა ქართველობას ჩვენ დედულ მამულიდან და დაგვმართებდენ ამ უიარალო ხალხს იმას, რაც ხომსეზს დამართეს თუ-რქებმა.

--..--

ჩვენი დამოუკიდებლობა ეს იყო ჩვენი ქვეყნის სიჭაბუ-კე და რა გასაკვირია თუ გვქონდა ზოგიერთი ნაკლულო-ვებანი. ყოველ შემთხვევაში მან მოამზადა ამღერე-ბული დღე - დღე აღფრთოვანების - დღე ზეაღვსლის.

ხალხმა გაიღვიძა- ილიას "სულ ძილი ძილი"-ხალხი ხდება აქტიური და შემტევი გამარჯვებისათვის. დამოუკიდებლობა ეს იყო მრავალ წლიანი მესამოცე წელთა მოღვაწეების ლოგიკური დაგვირგვინება, მეოცე საუკუნის პირველ ნახევრის უდიდესი მიღწევა. ქართველმა ხალხმა აღისრულა თავისი საუკუნოებრივი ოცნება. 26 მაისი გახდა შთაგონებათ, და მის ბრწყინვალებამ მისი ბრწყინვალების ზენიტს მიაღწია.

--..--

დაგვიდგა მწარე დღეები. ცლანქი ველური ძალა მაჯლაჯუნად გვაწევს გულზე, გასაქანს არ გვაძლევს, გვტანჯავს და ამ ტანჯვის დროს საკვირველი რამ მოხდა: ქართველი უჯერის თავის თავს , იმსჭვავლის შეუდრეკელი რწმენით, იბრუნებს გამბედაობას. ის, რაც თავისუფლების ხანაშიდ ჩაისახა, მონობის ხანაშდ გაიფურჩქნა! შეუძლებელიაამ ორი ხანის ერთმანეთისგან დაშორება, ორივემ შექმნაის მთლიანი , ჩამოყალიბებული ტიპი თავ დადებულ მებრძოლის, რომელსაც დღევანდელი საქართველო იძლევა.

--..--

აგვისტო -სექტემბერი 1924 წელი - ეს ახალი დაუვიწყარი თარიღია ქართველი ერის ისტორიაში. ეს იყო დაუჯერებელი გამბედაობა! პატარა საქართველო, დიდი რუსეთი- ორი სრულიად შეუდარებელი სიდიდე.

აგვისტო-სექტემბერი! ეს არის არა მარტო თარიღი,არამედ რაფიელის "სალი კლდეც" საიდანაც სჩქეფს უკვდავების შადრევანი, მისი ფერი შვინდისაა, როგორც ჩვენი დროშის, დაიღვარა უმანკო სისხლი, სიმბოლო ჩვენი გამარჯვებისა.

ჩვენი თაობა არ გაურბოდა მსხვერპლს იდეისათვის ,

რუსეთის მრავალ -ენიან დემოკრატიასთან ერთად , მკვე-
ლი რეჟიმისწინააღმდეგ და მით გზა გაუკაფა ეროვნულ
საქმეს.

--..--

ქართველი, დაახლოებით მეცხრამეტე საუკუნის მეორე
ნახევრიდან პირველად ეხლა ღვრის სისხლს სრულიად გა-
რკვეულ და კონკრეტიულ ეროვნულ იდეალისათვის. ნუ
ეძებთ მსხვერპლის მეტ-ნაკლებობას ამა თუ იმ კლასის,
პარტიის, ან პროფესიის მიხედვით, ეგ ხომ ულირსიც
იქნებოდა გათხრილ საფლავთა წინაშე. რა არის მაშ
სავალდებულო? ერთად ყოფნა, მთელი ჩვენი ფიზიკურ და
მორალურ ძალების შემოკრება დასახულ მიზნის ირგვლივ,
პარტიათა მთლიანი ეროვნული ფრონტი, სოციალური ჭიდი-
ლი მხოლოდ თავისუფალ საქართველოში.

--..--

ნუ დავკარგავთ საქართველოს ეროვნებას , მის უკვდავ
დიად ზნე-ჩვეულებას და წინაპართა მიერ ბოძებულ
ტრადიციებს, შევიყვაროთ სამშობლო მიწა წყალი, რომე-
ლიც ანკარა ნაკადულია, სპეტაკი და ძლიერი თავის
იმედის სავსე გრძნობებით.
აგვისტო- სექტემბერში ხალხის შეურიგებელ ძალამ იე-
ლვა, იქუხა, მან ცოტა ხნით გააშუქა ჩვენი ერის ბნე-
ლი ცხოვრება და დროებთ ღრუბლებს ამოეფარა.
ქართველმა თავისუფალ სამშობლოს სიყვარული სამუდა-
მოდ დაინთო გულშიდ, აგვისტოშიდ ამ ცეცხლმა ამოხეთქა
აგიზგიზდა , მაგრამ რუსმა ის ჩაგვიქრო და დააფე-
რფლა.
აგვისტოს გმირებმა დაგვანახვეს მშობლიური 26 მაისის
ჯადოსნური სიყვარული, გრძნობა და მისწრაფება ქარ-
თველი ერისა , ქართველი ერის გული, ქართველი ერის

სულთა სწრაფვა და თვითეულის უწმინდესი მოვალეობა, სამშობლოსათვის თავ დადება სიყვარული და სამსახური, ტანჯვაში კიდევ უფრო ტურფა საქართველოსთვის.
აგვისტოს გმირები ეკუთვნიან იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებმაც ერის წყლული თავისათ აღიარეს; მისი ტანჯვით იტანჯებოდნენ, მისი უბედურებით გული ედაგებოდათ , აქედან უკომპრომისო შეურიგებელი, უთანასწორო გმირული ბრძოლები დამპყრობელ ტირანთან.
მათი სურვილი მარადიულ ტაძრის აგებისა დიად 26 მაისისათვის არ აღსრულდა და დროებით ბოროტმა სძლია კეთილს.
ამ სანუკვარი ოცნების მისაღწევათ თქვენ მიიტანეთ თქვენი მჩქეფარე სისხლი ამ ტაძრის სამსხვერპლოზე მაგრამ თქვენ უბოძეთ საქართველოს იმედი, იმედი შეურყეველი , იმედი, რომ მომავალი მაინც მისია.

--..--

ნ. უ.

აწ განსვენებულ პრეზიდენტის , ნოე ჟორდანიას უფროსი ქალიშვილი, ასმათი 1924 წელს, აჯანყების დროს ლანჩხუთში იმყოფებოდა ბებიასთან. აგვისტო- სექტემბრის სისხლიან დღეებში ასმათი და მისი ბებია ქრისტინე დაატუსაღეს და ბათუმის ციხეში მოათავსეს ,მის დღიურებში ვკითხულობთ: "რა არის ახალ გაზრდობა რა საოცარი ძალა აქვს მას? შიში შორს იყო ჩემგან, თავი ჩემ საყვარელ გმირ ქალ ჟან დარკათ წარმომედგინა რატომღაც ვფიქრობდი, რომ დაგვხვრეტენ მეცოდებოდნენ ბებია და მამა.ყოველ-ღამ საზარგო ავტომობილებით გაყავდათ , ხელფეხ შეკრული ნაცემი ტუსაღები, მესმოდა მათი ოხვრა და გმინვა . მათი ტანჯვა გულს მიკლავდა. ვერ დავივიწყებ ჩვენ ნათესავ ორი ძმის ჩიქოვანების დახვრეტას 18-20 წლის ჭაბუკები, რომ იყვნენ, ეხლაც მესმის მათი ხმა და თვალწინ მეხატებიან, როგორ გვეთხოვებოდნენ მე და ბებიას. საწყალი ბებია, როგორ მდუღარე ცრემლებით ტიროდა და მხურვალედ ლოცულობდა, მეც ხომ ვტიროდი.....

ერთი კვირის შემდეგ ვარდებით და შოკოლადებით მობრძანდა სერიოჟა ქავთარაძე გაგვანთავისუფლა და გვითხრა უნდა წახვიდეთ უცხოეთში ნოესთან, მე თქვენი მფარველობა აღარ შემიძლიან, ხომ ხედავთ რა ხდება? ბებიამ კატეგორიული უარი უთხრა'' კი მენატრება ჩემი ბიჭის ნახვა, მაგრამ ჩემი შინა აქ არის და მას უნდა შევუნახოო"....

შეიძლება ჩემო საყვარელო ბებია შენ მართალი იყავი......

აქვე ვაქვეყნებთ აწ განსვენებულ ასმათის ორ ლექს, პირველი ლექსი დაწერილია იმ დროინდელ შთაბეჭდილებით მეორე კი მისთვის უსაყვარესელ მამის საპატივცემულოთ.

--..--

ეროვნული ბიბლიოთეკა

# INSURRECTION GEORGIENNE

Au fond de leur cachot noir
Les détenus sont décidés
De tout subir pour la gloire
De leurs idées de liberté !
Les condamnés en attente
Interminable de leur destin ,
Ont la joie d'être tous ensemble
Autour de ce lugubre festin !
Familles , amis bourdonnant autour de la prison
Ensevelis ils sont déjà et les vautours
Vont s'acharner sur leurs débris !
Vision atroce pour la jeunesse ,
Car ils sont jeunes et pleins d'ardeur
Leur âme aspire à des prouesses
et l'espoir emplit leur coeur !
Le monde aussi attend , espère
En la clémence du vieux tyran ....
Tcheka , tu es déjà sur terre

A. Iordania -

სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას.





გოგიტა ფაღავა.



ნ. ხომერიკი.



ვალიკო ჯუღელი.

"დამოუკიდებლობა მარადიული ჩაუქრობელი ლამპარია, თუ ის თვალთ მხედველობისთვის ქრება სამაგიეროდ ადამიანთა გულშიც განაგრძობს კაშკაშს."



ბ. ჩხიკვიშვილი.






მაისს 1923 წ. თბილისში, რუსეთის საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებით, გაუსამართლებლად, დასვრეტილ იქნენ საქართველოს განთავისუფლებისათვის თავდადებულნი მებრძოლნი:

| | | |
|---|---|---|
| 1. | გენერალი | ანდრონიკაშვილი ალექსანდრე. |
| 2. | გენერალი | წულუკიძე ვარდენ. |
| 3. | გენერალი | აფხაზი კონსტანტინე. |
| 4. | გენერალი | მუსხელიშვილი როსტომ. |
| 5. | პოლკოვნიკი | ხიმშიაშვილი გიორგი. |
| 6. | პოლკოვნიკი | მაჭავარიანი ალექსანდრე. |
| 7. | პოლკოვნიკი | გულისაშვილი ელიზბარ. |
| 8. | პოლკოვნიკი | ჩრდილელი დიმიტრი. |
| 9. | როტმისტრი | ყარალაშვილი ფარნაოზ. |
| 10. | როტმისტრი თ. | მუხრან-ბატონი სიმონ. |
| 11. | ლეიტნანტი | კლიმიაშვილი ლევან. |
| 12. | სამ. მოხელე | ზანდუკელი მიხეილ. |
| 13. | | კერესელიძე იასონ. |
| 14. | | ჭიაბრიშვილი სიმონ. |
| 15. | | ქუთათელაძე ივანე. |

16. როტმისტრი ანდრონიკაშვილი სოლომონ.
17. როტმისტრი ფავლენიშვილი შალვა.
18. შტ.-როტმ. სუმბათაშვილი ალეკო.
19. ლეიტნანტი ვაჩნაძე დავითი.
20. ვახმისტრი გელაშვილი. ალ.
21. კაპიტანი ფავლენიშვილი პეტრე.
22. პოლკოვნიკი სტროევი. (მერინავე)..
23. როტმისტრი ჩოლოყაშვილი კონსტანტინე.
24. ლეიტნანტი ვაჩნაძე არჩილ.
25. როტმისტრი ვაჩნაძე შაქრო.
26. პოლკოვნიკი ლექვინაძე ლადო.
27. უნტ.-ოფ. ფავლენიშვილი გიორგი.
28. იუნკერი ძამასპირიშვილი.

"სამშობლოს მტრებმა კვლავ დაუხოცეს ჩვენ ერს მისი საუკეთესო შვილები, საქართველოს მხედრობამ დაჰკარგა შესანიშნავი წევრები თავის წრიდან, და ჩვენმა სამშობლომ შეურყეველი ერთგული მამულიშვილები. ეს გმირები მრავალჯერ აწამეს სიკვდილის წინ, მაგრამ ვერ გასტეხეს და წამებით დასრულდა მათი განაწამები სიცოცხლე". ქართული სარდლობა, სტამბოლი 1923წელი. გენ. ოდიშელიძის სიტყვიდან.




ღმერთო ჩემო, ნუთუ 62 წელი გვაშორებს ჩვენ იმ დიად სათცნებო დაუვიწყარ დღეს?--როდესაც ჩემ. მშობლიურ საყვარელ ქუთაისში 28 აგვისტოს განთიადისას თქვენ აღმართეთ გრანდიოზული დროშა, თავისუფლების , სამ-ცარი გამბედაობის და საარაკო უთანასწორო ბრძოლის და თავ განწირვის.

62 წლის წინათ მეც მქონდა ბედნიერება თქვენთან ერ-თად სულ ახალგაზრდა 17 წლის ჭაბუკს ვყოფილიყავი თქვენთან ერთად, სულით მლიერნო , მცკიცენნო ვით სალი კლდე, მოწყვეტილ ვარსკვივით, რომ გამოანათეთ ჩვენი ქვეყნის გაბურულ ცაზედ და გაგვინათეთ გზა თავისუფლებისა ბრწყინვალე მომავლისაკენ.

საბ. რუსეთის მრისხანე ძალადობით და უსამართლობით კვლავ დამარცხდა წმინდა საქმე.

დღეს მე ჩემი ცხოვრების დასასრულს მხურს გელაპარაკოთ არა, როგორც მიცვალებულებს, არამედ თითქოს წარმოდგენით ჩვენს დაუვიწყარ ჭიათურაშიდ, ჩემს ლამაზ ბაღშიდ, გაშლილ ხუფრასთან. დღეს ხომ აღარც ის ბაღი და აღარც ის ჩემი მშობლიური სახლი აღარ არსებობს, დაუნგრევიათ, მაგრამ ჩემს შემეცნებაშიდ, ოცნებით ჩემი გულის უკანასკნელ ფანცქალამდე თქვენთან ვარ გჭვრეტთ და წარმოსახვით გიგონებთ ახალგაზრდობის წაუშლელ ამაღლევბელ მგრძნობიან მოგონება შთაბეჭდილიანობით.

ჩვენი დამარცხების უბედურ დღეებშიდ , მეც ხომ თქვენთან ვიყავი გამომწყვდეული ჩეკის სარდაფშიდ, სადაც შორს იყო თქვენგან შიში, ძრწოლვა და მონანიანება მორჩილების შთაგონება. თქვენ გაწამესთ, მაგრამ ვერ გაგცეხესთ ვერ დაგაჩოქესთ. გახსოვსთ, როგორ უმოწყალოდ მცემეს, როდესაც ცოცხალ მკვდარი განაწამები ჩამომათრიეს სარდაფშიდ, გაოგნებული მე არც ვციროდი არც ცკივილებს ვგრძნობდი, იმ წუთებშიდ მე განვიცდიდი მხოლოდ უდიდეს შეურაცხობას, როგორ დამილურჯეს ის ლოყები, რომელსაც დედა ჩემი მის ნაზ საკოცნელადაც ვერ იმეცბდა. თქვენ მე ვეღარც მიცანით ისე ვიყავი ცემით დასიებულ მილეწებული, როგორ მიხუცებდით, მეფერებოდით, მამხნევებდით....

გახსოვთ განკარგულება: "ხვალ დილის ხუთ საათზე იგზავნებით თბილისშიდ რიცხვით 165 კაცი".

მეც თქვენთან ერთად ვიყავი იმ სიაშიდ, როგორ მიხაროდა, როგორ ვამაყობდი თქვენთან ერთად ყოფნით და მეც ძლივს, რომ ვიდექი ფეხზედ ვემზადებოდი "თბილისისაკენ"... ვინ იცოდა ვინ იფიქრებდა, რომ

იმ შავ ბნელ ველურ ძაღლების ლაჩრულ გადაწყვეტილებით ამ "მგზავრობით" დაირეკებოდა ჩვენი სიცოცხლის აღსა-სრულის ზარი.

დილის ოთხ საათზე ხუთი საქონლის რენოდა ჩვენთვის, ორი ღია ვაგონით მცველებისათვის უკვე ჩამოდგა ჭია-თურის სადგურზე, რომლის მისასვლელებთან შეჰკრეს ყველა გზები.

ერთ საათშიდ სადგურზე უნდა გავეყვანეთ, გამოცხადე-ბულ იყო სამხედრო წესები, არც ერთ ქალაქის მცხოვრე-ბს არ ქონდათ დილის 7 საათამდე ქუჩაში გამოსვლის და არც არავის არ შეეძლო ამ დრომდის ჭიათურაში შე-ემოსვლა. მე რაღაც დღემდის გამოურკვეველ მიზეზის გამო უკანასკნელ წუთებში შორაპნის მაზრის პარტკომის მდივანმა მომაკითხა, თავის ცხენზე შემომიჯინა და სახშიდ წამომიყვანა. გზაშიდ მახსოვს ეს კი მითხრა " დედა შენს და ჩემ მეუღლეს, როგორ შევხედო თორემ " შენ კი ხარ დასახვრეტიო" მაშასადამე აქედან ვა-სკვნი, რომ მან იცოდა თქვენ დასახვრეტათ მიყავდით და არა თბილისშიდ. გახსოვთ როგორი ცირილით დაგშო-რდით? როგორ მრცხვენოდა თქვენი , რომ თქვენ ეჭვ მი-ცანილათ არ ჩაგეთვალეთ, თქვენ მე მილოცავდით , მა-მხნევებდით, ქებასაც მასხამდით, რომ ჩემი ვალი პირ-ნათლად მოვიხადე მე,და აუარება დავავალებიც მომე-ცთ თქვენიანებთან და მეგობრებთან, რომელიც მე თქვენ უნაკლოდ შეგისრულეთ.ჩემი ბინა კი თქვენიანებისა-თვის პაემანისშესახვედრი ადგილი გახდასადაც იყო თქვენი სასიყვარულო მოგონებითი სჯა ბაასი.მივლი-დენ და თავს მევლებოდენ, სწყევლიდენ ბოლშევიკებს

და თვით ჩემ განმათავისუფლებელ ქმარსაც მის მე-უღლე თქვენ ჭირისუფლებზე უფრო სწყევლიდა და ბო-ლშევიკებს აძაგებდა. თურმე მან უთხრა თავის ბოლშე-ვიკ ქმარს, რომ ჩვენ ბუხუცას( შინაურობაში ასე მე-ძახდენ) რამე მოუვუიდეს და არ გაანთავისუფლო. სა-ხლშიც აღარ შემოგიშვებო. (ორივე ცოლ-ქმარი ჩვენ ჩამორთმეულ სახლში ცხოვრობდენ).

ვის შეეძლო წარმოედგინა, რომ თქვენ 164 კაცს ასე უღვთოთ გაგიმეტებდენ და ვერაგულათ, ლაჩრულად დაგი-ფლეთდენ გულ მკერდს ცყვივის მფქვრეველებით ზესტა-ფონის ერთ მივარდნილ სადგურის "ცუპიკში" ჩაყენებულ ჩაკეტილ გადარაზულ საქონლის რონოდებშიდ.

მოხდა შემზარავი მზაკვრული გაუგონარი ამბავი, ქა-რთველმა კაცმა აღარ დაინდო თავისი მოძმე, თავისი ნათესავი, მეზობელი, ძმამ ძმას ესროლა, რათა გაე-ღვივებინათ ქართველთა შორის შური, ზიზღი და სიძუ-ლვილი.

გამძვინვარებული ჯალათები თვითონვე შიშმა შეიპყრო, ამ საზარელ მხეცურ აქცის ჩადენით და თქვენი საში-ნლად დასახიჩრებული გვამები მალულად საჩქაროდ მდი-ნარე ყვირილას გვერდით გათხრილ თხრილებშიდ ჩაჰყარა.

შიშით შეპყრობილებმა უსირცხვილოდ ცინიკურად ხმები დაჰყარეს , რომ თქვენ მათ ყველანი საზღვარ გარეთ გაგხიზნესთ იქ სადაც ნოე ჟორდანია იმყოფება-ო.

გადის ხანი ყველანი იმედ გადვიძებულნი, მოელიან, თქვენს წერილებს,ჯალათების თავხედობა იქამდისაც კი მიდის თქვენ ჭირისუფლებს აკითხავენ , ამხნევებენ და"მწუხარებასაც" გამოთქვავენ, რომ თქვენგან არა-ვითარი ამბავი არ მოდის და ამასაც ნოე ჟორდანიას

ცივ გულობას და მის ქართველი ხალხისადმი სიძულვი-ლს აწერდენ.

გავიდა დრო , თქვენგან კვლავ დუმილი ‥ კაეშნის ზრდის მომგვრელმა : რაღაც უბედურების შემგრძნობმა წინაგრძნობების უცნაურ ძალამ გაჰფანცა იმედები. ერთ დღეს მთაში დიდი წვიმა მოხულიყო , ადიდა ყვირი-ლა და მისმა აზვირთებულ ტალღებმა ღრიალით ამოჰყარა თქვენი საშინლად დაფლეთილ დასახიჩრებული გვამები, ეს ამბავი მეხივით გავარდა , მთელმა ჭიათურამ - ზესტაფონს მიაშურა, რათა გამოეცნოთ თქვენი გვამები, რაც მეტად ძნელი იყო . ჩემო საყვარელო მეზობელო და სკოლის ამხანაგო კოლია, გამწარებულმა საწყალ დედა შენმა , შენი სხეულს დაშორებულ მონაკვეთი ხელი იცნო, შენი გვამი კი ველარ ნახა და ჭიათურაშიდ სალფეთქშიდ გახვეული ჩამოიცანა. მთელმა ჭიათურამ დაიჩოქა იმ მატარებლის წინ, რომლითაც დედა შენი ჩამოვიდა, შენ ხომ ყველას უყვარდი, მამით ობოლო დედამ, რომ მართლადაც ვაჟით გზარდა, შენ ხომ მხატვ-რობის უდიდესი ნიჭით იყავი დაჯილდოვებული, შენ ჩე-მზე ახალგაზრდა იყავი , მაინც არ დაგინდეს, არც შენმა ნახევარ ძმამ დაგინდო, დიდი კომუნისტი, რომ იყო. პარტიულ კრებაზედ ამ მხეცურ აქტის ჩამდენთ მან სოლიდარობა გამოუცხადა,განაწამებ დედა შენმა ის სა-მუდამოთ სახლიდან გააძევა. საბოლოოთ ისიც დახვრეტილ იქნა.

-·-

ამ ამბის გამომჟღავნებამ ხელისუფლება დააფრთხო, მოზღვავებული მღელვარე ხალხი მუქარით გადარეკა და აღარც კი ვიცით სად დაგვიკარგეს თქვენი საფლავები.

გტიროდათ ჭიათურა, გტიროდათ მთელი საქართველო. თქვენმა სიკვდილმა ჭიათურის მცხოვრებთა გულს სამუდამოთ გაუხდელი შავები ჩააცვა.

უნდა გენახათ თქვენი დედები, ფერ-მიხდილნი, ღაწვ და კაწრულნი, ცრემლ გამშრალნი, როგორი გამბედაობით უტევდენ თქვენ ჯალათებს, ყოველგვარ მუქარასა და შიშის გარეშე. ჭმუნვით შეპყრობილნიერთ და იმავე დროს რაღაც საოცარი ძალით აღვსილნი ამაყობდენ, რომ სამშობლოს ასეთი საამაყო შვილები აღუზარდეს. აღსდგენ ძველი საქართველოს ბრწყინვალე დედები, რომელთა შემეცნებაშიდ სამშობლოსათვის თავდადება უბრალო მშრალი მოვალეობა კი არაა, არამედ თვითონ სიყვარულია, ანკარა და სპეტაკი, ძლიერი ნაკადულია თავის დამავიწყებელ სევდითა და იმედით სავსე გრძნობისა, რომლის შემდეგ მზად ხართ დაეკონოთ სამშობლო მიწას და მისთვის თავი გასწიროთ, რაც თქვენ უაღრეს გამბედაობით ბრწყინვალეთ შეასრულეთ.

უკვე დაღლილ მოხუცებული ჩემი ქვეყნის საამაყო შვილებო, უცხოეთშიდ მარტოდ მარტო გდებული, ჩემს სასთუმალს მივაშურებ და ფიქრები ჩემი თქვენსკენ მოისწრაფიან, თქვენზედ ვკაეშნობ ყოველ ღამ, რადგან ჩემი გონება ვერ ეგუება თქვენ ასე გამეტებას და სიცოცხლის მოსპობას. მერე ვისი ხელით? ვის გასროლილ ტყვიით? „ქ ა რ თ ვ ე ლ ი" კ ა ც ი ს. ჩემს გონებას თქვენზედ ფიქრი არ სწყინდება, თქვენი აჩრდილები ალმასივით ბრწყინავენ ჩემსხსოვნაშიდ, ჩემს გულშიდ და ვაი, რომ არ ვიცი სად განისვენებთ და თქვენ ობოლ დაუტირებელ საფლავებს , რომელი მხარის მზე, მთვარე და ვარსკვლავები დაჰკიაფობენ.

თქვენ რჩებით ერთდა იმავე დროს ქართველი ერის სიმაყე, სიხარული და მწუხარება, ქართველი ერის ღიმილი, გოდება და სევდა, ქართველი ერის ზრახვანი, ოცნება და იმედი შეურყეველი, რომ მომავალი მაინც მისია, ეს შინაარსი 28 აგვისტოს აჯანყებულ დაუცხრომელ ცდილისა, რომლისათვისაც თქვენ იბრძოლეთ და თავი შესწირეთ.

თქვენ რჩებით უკვდავების მეგლად და თქვენი სახელები არასოდეს არ ჩაესვენება, რადგან თქვენ ხართ საქართველოს ხიდიალის უკვდავი გვირგვინი.

ქართველმა ერმა იცის, რომ არსებობს ულიდესი ძალა, განთიადი და ამ ძალის შეკავებასრავის არ შესწევს განთიადი მოვა, ის უკვე თქვენ მოგვიცანეთდა კვლავ მოგვიცანს წყაროს სინათლისას.

სწორედ ეს ძალა ანათებს ჩვენს ბრძოლის გზას თავისუფლებისაკენ. დადგა ერების განთავისუფლების ხანა, დადგება დრო თქვენი სურვილი აღსრულდება და ქართველი ერი კვლავ მიესალმება საქართველოს გაზაფხულს.

დადუმებული ქართველი ერი დღეს ახლილად ვერ გესალმებათ, მაგრამ მის გულში თქვენ სახელებს ვერ დაფარავს ჟამის სუდარა. ცირანთა საფლავები კი გადისავსება

--.--

ლევან ფალავა.




**ხსოვნის დღეა**

--..--

ბევრჯელ დაგიმსხვრევია,
ეგ ბორკილი ფოლადის
ძნელად ხელშესახები
ცეცხლის ალი, რომ ადის
გული არ გაგცეხია საუკუნე, რომ გადის
შენი მიწის ერთგულო
შენ!.....
უცვლელო მარადის.

--..--

შოთა აბაშიძე.

## ცოტა რამ დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაზე.

--..--

საბჭოთა რუსეთი დღიდან მისი დაარსებისა, პრეტენზიას აცხადებს მსოფლიო ბატონობაზე, რომელიც ოფიციალურად დღემდის არავის არ უარყვია. საბ. ხელის უფლების ხელმძღვანელები უფრო ფართო მაშტაბით ზომავენ და უყურებენ მათ პოლიტიკურ ბრძანებლობის განმტკიცებას ვიდრე ეს დასავლეთს გონია. საბჭოელთა შემეცნებაში მსოფლიოში პოლიტიკურ, ჩვენება, გავლენა, გავრცელების მოპოვებისათვის, საჭიროა არა მარტო სამხედრო ძალის გამოყენება, ამა თუ იმ ქვეყნებში შექმნილ კრიტიკულ პოლიტიკურ კრიზისების დროს, არამედ საჭიროა, მუდმივი შეუწყვეტელი, განულებელი მუშაობა და აქტიურობა სგარეო ფრონტზე, რომელიც პირველ ყოვლისა იხატება მისი სამხედრო ძალების მუდმივ შეუჩერებელ ზრდით და აგრეთვე სხვა უფრო მალულ ნაკლებათ ეჭვმიუტანელ გზებით, როგორიცაა: დიპლომატიური წარმომადგენლობანი, სხვა და სხვა კომერციუული და პოლიტიკური მეგობრობის ხელშეკრულებები, საიდუმლო პოლიციის მოქმედება, კულტურული კავშირები, მალულად მხარ დაჭერა ტერორისტებისა და პრო-საბჭოური სამოქალაქო ომების გაჩაღება სხვა უცხო ახლად აღორძინებულ სუსტ და მის გავლენის ქვეშ მყოფ სახელმწიფოების, მის მიერ ქმნილ და მორჩილ პირების შუამავლობა შუა კავშირით.

- -..- -

ეხლა ვფიქრობთ ინტერეს მოკლებულ არ იქნება პატივცემულო მკითხველო ვიკითხოთ ვინ არის გორბაჩევი,და რა დაგვანახა მისმა მღვაწეობამ?
ვისი მეოხებითა და შემწეობით ავიდა ეს სრულიად უცნობი პიროვნება ხელისუფლების მწვერვალზე?
გორბაჩევმა პირველ ყოვლისა ნაზი ხიფრთხილით მოიშორა მოხუცთა კასტა და ქვეყნის მართველობა ჩამოართვა.
შემდეგი მისი ნაბიჯიდან თქვენ თვალშიდ გეცემათ , ძველი სტალინური ხაზის მიმდევრობა, ის ყველაფერშიდ სტალინის ერთგული მოწაფეა, და მისი თავდადებული პოლიტიკის გამგრძელებელი, რომელიც მან ახალ სამოსელშიდ უფრო ლამაზად, უფრო მომხიბვლელ გრძნეულ თაიგულათ შეჰკრდა მან ამ თაიგულით შემოალო თავისუფალ მხოფლიოს ბჭე კარი და ის, თავდაბალი ღიმილით მიართვა ამერიკასა და ევროპას მის ცდუნებაში შესაყვანათ.

--..--

გორბაჩევი ხელის უფლებაშიდ მოიყვანა , **არა** პარტიამ არა მისმა აპარატმა, არამედ კ.გ.ბ.-ემ და მისმა შეიარაღებულ ძალებმა, რომელიც ფაქტიური ბატონია საბჭოეთის.რუსეთი დღეს კი არ არის ერი, რომელსაც ჰყავს ჯარი, არამედ ის არის ერი, რომელიც უპყრია კ. გ. ბ.-ეს ანუ ყველასათვის ცნობილ ძველ ჩეკის ჯარებს სტალინს,მხოლოდ სტალინს ეკავა მათთვის ამოდებული ლაგამი, ის ხშირად წმენდდა თვით ჩეკასაც, ეშინოდა მათი კონკურენციის,მან თავის ბატონობის დროს გადააყენა და გამოხცვალა-6-კ.გ.ბ.-ეს მეთაური, სიდანაც მან ორი დახვრიტა. ახეთი რამ შეეძლო მხოლოლ სტალინს, ყოვლის შემძლე კ.გ.ბ.-ემ შექმნა რამოდენიმე პირთა დიქტატურა  თუ შეიძლება ითქვას " ხუთთა გამგებლობა"ანუ"დირექტორია ხუთის", რომელშიდაც შედიან

გენსეკრეტარი გორბაჩევი, მეორე გენსეკრეტარი ლიგაჩევი, და სამი კ.გ.ბ.-ეს გენერლები: პირველი მოადგილე გორბაჩევის ალიევი, კ.გ.ბ.-ეს თავჯდომარე ჩებრიკოვი და შევარდნაძე.- რომელსაც დასავლეთმა შეარქვა "ჩეკიზირებული მართველობა , მოსკოვმა კი "კავკასიელთა/ოკუპაცია" და დახმენენ, რომ დღევანდელ საბჭოთა პოლიტიკურათ გაღარიბებულ ცაზედ გამობრწყინდნენ ზემოთ მოყვანილ პირთა სახელები.
საგარეო საქმეთა კ.გ.ბ.-ეს გენერლის შევარდნაძის მინისტრათ დანიშვნა ესაა ამ სამინისტროს რეკონსტრუკცია გაჩეკისტება მომავალი დასახული მიზნების განსახორციელებლათ.
ამ ლეგალურ დიპლომატიურ სამინისტროს საფრად გამოყენება საბჭოთა რევოლიციურ დეზორგანიზაციის დასავლეთსა და მესამე ქვეყანაშიდ შესატანათ. გრომიკომ იუკადრისა ამ არა ლეგალური ფუნქციების შესრულება, ამიტომაც დანიშნეს. მის ადგილზედ ახალგაზრდა ჩეკისტური გატაცებით შეპყრობილი , დამსახურებული პარტაპარატჩიკი კ.გ.ბ.--ს გენერალი შევარდნაძე, სწორენ დასავლეთის სოვეტოლოგები, რასაც იზიარებენ მართველი წრეებიც.აქედან იგივე უნდობლობის ზრდა გორბაჩევისადმი და დაძაბული მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება გართულება.

--..--

ვერც ველიკორუსულ შოვინიზმს დახწამებთ გორბაჩევსო, გვამცნობს ყოველ კვირეული ჟურნალი"ლ'ევენმან" და ვერც მის "უნცროს ძმა ერების" რუსიფიკაციის დაბრალებთ, რადგან მან მარჯვნით დაიჯინა ადერბეიჯანელი ალიევი, მარცხნით ქართველი შევარდნაძე ,

პირდაპირ უკრაინელი ლიგაჩევი , კაზაკი ჩებრიკოვი და ერთი ბელორუსი. რითაც თურმე შავები ჩაავცა, რუს "ველიკოდერჟავნიკებს" ხინამდვილეში კი შორსმჭვრეტელ გორბაჩევმა ამით უფრო გაიადვილა , დაყრობილ ერთა რუსიფიკაცია და მათი შერწყმა"რუს ძმა ერთან. დღეს ხომ ცნობილია, რომ მოსკოვია ყველა დაპყრობილ ერთა დედა ქალაქი და მზე ჩრდილოეთიდან ამოდის.

--..--

დღეს ყველამ დაინახა,რომ საბჭოთა ხელისუფლება, ურყევად, უცვლელად ინახავს თავის შინაგან წყობილებას. და მიზნად ისახავს მხოლოდ მსოფლიოში არსებულ ვითარებას თუ წყობილების შეცვლას, მის სასარგებლოთ ან ძლით ან დამორჩილება შეთვისებით მის ნება სურვილისამებრ.

საბ. ხელისუფლებამ დიდი ხანია დაინახა და შეიგნო, რომ მარტო უხეში ძალის ხმარება , არ იძლევა სრულ დადებით შედეგებს, საჭიროა მას დაემატოს სხვა უფრო მჭრელი და უფრო გავლენიანი ფაქტორი, რომელის დამატება გადაბმა შეუჩერებელ სამხედრო ძლიერების ზრდასთან უფრო გაადვილებს საბ. იმპერიის ექსპანსიას. ესაა კომუნისტური იდეოლოგია,რომლის საუკეთესო გამომხატველია მეოცდა მერვე მუხლი მისი კონსტიტუციისა სადაც ნათქვამია: ვალდებულება და მხარ დაჭერა ნაციონალურ განმათავისუფლებელ ომებისა.საბ. ხელისუფლება ამ მხარდაჭერას, მათ მიერ ეგრედ წოდებულ პროგრესიულ ძალებისადმი, კიარ თვლის ამ უცხო სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩარევას, არამედ მის მორალურ მოვალეობად, რომელსაც იგივე მისი ექსპანსიონიზმის სარჩული უდევს და, რომლის სამწუ-

ხარო მაგალით გვაძლევს ავღანეთის გაუთავებელი საშინელი სისხლის მღვრელი ომები.

--..--

თუ კი მეფის რუსეთისათვის დროშით ხელში ბარიკადებზედ არ ეცემოდენ , არც მოზამბიკის ნეგრები, არც ტუზემცები, არც ბოლივიელები, არც პარიზის სტუდენტები და არც ინგლისის არისტოკრატები, დღევანდელ კომუნისტურ რუსეთმა ისეთი სტრუქტურა შექმნა, რომ იდეოლოგიურ სოლიდარობამ გადაალახა ნაციონალურ საზღვრებს, ის უნივერსალური გახდა და აქვს უდიდესი გავლენა მისი სახელით ისინი ბარიკადებზედ ადიან სისხლს ღვრიან და გზას უხსნიან ყველაზე უფრო მიუღებელ ბარბაროსულ რეჟიმს და რუსეთის გაბატონებას, რომელიც არ სცნობს არც ერების თავისუფლებას და არც ადამიანის უფლებებს.

ამ იდეოლოგიით შეიარაღებულ კრემლმა გამონახა, აზია, აფრიკა და ლათინურ ამერიკაშიდ, სახელდობრ კუბა და აღმოსავლეთი გერმანია, მის "მოადგილეებათ",რომელთა მოვალეობაა , ახლად დაბადებულ სახელმწიფოთა ჯარების წვრთვნა და ამ ქვეყნებშიდ საბჭოთა კომუნისტური წყობილების დამყარება.

--..--

94 კომუნისტურ პარტიიდან, რომელსაც დღეს მსოფლიო ითვლის შეიძლება ითქვას საბჭოელთა ხარჯზედაა და მას ხელმძღვანელობს, რეგულიარულ კონტაქტებისა და ინსტრუქციების მიცემით. ამ მიზნით 1958 წელს დაარსებული საერთაშორისო კომუნისტური ჟურნალი"მშვიდობიანობისა და სოციალიზმის "სახელწოდებით,გამოდის 37 ენაზე, ვრცელდება 145 ქვეყანაში, ნახევარ მილიონზე მეტი ეგზე-

მპლიარი იგზავნება არა კომუნისტურ ქვეყნებში. პროპა-
განდისათვის. რედაქციაში შედიან 63 კომუნისტური
ქვეყნების წარმომადგენლები, რომლის სათავეში დგას
რასაკვირველია კრემლის მიერ წარმოგზავნილი უფროსი ძმა.
და განუყრელი ამხანაგი.
იდეოლოგია გახდა მუდმივი ნაწილი მოსკოვის კომუნი-
სტურ ხელისუფლების, რომელზედაც მას უარის თქმა არ შე-
უძლია, რადგან ისაა მოსკოვის მისიანიზმის დასაყრდ-
ნობი საძირკველი და სასიცოცხლო წყარო.
მოსკოვის გავლენის ზრდას ხელი შეუწყო მეორე მსოფლიო
ომმა, და იმ დროინდელ ევროპა ამერიკის უნიათო მართვე-
ლებმა, რუსეთი ევროპის შუა გულში მოიყვანეს, ისინი
ვერ მიხვდენ და ვერ ამოიცნეს სტალინის ვერაგობა ,
გულწრფელათ ენდვენ და მას ხელში მისცეს თავისუფალ
კაცობრიობის ჩამოსახრჩობი საბელი, რაც ახე ძვირათ
უჯდება მსოფლიოს და საბ. რუსეთის აღვირ ახსნილობა
ქმნის მესამე ომის საშიშროებას.

--..--

ევროპა ამ ზორროცების ხანაში თითქოს სალათას ძილმა
შეიპყრო, შთაბეჭდილებაა თითქოს მან თავდაცვით ბრძო-
ლაზედაც ხელი აილო ვერ ხედავს, რომ საბ. რუსეთი მა-
საც მოადგა და მორჩილებაში შეყვანით ემუქრება.
არ არსებობს ადამიანი, რომლის სანუკვარი ოცნება არ
იყოს მშვიდობიანობის დამყარება და მისი შენარჩუნება
მოლაპარაკებების გზით, ამიტომ გორბაჩევის ხელისუ-
ფლებაში მოსვლამ, მის მიერ მართველობაში ახალ პი-
რების მოწვევამ, აღფრთოვანება გამოიწვია მთელ მსო-
ფლიოში, მაგრამ ყველას გამოეპარა ერთი რამ, მან მხო-
ლოდ პირები გამოცვალა და არა ლენინის დოქტრინა, რო-

მლის ერრთგულნი იყვნენ, მათი წინა მორბედნი და
მათ პოლიტიკის მემკვიდრენი რჩებიან ისინი, ე.ი.
საბ. რუსეთის ექსპანსია და კომუნიზმის საბოლოო გა-
მარჯვება მსოფლიოში, უცვლელათ რჩება.

--..--

კაცობრიობა არ გასწირა ღმერთმა ჩვენმა, მას მოევლი-
ნა ამრიკის დიდი პრეზიდენტი, რ. რეგანის სახით, რო-
მელმაც ამოხსნა და პირველმა ამცნო მსოფლიოს"მშვიდო-
ბიანობის დროშით" მოსულ წითელ რუსეთის ზრახვები და.
და მოუწოდა თავისუფალ ერებს:სიფხიზლე, სიმტკიცე,
გაბედულება და სიმძლავრე გაერთიანებულ ძალებით,
ტროას ცხენზე მჯდომ ბოროტობის იმპერიის წინაშე,
და განაცხადა "არ იქნება მესამე კაცობრიობის და-
"მღუპველი ომი თუ რუსეთი არ ახტეხს, რადგან ის არა-
"ვის არ სურს,განსაკუთრებით კი ჩვენ, ჩვენ ვიცით,
"რუსეთს არ მოსწონს ჩვენი მართველობის სისტემა და
"წინააღმდეგ, არც ჩვენ მოგვწონს მათი სისტემა, მა-
"გრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მათთან დიალო-
"გი უნდა გავწყვიტოთ მშვიდობიანობის დამყარების
"გზების გამოსანახავათ და გასამტკიცებლათ.
"მშვიდობა აყვავება, კეთილ დღეობა, უნდა შეუნახოთ
"ჩვენ შვილებს, ჩვენ შვილიშვილებს და ჩვენს შორეულ
"შთამომავლობას. ჩვენი მიზაანია დაფუძნება და უფრო
"სტაბილიური მდგომარეობის შექმნა ჩვენს ურთიერთო-
"ბაში საბ. რუსეთან და ერთად მშვიდობიანი ცხოვრება,
"სადაც გაიფურჩქნება იდეალები უშიშროების და მშვი-
"დობიანობის, რომლის შენახვაა ჩვენი მთავარი მი-
"ზანი და სურვილი. ჩვენი ქვეყანა არ ეძებს დანა-
"ღმოს და ან რაიმე ცვლილებები შეიტანოს საბჭოთა

"სისტემაშიც და არც რაიმე საფრთხე შეუქმნას მას მა-
"გრამ არასოდეს არ დაუშვებთ მის ცდას გამოიყენოს
"ძალა, რომელიმე ერის წინააღმდეგ და ძალ დატანებით
"მიაღებინოს მათი სისტემა. ჩვენ არ გვაქვს სურვილი,
"და არც პრეტენზია რომელიმე ერს ძალით მივაღებინოთ
"ჩვენი მართველობის სისტემა". (პრ. რეგანის წარმო-
თქმულ სიტყვიდან ევროპის პარლამენტში ქალაქ სტრა-
სბურგშიც 1985 წ.)

პრეზიდენტის სიტყვები უკვდავ წყაროსავით მოევლინა მსოფლიოს, განსაკუთრებით ევროპას, რომელიც გამოცო-ცხლდა, გამხნევდა, გამაგრდა, გაძლიერდა და იწყო ჯერ მხედრულად გაერთიანება და შემდეგ ეკონომიური მთლიანობის მიღწევა, ერთობა, მომავალ საფრთხის წი-ნაშე. თავისუფალ კაცობრიობამ აშკარად დაინახა, რომ სწორედ სად. რუსეთია დღევანდელ მშფოთიანობის მეთა-ური და არა მის მიერ დადანაშაულებულ დალასრული ამერიკა და მისი პრეზიდენტი, რომელსაც გულწრფელად სურს და არის ერთგული მსახური მშვიდობიანობისა და ერთა თავისუფლების.

--..--

ამერიკა პირველი მპყრობელი იყო ატომურ ბომბის, მა-შასადამე უძლიერესი სახელმწიფო და მის წინაშე ყველა სახელმწიფოების დაჩოქება შეეძლო. მას არა-სოდეს არ ესარგებლია ამ მის განუსაზღვრელ ძალით, არც არავის არ დამუქრებია და არც არავის შინაურ საქმეებშიც არ ჩარეულა და მისი მართველობის სისტე-მა ძალადობით არავისთვის არ მოუხვევია, პირიქით -ონუს- 1946 წლის პირველ სხდომაზე ატომურ ბომბის შესახებ მისი წარმომადგენლის ბ-ნ ბერნარ ბარუშის პირით განაცხადა: 1° შეჩერდეს ფაბრიკაცია ატომურ

ბომბების, 2º განადგურდეს ატ. ბომბების მარაგი,
3º ინტერნაციონალურ ორგანიზმის შექმნა ატომიურ ენერგიის ტექნიკის გამოყენებისათვის და ატომის საიდუმლეობისა და აღმოჩენების თანაზიარობა.
4º მკაცრი სასჯელი ამ პირობის დამრღვეველთა მიმართ. ამ პირობებზე ხელი უნდა მოეწერათ ხუთ დიდ სახელმწიფოს: ამერიკას, საბ. რუსეთს, ჩინეთს, საფრანგეთს და ინგლის, რომლებიც მიიღებდენ ვალდებულებას აწ აღარ ეხმარათ ის მასიურ მოსპობის იარაღათ და არცერთ სახელმწიფოს არ ქონდა უფლება ვეტოს დადების.
საბ. რუსეთმა უგულყოფო ეს წინადადება და სამხედრო ხარჯები ამ მიმართულებით 85 მილიარდ დოლარიდან დღემდის 235 მილიარდამდე გაზარდა.(იხ.ჟურნალი "ნატო და ვარშავის პაქტი" მაისი 1986წ).
მეთოდიურათ განაგრძობს მთელ რიგ ქვეყნების დამორჩილებას და იძულებით კომუნისტურ რეჟიმის დამყარებას, გადახედეთ,აზიაში: ჩრდილოეთ კორეია, ვიეტნამი, კამბოჯი, ლაოსი, სახრეთ იემანი. აფრიკაში: ეთიოპია, ანგოლა, კონგო, გვინეა, მოზამბიკა, მადაგასკარი. ცენტრალური ამერიკა:კუბა, ნიკარაგუა და ეხლა ავღანეთი, რომლის დასაპყრობათ მან ათეული დივიზიები წარგზავნა და ჯერ კიდევ მიზანს ვერ მიაღწია , ვფიქრობთ ვერც მიაღწევს და საბოლოოთ მის სრულ მომორჩილებაშიდაც ველარ შეიყვანს.
საბჭოთა კომუნისტურ რეჟიმის დამყარებამ ყველა ამ ქვეყნებშიდ მოსკოვისათვის უარყოფითი მდგომარეობა შექმნა, და მის წინააღმდეგ დარაზმა, მისმა პოლიტიურმა რეჟიმა ისინი სასოწარკვეთილამდის მიიყვანა და

დაანახვა ხალხს, რომ ის მოსკოვის მზაკვრულ პროპაგანდის მსხვერპლი გახდა და ვერ დააკმაყოფილა მათი ვერც მატერიალური და ვერც სულიერი მოთხოვნილებები, მოსცაცეს თავისუფლება და სისხლიანი ცერორი გაამეფეს, უდანაშაულო მოსახლეობის საკმაოდ ნაწილი ციხეებში გამოამწყვდიეს, რუსის ხსენება შეაძულეს.

--..--

საბ. რუსეთის "კაცთ მოყვარეობის" ნამდვილ სახის გამოაშკარავებამ, მისი ექსპანსიის ზრდამ, პრ. რეგანის საკაცობრიო სიტყვებმა და მოქმედებამ თავისუფლებისა და მშვიდობიანობის დაცვისათვის დადებითი ნაყოფი გამოიღეს. დასავლეთში წითელ რუსეთის მოტრფიალე ინტელიგენციამ მას ზურგი უჩვენა და მისი პირველი მაგინებელნი გახდნენ, მოსკოვს საჯაროთ უნდობლობა გამოუცხადეს . თვით უცხოეთის მოძმე მორჩილ კომუნისტურ პარტიებსაც გული გაუცყდათ მოსკოვზე და სცილობენ მის ყმობიდან თავი დაიძვრინონ. დასავლეთშიდ კომუნისტურ პარტიათა გავლენა საგრძნობლათ დაეცა, მრავალ ევროპიულ კომუნისტურ პარტიებშიდ მოხდა ორად გაყოფადა დაარსდა ორ-ორი კომუნისტური პარტია: საბერძნეთშიდ, შვეციაში, ისპანიასა და ფილიანდიაში. უფრო კიდევ საგულისხმო ფაქტი, მოსკოვი იძულებული გახდა უკანასკნელ მოსკოვის პარტიულ ყრილობაზე მოეწვია ორ-ორი დელეგაცია პრო მოსკოვური და ანტი მოსკოვური იგივე/უფლება- უპირატესობით , თანასწორ უფლებებში და ცუჩებში ჩაკოცვნით თანახმათ რუსულ ადათისა. რომ უფრო ნათლათ გავერკვეთ სბჭოთა კავშირის ავტორიტეტის დაცემაშიდ"მოძმე პარტიათა" მოსკოვისაგან გამანთავისუფლებელ განვითარების მისწრაფებაში,

საკმარისია ჯერ კიდევ ჩერნენკოს მეფობის დროს მომხდარი ფაქტის აღნიშვნა. 1984 წელს პრაგაში ჩერნენკომ 91 "ძმურ პარტიებს" წინადადება მისცა მსოფლიო კომუნისტურ პარტიათა კონფერენციის მოწვევისა, რომელზედაც მათ რუსული "ოტკაზით" უპასუხეს. მიუხედავათ გორბაჩევის დიდი სურვილისა, ის ვეღარ ბედავს ამ წინადადების განახლებას და მხვედრობის მიცემას. სამაგიეროთ გორბაჩევმა დღემდე ქერძოფივით მწვავე სიტყვებით, რომ იხსენებიებლენ 22 მარტს 1986 წელს განსაკუთრებულ პატივით მიიღო მოსკოვში დიდი დელეგაცია მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლობისა და "ძმური" სიყვარულით ესაუბრა მის თავჯდომარეს ვილი ბრანტს და ინგლისის ტრავაისტების წარმომადგენელს, რადგანაც გორბაჩევი ფიქრობს მომავალ. არჩევნებში ისინი გაიმარჯვებენ და სურს მათან დაახლოება, ამერიკელების წინააღმდეგ გამოსაყენებლად. მათი ჩამოშორების მიზნით. ამიტომაა, რომ პოლიტბიუროს ოფიციალურ ცნობაში ("პრავდა 31მაისი 1886 წელი) ჩვენ ვკითხულობთ მოწოდებას"საბჭოთა ხელმძღვანელობის აუცილებელ დაახლოებას მეორე სოც. ინტერნაციონალთან განსაკუთრებით გერმანიის სოციალ დემოკრატებთან"

--..--

საბ.თვალ უწვდენელ იმპერიაში ესათუოთ რაღაც მოიშა-. ლა, ეს კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავა მისი დრო მოჭმულ ცხოვრებისათვის მიუღებელ ეკონომიის დეგრადაცია დაქვეითებამ, რაც კიდევ უფრო გაამწვავა ჩერნობილის მოულოდნელ კატასტროფამ და შეარყია ჯერ კიდევ გორბაჩევის ხაეგებით პოლიტიკური მდგომარეობა, მას უკვე კონკურენტი გაუჩნდა მეტად გავლენიან ლიგაჩევის სახით, რაც უსათუოთ ასუსტებს და მის ხალხში.

დაეჭვებას იწვევს პარტიისა და კრემლის მართველთა შეუცდომლობაში, რაც მეტად ცუდი ნიშანია დიქტატორულ ტოტალიტარულ საბჭოთა იმპერიისათვის.

საბჭოთა წყობილებას უხათუოთ ბზარი შეეპარა, რომელიც შეიძლება მომავალში ნაპრალად იქცეს და თან ჩაიტანოს საბჭოელთა რეჟიმი მის უფსკრულში .

თუ ამერიკა-ევროპის ერთობა განმტკიცდა ,რის აშკარა ნიშნებს უკვე ვხედავთ, ეს იქნება საბ. რუსეთის უეჭველი დაღმართ დაღმართ ხვლის დაწყება , სამართლიანობის ტრიუმფი, ერთა თავისუფლება და მხოფლიოშიდ მშვიდობიანობის აღდგენა დამყარება.

ლევან ფაღავა.

--..--



პირველი ნაბიჯი.

---

მოხუცთა დაცოცხვა, უმაღლეს საპასუხი-
სმგებლო ადგილებიდან გორბაჩევის მიერ.

# მოკლედ

საფ. პრეზიდენტ მიტერანის მოგზაურობის შესახებ საბ. კავშირში მეტად მუნჯი და ცოტა ცნობებია დასავლეთის პრესაში, რადგან ის აღარ იზიდავს საერთო ყურადღებას . მოსკოვმა დაჰკარგა ნდობა და ავტორიტეტი ყველგან ყველა ფრონტებზე მისი აგრესიული ექსპანსიის პოლიტიკით და მის ნამდვილი ზრახვების გამომჟღავნებით.მიტერანი გორბაჩევთან ბაასის დროს დარწმუნდა რომ მათ შორის აღმართულია გაუვალი კედელი ყველა აქტუალურ საჭირბოროტო საკითხებზე.ერთად ერთი ცვლილება ესაა მხოლოდ გორბაჩევის ღიმილი, რომელშიდაც უფრო მოხერხებითაა მალულად ჩაქსოვილი იგივე ძველი საბჭოთა პოლიტიკა გახვეული. ქება დიდების კორიანტელში საფრანგეთისადმი, მისი ამერიკიდან საბოლოო ჩამოშორების მიზნით.

გორბაჩევი იგივე პირწავარდნილი ტიპია, საბჭოთა სისტემის"ახალი" პროდუქციის უფრო საშიშ მოქნილ ზრდილობიან ფორმებში, განსხვავებით მაგალითად გრომიკოსაგან, რომელიც ცივად ყველაფერზე "ნეტს" გაჰკიოდა. გორბაჩევი ყველაფერს დაგპირდება, მაგრამ არაფერს არ შეგისრულებს.

ცნობილია, რომ ოფიციალურპირთა მოგზაურობის საგზაო მარშრუტი წინდაწინვეა განსაზღვრულ ფორმებში შეთანხმებით შემუშავებული, სტუმრის სურვილების დაკმაყოფილებისთვის.

მიტერანმა სურვილი გამოთქვა საქართველოში მგზავრობის, განსაკუთრებით კი მისი ეკლესია მონასტრების ნახვის , რაზედაც მოსკოვი უყოყმანოთ დათანხმდა.

48 საათით ადრე მგზავრობის დაწყებისა მოსკოვმა ეს მარშრუტი პროგრამიდან ამოშალა საქართველოშიდ უჩვეულო "ყინვების" გამო და ნაცვლად საქართველოსი მიტერანი წაიყვანეს ლ. ტოლსტოის სახლშიდ, მიტერანს თურმე ძალიან უყვარს ეს დიდი რუსი მწერალი ფრანგები შესანიშნავად მიხვდნენ, რომ მოსკოვს სრულებითაც არ სურდა მიტერანს ენახა სბჭოთა "თავისუფალი რესპუბლიკები"გასაკუთრებით საქართველო და მათ ყოფა ცხოვრებას ადგილზე გაცნობოდა.

აქაური პრესის შთაბეჭდილებაა, რომ სამწუხაროთ გარდა უმნიშვნელო კომერციულ ხელშეკრულებებისა მთავარ საკითხებშიდ ე. ი. ატომიურ თუ განიარაღების შემცირების საკითხებშიდ შეიძლება ითქვას ფიასკოთი დამთავრდა. ასკვნის აქაური პრესა.

--..--

გორბაჩევმა მისი საგარეო მინისტრი ლონდონში აფრინა, რომელმაც გორბაჩევის მოპატიჟება გადასცა ინგლისის პრემიერ მინისტრს ტაჩერს და მის საგარეო მინისტრს. შევარდნაძე ესაუბრა მის კოლეგას განიარაღების შესახებ, მაგრამ შორს მჭვრეტელი ინგლისელი მიუხვდა შევარდნაძეს , რომ მისი სიტყვები მხოლოდ მორიგი ჩანჩქერია უფრო ლამაზ ჩარჩოში ჩასმული ამერიკა ინგლისის დაშორებისათვის.ეს არა საქმიანი და არა სერიოზული მოლაპარაკებაც დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.ვერც ჩვენი თანამემამულის მშვენიერ სანდობიან ღიმილმა ვერ მოინადირაჭკვიანი ინგლისელი მინისტრის გული.დაპატიჟება მალაში რჩება.

--..--

# მ ი ლ ო ც ვ ა .

--..--

ჩვენს მცხოვან პატივცემულ ბატონ გოგი ნაჭაშიძეს დაბადებიდან 92 წელი შეუსრულდა.
ნიშნათ პატივისცემისა და სიყვარულისა, საქართველოს სოც. დემოკრატიულ პარტიის საზღვარ გარეთელ ბიურომ და "ჩვენი დროშა"-ს რედაქციამ ჯერვანი პატივსაცემი მილოცვა გაუგზავნა მას და უსურვა ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე, დაუშრეტელი ბედნიერება და განთავისუფლებულ სამშობლო საქართველოს ხილვა.

დ. ფ.

პარიზი აგვისტო
1986 წელი.

## ჩვენი სახალხო გვარდია

### I.

12 დეკემბერი საქართველოს, ქართული დემოკრატიის პირმშო შვილის სახალხო გვარდიის დღეა, რომელიც დიდი ზეიმით აღინიშნებოდა დამოუკიდებელ საქართველოში. "სწორედ ამ დღისა - წერს სოციალისტი ჯიბლაძე თავის მისალოც წერილში 'დიდი დღე'("ერთობა",12.12.1919) - მე ყოველთვის მაგონებს დიდი გოეთეს ისტორიულ სიტყვებს. ცნობილია, საფრანგეთის დიდ რევოლუციას ყველა ქვეყნების რეაქციონერ სახელმწიფოებმა საომრად ომი გამოუცხადეს. როცა ამ რეაქციონერთა კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი ჯარი პირველად სასტიკად დაამარცხა ცუდად შეიარაღებულმა, მარა თავიანთ რევოლუციურ მონაპოვართ კარგად, მამაცურად დამცველმა საფრანგეთის ხალხმა, ამ დამარცხების პირადათ მოწმემ გოეთემ სთქვა: 'დღეიდან აქ, ამ ადგილას იწყება ახალი ხანა მსოფლიო ისტორიისა'. მსოფლიო ისტორიისა რა მოგახსენო, ჩვენი ხალხის განვითარების ისტორიაში კი სწორედ 12 დეკემბერს სწორედ აქ - თბილისის არსენალზე იწყება ახალი ხანა. სწორედ ამ დღეს, ამ ადგილას საქართველოს დემოკრატიამ აუწყა ქვეყანას, რომ მას აქვს უნარი, არა მარტო თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლისა,არამედ ამ ძვირფასი განძის დაცვისა."

"შებინდებისას დაიძრა ჩვენი მცირე ლაშქარი...იმავე საბედისწერო ღამეს, იმავე კურთხეული იარაღის მხიარულმა რაკრაკმა გვამცნო სანუკვარი ამბავი, რასაც ისე მოუთმენლად ველოდით:'არსენალი დავიჭირეთ.'"

ეს მოხდა 1917 წლის 12 დეკემბერს, და ეს დღეა საქართველოს სახალხო გვარდიის დაბადების დღე. და თუ ახლა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სამოცდა-მეორე წლისთავთან დაკავშირებით ვლაპარაკობთ სახალხო გვარდიაზე, ეს გამოიწვია იმან, რომ ხელში მაქვს 1919 წლის 12 დეკემბრისა და 1920 წლის 12 დეკემბრის გაზეთი "ერთობა", ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა, რომლებშიც აღწერილია თუ როგორი ზეიმით აღინიშნა საქართველოს სახალხო გვარდიის მეორე და მესამე წლისთავი; და იქვე გამოქვეყნებულია, მრავალ სტატიათა და მილოცვათა შორის, ჩვენი პოეტების გიორგი ქუჩიშვილისა და გალაქტიონ ტაბიძის ლექსები, მიძღვნილი სახალხო გვარდიისადმი. აი ეს ლექსები:

### 12 დეკემბერი

მოდიან, მოყიჟინებენ,
სახალხო გვარდიელები,
დარაჯნი რესპუბლიკისა,
თავისუფლების მცველები!
მოდიან, მოგუგუნებენ,
ცას მოარხევენ ჰანგითა;
წინ ველები არწივებს
ჩემი მქუხარე ჩანგითა!
გზა! გზა მიეცით! მოდიან,
სახალხო გვარდიელები,
დარაჯნი რესპუბლიკისა,
თავისუფლების მცველები!
მოდიან, მოიმღერიან,
დროშების ცაში ფრენითა;
ისეთი სანახავია,
ვერ გამოითქმის ენითა!
მსურს ყველას გადავეხვიო
და დავუკოცნო პირი მე,
მაგრამ ცრემლები მერევა
და სიხარულით ვსტირი მე!
მოდიან დარაზმულები
სახალხო გვარდიელები,
დარაჯნი რესპუბლიკისა,
თავისუფლების მცველები!
ხალხი ქედს უხრის, უყვარს
ვაჟა, სამშობლოს გმირებსო;
მათი ღვაწლი და ამაგი
მტერსაც კი გააკვირვებსო!
და მართლაც საკვირველია

გვარდიელების მხნეობა,
მტრომაც არის საგრო
დღეს მათი ზეიმ-დღეობა!
გზა! გზა მიეცით! მოდიან,
სახალხო გვარდიელები!
დარაჯნი რესპუბლიკისა,
თავისუფლების მცველები!
მოდიან, მოუგინებენ,
ცას მოარღვევენ ჰანგითა!
წინ ვეებები საუკარლებს,
ამღერებული ჰანგითა!

ა. ქუჩიშვილი.

---

12.12.1919 **ე რ თ ო ბ ა.** 12.12.1920

---

# გ ვ ა რ დ ი ა

12. XII 20.

სული გვქონდეს უპატიკეს თოვლისა!
პირადათ მე სიკვდილამდე მექნება—
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:
პოეზია უპირველეს ყოვლისა!
პოეზია უპირველეს ყოვლისა!

და გვარდია მიყვარს. მასთან ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახავარ.
ერთი გვანთებს შუქი სვეტიცხოვლისა:
საქართველო უპირველეს ყოვლისა!
საქართველო უპირველეს ყოვლისა!

დაგვამცირონ, მაგრამ ვერსად დაგტოვონ;
მაინც დაგფენთ გულის შენ, გალაკტიონ.
ამღერება, რეზონანსით მოვლისა.
პოეზია უპირველეს ყოვლისა!
პოეზია უპირველეს ყოვლისა!

დღეს პკვეის ბზე, ალუბლები, ატამი..
ისევე დღეა შენი, მაშასადამე
შორის სული დოვინ დოვინ-დოვლისა...
საქართველო უპირველეს ყოვლისა
საქართველო უპირველეს ყოვლისა'

ტფილისი. გალაკტიონ ტაბიძე.

# გ ვ ა რ დ ი ა

12. XII. 1920

თვალს ნაზი და მთვარეული
აღელვებდნენ ლანდები
ვიყავ თქვენში ჩარეული
ლხინით თვალ-ანანთები.
მოგვეჩვენა ტრიანონის
კოშკში გულის ნდომანი
და გრეზისა და მანონის
სევდიანი რომანი.
მიგვეფრენდით ქარში მერნებს,
ჰიხვინებდნენ მერნები,
სასახლეებს და ტაძრებს
ცვლიდნენ სხვა ტავერნები.

და ვხედავდით როგორ ელებს
სულს ვედრება ხილისის
და ვხედავდით ცისფერ ნილაბს
მხოლოდ ერთი ქალისას
სამშობლოზე ოცნებები
თითქო შვლის სიმარდეა...
წინ, გვარდია!! შენი ხმები
მხოლოდ სხვაზე დარდია.

ტფილისი.

გალაკტიონ ტაბიძე

# გვარდია

**12. XII. 20**

ედლე'ასწოვლობით პირველ თაველებს
მო'ასწრელი ვარდთა დაგებით.
ბაღებს რტოები აყვავილებს
აიენებს ნობა და ფარდაგები.
განთიადისას წავიდით ტყეში
თვალებს მოგვდო ბლვა წყაროთა
ყვავილს, რომელსაც ჰქვია ნუგეში
ჩვენ დავეძებდით და ვეისაროდა.
ვეძებდით იმებს, მტრების ხაზინას,
თოფების ბოლმ წრეებს გვადენდა,
არც მოგვასვენებს, არც დაგვაძინებს
და ასე, აჰა, შემოგვეთენდა.
უცრად მტერი აეშალეთ მთაში
გამოვედევნეთ ისარი ჯირითით.
შეურთოთ'ით დაკრეს ფოთლებმა ტაში.
ჩვენც სახარული არ დავირიდეთ.

ტფილისი — გალაკტიონ ტაბიძე.

II.

და ამ ლექსების, განსაკუთრებით გალაკტიონ ტაბიძის პირველი ლექსის- "გვარდია" გამოქვეყნება ა ხ ლ ა, განაპირობა არა მარტო ამ ლექსთა მართლაცდა შესანიშნავმა რაობამ, არამედ იმ ფაქტმა, რომ ეს ლექსები მკითხველებისათვის, როგორც საქართველოში, ისევე უცხოეთში, უცნობია, ვინაიდან ამ ლექსებში ქებადიდებით მოხსენებული საქართველოს სახალხო გვარდია ბოლშევიკებისათვის "მიუღებელია", რის შედეგად ამ ლექსებს თქვენ ვერ იპოვნით გალაკტიონ ტაბიძის ვერც ერთ ლექსთა კრებულში. საქართველოს სახალხო გვარდიისადმი მიძღვნილი პირველი ლექსი კი, როგორც ჩანს, "გადააკეთებიეს" გალაკტიონ ტაბიძეს, და სათაურით - "პოეზია უპირველეს ყოვლისა - გამოქვეყნებულია გალაკტიონ ტაბიძის რჩეულ თხზულებათა ერთტომეულში, რომელიც 1973 წელს გამოსცა "საბჭოთა საქართველომ" პოეტის დაბადების 80 წლისთავის გამო. აი ეს ლექსიც:

## პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!
მეგობრებო, სიკვდილამდის მექნება
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ,
მარად მანთებს შუქი სვეტიცხოვლისა:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

სიკვდილივით მარადია სურვილი
მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა,
ყველაფერში შუქით შემობურვილი:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თუ სამშობლო მაინც არ მომეფერის,
მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერის.
სიმღერები ხალისის და ბრძოლისა:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

რა თქმა უნდა, ეს ლექსიც - "პოეზია უპირველეს ყოვლისა" - შესანიშნავია, მაგრამ, ჩემი აზრით, მას "აკლია" ის ეროვნული აღმავლობა, აღფრთოვანება, რომელიც პოეტში გამოიწვია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენამ 1918 წლის 26 მაისს, და ამ ეროვნული დამოუკიდებლობის უსპეტაკესი დამცველის სახალხო გვარდიის დღესასწაულმა - 12-მა დეკემბერმა. საბჭოთა კრიტიკოსები, უდავოა, იმიტომ გაურბოდენ და დღესაც გაურბიან აღნიშნული ლექსის გამოქვეყნებას, რომ საქართველოს სახალხო გვარდიის ქებადიდება და ისიც ისეთი დიდი პოეტის მიერ, როგორიც გალაქტიონ ტაბიძე იყო, აღმოეფხვრათ ჩვენი ერის ცნობიერებიდან.

III.

მაგრამ გალაქტიონ ტაბიძის აღნიშნულ ლექსს არც ემიგრაციაში ჰქონდა იღბალი: ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაშიც გამოჩნდა მცირე ჯგუფი "გზააბნეულთა", რომლებმაც, მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში, "ქართული ფაშისტური დარაზმულობის" "ყიჟინათ" აქციეს - "საქართველო უპირველეს ყოვლისა!" და, როგორც ერთი პოლიტიკური ემიგრანტი ამბობდა, რომელიც, როგორც ჩანს, ამ ლექსის მხოლოდ "საბჭოთა ვარიანტს" იცნობდა, - თითქოს მან, პირადათ შეცვალა "პოეზია უპირველეს ყოვლისა" გამოთქმით - "საქართველო უპირველეს ყოვლისა!"

IV.

მოდი, ღმერთმა აპატიოს ყველა მათ "მათი ცდუნებანი", და შევეცადოთ პოეტური აღფრთოვანება და პოლიტიკა ერთმანეთში არ ავურიოთ, ვინაიდან პოლიტიკა "შესაძლებლობის ხელოვნებაა" და არა პოეზია. თუ ვინმე კიდევ სხვა აზრისაა?!..

V.

ვლაპარაკობთ რა სახალხო გვარდიაზე, ვფიქრობ, საჭიროა კიდევ ერთხელ მოვიგონოთ გენერალ გიორგი კვინიტაძის ზოგიერთი აზრები საქართველოს არმიისა და გვარდიის შესახებ, რომელიც აღნიშნულია საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის - გენერალ გიორგი კვინიტაძის - 1920 წლის 14 სექტემბრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა შ ი:

"ჯარისა და გვარდიის მეომარნო! თქვენ მხარდამხარ ერთმანეთთან ღვრიდით სისხლს ჩვენი სამშობლოს დასაცავათ და ამით კიდევ უფრო დაუკავშირდით ერთმანეთს. წითელ ხიდთან ბრძოლის დროს სახალხო გვარდია გმირულად იბრძოდა უფრო მრავალრიცხოვან მტერთან, რომელიც მანამდე ძლევამოსილი მოდი-

ილა ათას ვერსს. მაგრამ საქართველოს შვილებმა პირველ შეტაკებისთანავე დაამარცხეს ის. გვარდია ღირსეულათ და სრული თავგანწირვით იბრძოდა მტერთან, იმის სურვილით გატაცებული, რომ მუდმივი ჯარისათვის საშუალება მიეცა მტრის შესახვედრათ მომზადებულიყო! გვარდიამ ჩვენი სახელოვანი წინაპრებივით შეასრულა თავისი მოვალეობა, გმირულად და სახელოვნათ".

"აღსდგენ საქართველოს გმირები!

დიდება სამშობლოს, დიდება თქვენ!

გაუმარჯოს საქართველოს და მის სახელოვან მხედრობას.

გენერალი კვინიტაძე

("ერთობა", ნომ.209,14 სექტემბერი, 1920 წელი).

VI.

და როგორ აფასებს ჩვენი დიდი პოეტი - გალაქტიონ ტაბიძე - ჩვენს სახალხო გვარდიაზე? -

"და გვარდია მიყვარს. მასთან ნახევარ
გზად დადიოდი არვის არ ვუნახავარ."
"დაგამცირონ, მაგრამ ვერსად დაგტიონ;
მაინც დაფნით გელის შენ, გალაქტიონ..."

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1986 წლის აგვისტო

## ვინ ან რატომ მოკლეს ილია?

ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შესწავლა, მისი მსოფლმხედველობა, მისი შეხედულება ცხოვრების მამოძრავებელ ძალებზე, მთელ პრობლემას წარმოადგენს. მისი წარსული, იმ დღიდან, როდესაც ის ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა, იმდენად რთულია, რომ ძნელია, საიდან და რა მიმართულებით განიხილო ის ფასდაუდებელი ამაგი, რაც მან ქართველ ერს დასდო.

იმ დღიდან რა დღიდან მისმა თავმა აზროვნება დაიწყო, ვერ ნახავთ, რომ მის თავში რაიმე საკითხი დაუმუშავებელი დარჩენილიყოს, და იმ დროსთან შეფარდებით შესაფერი პასუხი არ გაეცეს. ამ ადამიანის სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური შეხედულება, ყოველთვის საქართველოს ბედზე, ქართველების ხვედრზე და მისი მომავლის გარშემო ტრიალებდა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ "გლეხი არის სული და გული ჩვენი ეროვნული ერთობისა"-ო.

ილიამ საქართველოში ახალი კლასის გაჩენა ჩვენს ზოგიერთ ე.წ. "პოლიტიკურ" მოღვაწეებზე ადრე შეამჩნია და მისცა გაფრთხილება, რომ გამოღვიძებულიყო და უთხრა: "ახლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი ან ჩარხი ქარხნისა", რომ "ჩვენი ნაღვაწი ჩვენვე შევინარჩუნოთ" და "სხვისი დაუჭერელი ადგილი მაინც დავიჭიროთ", რადგან საჭიროა "თვითეულის გარჯით და ბრძოლით მოპოვებული სიკეთისგან ყველას თავისი ერგოს"-ო.

მან ძალიან კარგად დაინახა, რომ ძველი დასავსებული ცხოვრება, მათი მამოძრავებელი თავადაზნაურობის კლასით, რომლებიც, რუსეთის რეჟიმის ლაქიებში გასდნენ და მათი ნასუფრალით ცხოვრობდნენ, ისტორიას ბარდებოდა და მის ადგილზე, რაღაც ახალი იქმნებოდა. მისი მთავარი ძალა იყო მიმართული იქითკენ, რომ ეს ახალი, ყოფილიყო ძლიერი, ერთიანი და დაუნაწილებელი თუ გინდ იმ ძალასთან ერთად, რომელიც სულს ლაფავდა, რადგან გამოსავალს ხედავდა ერთიანობაში და მოუწოდებდა, რომ "ერთად შევგროვდეთ" "კარგად შეკრული ამხანაგობის" გარშემო, "შეერთებისაკენ მთელ ერში" და რა თქმა უნდა "წოდებათა დაუყოფლად", რადგან დაყოფით მხოლოდ მტრები სარგებლობენ.

"აღსანიშნავია შემდეგი ისტორიული ფაქტი. 90-იან წლების დამდევს ილიამ თავისთან, რედაქციაში მიიწვია დასელთა ცნობილი პუბლიცისტი და "ივერიის" რედაქტორობა შესთავაზა", სწერს გაზეთი "კომუნისტი" 1986 წლის 11 მაისის ნომერში. ცხადია, რომ ეს "დასელთა ცნობილი პუბლიცისტი" იყო ნოე ჟორდანია. (ის. მისი "ჩემი წარსული") და მისი მიწვევის მიზანი იყო; რა თქმა უნდა, რომ "ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უბრძოლველად" და უნდოდა, რომ საქართველოსთვის თავიდან აეშორებია დამყოფელი დაპირისპირება დაამბობდა "დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს და არა იქითკენ, რომ ერთმანეთს შევესიოთ და ციხე სიმაგრე ჩვენი, ჩვენვე შიგნიდან გავტეხოთ"-ო. ის საქართველოს ხედავდა ერთიანს, დამყარებულს ყველას უფლებაზე და ყველას თანასწორობაზე, წოდებრივ უფლებათა გარეშე.

ცხოვრებამ თავისი ქნა, კაპიტალიზმის განვითარებას, როგორც ყველგან,

ჩვენშიც მოყვა ახალი კლასის წარმოშობა და რადგან ძველი დახავსებული,წოდებრივობაზე აგებული კლასი იარაღს არ ყრიდა და მიუხედავათ ილიას მისწრაფებისა და ცდებისა იმ მიმართულებით, რომ თავიდან აეცილებია ერის დაყოფა-დანაწილება და ერთსულოვნება შენარჩუნებულიყო, ორ მოწინააღმდეგე კლასთა შორის მაინც გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მეფის მთავრობამ ისარგებლა დაჭიმული იდეოლოგიური ბრძოლით და პროვოკაციის მიზნით, ვილაც დაქირავებული პროვოკატორს მოაკვლევინეს ილია, და ეს კრიმინალური დანაშაული სოციალდემოკრატებს გადააბარეს,რომ იდეოლოგიურ ბრძოლას მიეღო ძმათა შორის სისხლის ღვრის სახითი და დაცემულიყო ავტორიტეტი სოციალდემოკრატებისა,რომლის სახელი მაშინ მთელ რუსეთს აზანზარებდა... "ცარისტული მონაქორის ხმაურს აყვენ "პოლიტიკური ქამელეონები" ქართული ნაციონალისტები,რითა სოციალდემოკრატებისათვის ჩირქი მოეცხოთ და ქართველ ხალხში სახელი გაეტეხათ, როგორც თავისი იდეურ მოწინააღმდეგისათვის. გასაკვირვებას იწვევს ის, რომ ახლაც ეხმაურება ზოგიერთი ლიტერატორი და იზიქტურაც ცილისწამების მონაწილე ხდება".1986 წლის 11 მაისის გაზეთი"კომუნისტი".

1907 წლის 30 აგვისტოდან, როდესაც ილიას მოკვლის საზარელი ამბავი ცნობილი გახდა, მთელი საქართველო ფეხზე ადგა, როგორც ერთი. რუსეთის მთავრობას და ქართველების იმ კლასს, რომელთაც სახელმწიფო სადავეები ხელში ეპყრათ, თავი არ შეუწუხებიათ ილიას მკვლელობის სინამდვილის გამოსააშკარავებლად,რადგან აღბათ ეშინოდათ, რომ ბოლოში "დიდი ლოქო"გაებმნებოდა და იმ დიდებულ კლასს, რომლის ძარღვებში "მტრედის ფერი" სისხლი ჩქეფდა არ სურდათ, უდანაშაულო სისხლის დანთხევის ავტორები გამოსულიყვნენ, წიწამურის ცოლვილ გზაზე.

1920 წლის ბოლოს, დამოუკიდებელი საქართველოს დიდმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტში შეიტანა წინადადება ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამოძიებისათვის და დამნაშავის სასტიკად დასჯის შესახებ. მოითხოვდა გამოყოფილიყო კომისია პარლამენტის, იუსტიციის და საშინაო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ, რაც იქნა მიღებული, მაგრამ ეს საქმე 1921 წლის 25 თებერვალმა დაასამარა ისე, როგორც ბევრი ბაჭირბოროტ და საჭირო წამოწყებანი ერის ისტორიაში. აღსანიშნავია ის უკუღმა მიდგომა ილიას სიკვდილის მზის სინათლეზე გამოტანისათვის, რადგან ყველა იმას ეძებს თუ ვინ ესროდა და არა იმას ვინ ასროლია თოფი, რადგან თოფის მსროლელი და გადაგვარებული პირი ერთში ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება. ილიას მოკვლის საკითხი თავიდან პრობლემათ გადაიქცა,რადგან,როდესაც ის მოკლეს და ადვილი იყო სიმართლის გამოაშკარავება რეჟიმს არ აინტერესებდა, რადგან რეჟიმი და ქართველი გადაგვარებული თავადაზნაურობა, რომლებსაც გვარი რუსულად ქონდათ გადაკეთებული და ქართულად ლაპარაკი სირცხვილად მიაჩნდათ ილიას მოღალატე თვლიდენ.

თავის ცხოვრების მანძილზე, ილია ერის სახელით ლაპარაკობდა და გასჟკვირია, რომ ზოგიერთების"დადგენილებებით" ერს არ აქვს უფლება, რომ მისი სახელით ილაპარაკოს და მხოლოდ რაღაც 7 ან 8 პროცენტის საკუთრების მონოპოლიად გაუხდიათ. გასაკვირია ისიც, რომ მცნება "საბჭო" კომუნისტური დიქტატურის საკუთრებად გადაუქცევიათ და დაივიწყებიათ, რომ ილია"სახელმწიფო საბჭოს"მემარცხენე მიმდინარეობას"ეკუთვნოდა და იქიდან იცავდა საქართველოს და დაჩაგრული ერების ინტერესებს. უფრო მეტი დაივიწყებიათ, რომ მთიულეთში"უხუცესთა საბჭო" იყო კანონმდებელი ადათთა, ჩვეულებათა და

მართლ-მსაჯულებისა; სამწუხაროა, რომ უარვყოფთ ძველ და კარგ ზნეჩვეულებებს და სრულიად ბრმად მას ბოლშევიკებს ვაკუთნებთ. ილია, რომ საშკოს წევრი იყო ზოგიერთებს ის ბოლშევიკი ხომ არ გონიათ. ნუთუ ბჭობა არ შეიძლება იყოს წალმართული? სანანებელია, რომ დავკარგეთ ბჭობის უნარი?

ცნობილია, რომ დიდ ადამიანებს საუბედუროთ სიცოცხლეში არ აფასებენ და არ უვლიან, როგორც საჭიროა. საილუსტრაციოთ მოვიყვანოთ ილია ჭავჭავაძის კუბოს შესვენების დროს სიონის ტაძარში, ეგზარხოს ლეონიდეს მიერ 1907 წლის 6 სექტემბერს წარმოთქმული სიტყვიდან ამონაწერი:"დამწუხებულნი ვართ ყველანი დიდიდან პატარამდე შენ წინაშე, სულო მაღალო! არც კაცი და არც ქალი, არც სწავლული და არც უმეცარი, არც დიდი და არ პატარა არ გაესხებლით ღირსეულად და სწორედ ამან გასადა შესაძლოთ შენი ძვირფასი სიცოცხლის მოსპობა ვერაგი ხელისაგან, შენთვის ისიც დიდი გასახარელი და სანუგეშო იქნება, რომ ეხლა მაინც შევიგნოთ ჩვენი მძიმე დანაშაული."

ამა თუ იმ ერში დიდი ადამიანები ხშირად არ იბადებიან, ან როდესაც იბადებიან, ის ეპოქაზე, ჩამორჩენილია ან ხშირად წინ უსწრებს კიდეც. ბევრ შემთხვევაში დიდი ადამიანები ვერ ფასდებიან სათანადოთ იმ მომენტში,რომელშიდაც ის ცხოვრობდა და მოქმედებდა და ათასი დაბრკოლებების გადალახვა უხდება, რომ თავისი ცხოვრება ცოტათ თუ ბევრად კალაპოტში ჩააყენოს. მაგალითად, ემილ ზოლას ცხოვრებისა და მოქმედების გზა ყველასათვის ცნობილია და ამ ნიადაგზე მისი ბედიც გასაგებია.

ილია ჭავჭავაძის დაბადება, განათლება, ცხოვრება და მოღვაწეობა იმდენათ არის უაღრესად საჭირო საქართველოს ისტორიაში,რამდენადაც ამ ეპოქაში მას ესაჭიროებოდა წინამძღოლი, რომელიც დაძინებულ ხალხს გამოაღვიძებდა და მის ჭირვარამს შეუმსუბუქებდა. ილია ჭავჭავაძემ, როგორც ბუნებრივი ნიჭით უხვად დაჯილდოვებულმა, სწორ-უპოვრად გამოიყენა მაშინდელი საქართველოს მდგომარეობა და იმ დღიდან, რა დღიდან მან საზოგადოებრივი თუ სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო, ისე კარგათ ისარგებლა საქართველოს მაშინდელი უკუღმართი ბედისწერა, რომ არ გამორჩენია, არც ერთი მომენტი, რომელიც მას სათანადოთ არ გამოეყენებინოს და მის გადაწყვეტაში უაღრესად პასუხისმგებელი მონაწილეობა არ მიეღოს. მან კარგად შეისწავლა მის წინამორბედთა დადებითი და უარყოფითი მოქმედებანი. თით რაც საჭირო და აუცილებელი იყო და დაულო ფუძეთ მის ფართო მოქმედებას,რითაც მან შექმნა მძლავრი იდეური ბაზა,მაშინდელი პოლიტიკური და ეროვნული შესაძლებლობის ფარგლებში. ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია, რომ თითქოს ილიამ მისდროინდელი რუსული გამანთავისუფლებელი მოძრაობა,როგორც "თერგდალეულმა" კრიტიკის ქარცეცხლში გატარების გარეშე უცვლელად გადმოიტანა საქართველოში. პირიქით მან მის მოქმედებას დაუდო საძირკვლად ქართული საზოგადოებრივი მოძრაობის კარგად შესწავლიდან გამოტანილი დასკვნები.

ცხოვრების წინსვლა და პროგრესი მისთვის უცხო არ იყო. იცოდა, რომ "ერის ისტორია ყველას მიერ არის შექმნილი"."ჩვენი საქმე ქართველი ხალხის ცხოვრებაა", ამბობდა ის, რადგან ქართველი ხალხის ცხოვრება ქმნიდა ქართველი ხალხის ისტორიას, რომლის კარგათ და საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ ის აკეთებდა სათანადო დასკვნას. რადგან გასულის საუკუნის 60-იანი წლები ქართველი ხალხის ისტო-

რიაში, ახალი ხანა გახდა, ერის ცხოვრებას დაეტყო გამოცოცხლება და ეროვ-
ნული გამათავისუფლებელი მოძრაობა გახდა ინტენსიური. ილიამ ეს ახალი ხანა
"ხმლისა და გუთნის" თეორიაში გამოხატა. რადგან ის არც გუთნის კაცი იყო და
არც ხმლის, მან თავისთავად მონახა მესამე და მთავარი და უძლეველი საშუალება,
რომელსაც კალამი ქვია და ამ კალამს ის ისე მარდათ და კარგად ხმარობდა, რომ
ვერც ერთი ხმალი ვერ უძლებდა და შეიძლება ეს იყო მიზეზი იმ უბედური კატას-
ტროფისა, რაც საქართველოს 1907 წლის 30 აგვისტოს დღის პირველ საათზე და
30 წუთზე, თავის სახლიდან 4 კილომეტრის მანძილზე თავს დაატყდა და სტრაჟ-
ნიკების პოსტიდან მხოლოდ სამი კილომეტრით იყო დაშორებული, რომლებსაც ბო-
როტის-მოქმედთა შესაპყრობად არავითარი ზომები არ მიუღიათ, გარდა "იქეთ გა-
ვიქეცით აქეთ გამოიქეცით"-ის განცხადების მეტი. ცხადია იმ გაქანების ადა-
მიანს, რომელიც დაჯილდოებული იყო ყველაფერი იმ სიკეთით, რაც მაშინდელ თა-
ვად-აზნაურობას არ ქონდა, მტრებისათვის საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენდა,
რომელიც მას ყველგან ყავდა: მარჯვნივ, მარცხნივ, ცენტრში, თვით იმ საზოგადო-
ებაშიც კი, სადაც ის დაუღალავათ მოქმედებდა და შურიანობის ნიადაგზე თა-
ნამშრომლებშიაც კი.აღსანიშნავია და აუცილებლად ანგარიშია მისაღები,რომ
მას მტრები უფრო მეტი ყავდა,ვიდრე თანამგრძნობები, და განსაკუთრებით გა-
ლოთვარებულ-გადაჯიშებულ თავად-აზნაურობაში,რომლებმაც ილიას არ აპატიეს
ის შეხედულებანი,რაც ილიას მათზე ქონდა.

"ვის ან რად უნდოდა ბრძოლაში დაფლეთილი გული პოეტისა, რად უნდოდა
მისი დაღლილ-დაქანცული სული და ჯანგამოლეული სხეული? ბრძოლის ველიდან
გასულ მეომარს,დატანჯულსა და დაქანცულ პლეხს უფლება ქონდა მშვიდათ დაე-
ლია თავისი სიცოცხლე". სწერს გაზეთი "ისარის" 1 სექტემბრის ნომერში მ.
ად-ლი(უნდა იყოს მიხეილ ადამაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ნამდვილი გვარი).

ცხადია ილია მოხუცებული,დაღლილი და ასე თუ ისე ავადმყოფიც საზოგადოებრივ
ცხოვრებიდან განზედ გამდგარი იყო. მან დიდი ხანია მწერლობასაც დაანება თა-
ვი და არც პოლიტიკური ცხოვრება იზიდავდა. და გადაწყვეტილი ქონდა, რომ დარ-
ჩენილ სიცოცხლე გაეტარებინა მოსვენებით თავისი მეუღლის მამულში, მისი ხელმძღვანე-
ლობით და გეგმით აშენებულ სახლში. მაგრამ, როგორც ჩანს მისი სიცოცხლის
ტრაგიკული დამთავრების აჩრდილი მის ოჯახს თავს დატრიალებდა. გაზეთ"ისა-
რის" 2 სექტემბრის მოწმობით "წასვლის წინ, როგორც გავიგეთ მეუღლეს ურჩევია
ქმრისათვის, ნუ წავალთ დღეს.გზაში საშიშიაო". მაგრამ არ დაუშლია და თავისი
თანმხლებლებით ორივე რევოლვერებით შეიარაღებული გამგზავრებულან თბილისი-
საკენ. თუ წავიკითხავთ 1907 წლის 14 სექტემბრის გაზეთ "თბილისის ლისტოკ-
ში" ქრისტეფორე მამაცაშვილის მიერ გამოქვეყნებულ წერილს შინაარს, საგუ-
ლისხმოა და თანაც დასაფიქრებელი, რადგან ნათლად ჩანს თუ რა დროში მოღვა-
წეობდა ილია ან ვისთან ქონდა საქმე მას და რას წარმოადგენდა,საერთოდ მაშინ-
დელი საქართველოს რჩეული კლასი თავად-აზნაურობას სახით და დავინახავთ თუ
ვისთან ქონდა ილიასანგარიში გასაწმენდი: კრებაზე სადაც გლეხთა განთავისუფლე-
ბის საკითხი იდგა, ილია ამდგარა და დაუსაბუთებია, რომ "გლეხობა უნდა იქნეს
განთავისუფლებული მიწებით". "კრების უმრავლესობა ამ კადნიერმა აზრმა ააშფო-
თა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძღვა-გინებით ილიასაკენ გაიწია
...

ყვირილით"გამიშვით,გამიშვით! ეხლავე უნდა მოვკლათ". გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივძლივობით გაიყვანეს კრებიდან. ზემოხსენებული ამბავი შეატყობინა ილია წინამძღვარიშვილმა, რომელიც მწერდა "ჩქარა თბილისში ჩამოდი. და რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ანტონ ფურცელაძეც მუდამ შორიახლოს მივსდევდით ილიას და მზად ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი"-ო,წერდა ქ. მამაცაშვილი. ქ.მამაცაშვილის წერილის ფაქტებს გაზეთის "ჩვენი გზის" 11 სექტემბრის ნომერში სრულიად ადასტურებს ქართველი ერის დიდი გამანათლებელი და თავიდან ილიას თანამშრომელი, ყველასაგან პატივცემული იაკობ გოგებაშვილი. "ბატონყმობის გაუქმების წინ, თავად-აზნაურობამ მოახდინა საზოგადო კრება, რომელზედაც თითქმის ყველანი ითხოვდენ გლეხების განთავისუფლებას უმამულოთ და უმიწოთ. ილიამ მედგრად აღუდგა წინ ასეთ აზრს და მოითხოვდა გლეხების განთავისუფლებას მიწა წყლით. ამან მეტად გააბრაზა კრება, ასე რომ ილია კინაღამ დარბაზში ხანჯლით დაჩეხეს და შემდეგაც მოსაკლავად დასდევდენ"-ო.

ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი პოლიტიკურად სხვადასხვა მიმდინარეობისანი იყვნენ, მაგრამ მთელი თავისი სიცოცხლე ერთად მუშაობაში გაატარეს, რადგან მათთვის პოლიტიკური შეხედულება კი არ იდგა პირველ რიგში, არამედ მთელი საქართველოს ბედიღბალი, რადგან დიდი ხანია იყო დასმული საკითხი მისი ყოფნა არ ყოფნისა. ამიტომ ეს ორი ადამიანი, საქართველოს ისტორიაში დარჩება; ილია როგორც ეროვნული შეგნებისათვის უდიდესი მებრძოლი, მაშინდელი შეგნებისა და მდგომარეობის მიხედვით და იაკობ გოგებაშვილი როგორც პირველი და უდიდესი გამანათლებელი,რომელმაც თავისი პოლიტიკური მრწამსი ზემოხსენებულ სტატიაში შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:"მშრომელი ხალხის სრულ განთავისუფლებას ჩვენ ყოველთვის წრფელი გულით ვნატრობდით და რაც კი შეგვეძლო ვემხრობოდით.ჯერ კიდევ 25 წლის წინათ, სახელდობრ 1881 წლის აპრილის თვეში გაზეთ "დროება"-ში ჩვენ დავსტამბეთ ორი მოწინავე წერილი,სადაც გავატარეთ ის აზრი,რომ ვიდრე მიწა სავსებით არ გადავა მხვნელ-მთესველის ხელში,ზავოდები და ფაბრიკები მუშათა ხელში, კაცობრიობაში ვერ დამყარდება ვერც საერთო კეთილდღეობა, ვერ თანასწორობა და ვერც თავისუფლება - მეთქი და დარჩება ახლანდელი აუტანელი მდგომარეობა, როდესაც მცირე ნაწილი კაცობრიობისა ყარს სიმდიდრისაგან დთ უმრავლესობა სიღატაკისაგანო".

აქ ახსნა განმარტება საჭირო არ არის და თუ"დაუჯერებთ" იმ ხალხს,რომლებსაც პოლიტიკა თავის სიცოცხლეში არ უწარმოებიათ და შემთხვევით დაიწყეს "პოლიტიკანობა" ან და ცარიელ ადგილს დაეპატრონენ გვეტყვიან,რომ "ილიას 120 წლის წინათ სოციალდემოკრატები დასდევდენ მოსაკლავადო". პოლიტიკური ადამიანისათვის ცოტა პოლიტიკის ცოდნაც არის საჭირო და რა მიმართულებას ეკუთვნის იმ ჯგუფში ცოტა თუ ბევრად ნამუშევარიც უნდა იყოს, მათ ავ კარგში უნდა ერკვეოდეს, მის პროგრამას კურსში თუ თავისი ხუთი თითივით არა სამი თითივით მაინც უნდა იცოდეს და რაც მთავარია უნდა წამდეს რას ემსახურება და ვის. ილია ჭავჭავაძე პარტიებში ხედავდა ერის დაუძლურებას, მის დაყოფას და დანაწილებას,რადგან "ობიექტიურად ჯერ კიდევ არსებობს საერთო ნაციონალური ამოცანები",რაც გზას უხსნის"შეერთებისაკენ მთელ ერში". უნდა ვიფიქროთ, რომ მდგომარეობამ ილია დააფიქრა,რადგან ხედავდა, რომ ერის ერთიანო

ბა ირღვეოდა, პარტიები თუ არა მიმდინარეობები მრავლდებოდნენ. მას უნდოდა თუ არა ურთიერთობა მწვავდებოდა, ამიტომ მიუხედავათ მისი ავადმყოფობისა, მან თავი დაანება მწერლობას და ყოველგვარ პოლიტიკურ მოღვაწეობას და გადგა განზე. დარჩა მხოლოდ სახელმწიფო საბჭოს მემარცხენე ფრანქციის აქტიურ წევრად. მან დაწერა საქართველოს ეროვნული დემოკრატიული პროგრამა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის ეროვნულ ერთიანობაზე ოცნებობდა და რაც შეეძლო ამ გზით მოქმედებდა კიდეც.ცხადია, რომ ამ პროგრამას არაფერი არ აქვს საერთო რომელიმე პარტიის პროგრამასთან,რადგან მაშინ პარტიებზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ საქართველოზე, ქართველებზე და მის მომავალზე. საქართველოს სამი თუ ოთხი ნაციონალ დემოკრატიული პარტია ან მისი მიმდევარი ყველა და რამდენიმე ვიცი, ილია ჭავჭავაძის პროგრამის სული და გული, მუხლი,რომელიც მაშინც კარგი იყო და ახლა განათლებულ ქვეყნებში დაიწყეს განხორციელება არც ერთ მათგანს თავის პროგრამაში არ აქვთ. რატომ? ვინ? ან რისთვის გაუკეთეს ცენზურა? აი,ამ მუხლის მთავარი დებულებები:"ქარხნისა და მრეწველობის მუშებისათვის პირობების გაუმჯობესებისათვის საჭირო არის ქარხნის მუშების კანონმდებლობის გაფართოება, შემოღება სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევის, თავისუფლება გაფიცვების, კრების, ორგანიზაციების, დაკანონება 8 საათიანი სამუშაო დღისა, ხელფასის გარანტიით და შემოღება მოგების განაწილების მუშებზე".

საკვირველია, რომ ხელფასის გარანტია და მოგების განაწილება მუშებზე დასავლეთში მხოლოდ ეხლახან დაიწყეს. ილიას პროგრამა დაწერილია დაახლოებით 90 წელიწადზე მეტია. რაც შეეხება პროგრამის სხვა მუხლებს,ცხადია, რომ მაშინ ეს პროგრამა აუცილებლად პროგრესიული იყო, მდგომარეობის მიხედვით, რომელიც მოითხოვდა საქართველოს ავტონომიას, რადგან "საქართველოს ბედი რუსეთის ბედთან თავისი ნება სურვილით არის დაკავშირებული...ამიტომ რუსეთის კანონებისდა დადგენილებების უფლება ხმარება უნდა ხდებოდეს განურჩევლად ეროვნებისა,სარწმუნოებისა და სქესისა...რა თქმა უნდა საქართველო არ ერევა საგარეო და საიმპერიო ფინანსიურ პოლიტიკაში...რუსეთის კანონები უნდა შეიცვალოს საქართველოს პირობებთან შეფარდებით...უარყოფა ყველა ბრძანებების და განკარგულებების, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონიერ ადამიანურ მოთხოვნილებებს...შემოღება ერობისა და გაუქმება ქალაქის მმართველობისა სრული თვითმართველობის შემოღებით...შემოღება ქართული ენისა ყველა სამოქალაქო საერობო მმართველობაში...ბატონყმობის ყველა გადმონაშთების სრული გაუქმება და გათანასწორება მოქალაქის, გლეხის და მუშის კანონის წინაშე...ქონებრივი, სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორობა ქალების კაცებთან...საბოლოო დაკანონება უფასოდ მიწის გადაცემისა გლეხობაზე,რომლებიც დროებით იყო გაცემული...თავისუფლება ქართველების დასახლებისა ქართულ მიწებზე...ძირითადი რეფორმა სახალხო განათლებისა და სავალდებულო განათლება დაწყებით სკოლებში ქართულ ენაზე...გახსნა და მოწყობა საქართველოში უნივერსიტეტის და უმაღლესი სპეციალური სასწავლებლების...პროგრესი სახელმწიფოებრივი და მშვიდობიანი ცხოვრებისა ქართველი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისათვის...თავისუფლება სიტყვის,პრესის,კრების და გაფიცვების...საქართველოს სრულ უფლებიანი მონა-

წილეობის მიღება დამფუძნებელი კრების მოწვევამდი...ივერიის ეკლესიის სრული ავტოკეფალია...თავისუფალი არჩევნები ეკლესიის მსახურთათვის...კათოლიკოსის უფლებაში გადაცემა ყველა ეკლესიების, მონასტრების, სასულიერო სასწავლებლების და საქველმოქმედო დაწესებულებების...დაბრუნება ეკლესიის განკარგულებაში მისი კუთვნილი მიწების, რომლებიც გადასულია სახელმწიფო ხელში...

ყურადღება უნდა მივაქციოთ და ანგარიშში უნდა შევიტანოთ,რომ ილიას მკვლელობის გამორკვევის საკითხი სწორი მიმართულებით პირდაპირ არ დასმულა, რადგან ის კი არ არის საინტერესო თუ ვინ ესროლა თოფი, არამედ ის თუ ვინ ასროლინა, რადგან თოფის მსროლელი ყველგან, ყველა კლასს, ყველა მიმართულებას და ყველა რჯულის ავაზაკ-ბოროტმოქმედებს ყავს. ამიტომ საკითხი უნდა დასმულიყო ასე: თუ ვინ მოაკვლევინა ილია?

ჩვენი მგოსანი პოეტი აკაკი, 1 სექტემბერს გაზეთ "ისარში" სწერს:"მოღალატენი ძველ დროშიც ყოლია საქართველოს, მამელუკები და იანიჩრებიც უმეტესად გადარჯულებული ქართველები ყოფილან. მირეულ თაორებზე ისინი უფრო ემტერებოდენ საქართველოს, დევნიდენ რჯულს და ეროვნებას. მაგრამ მაშინ საქართველო არ შებღალულა და ქართველობას სახელი არ გასტეხია! დღევანდელ სკოლებშიც... სადაც ახალგაზრდათათვის გმირები საბერძნეთიდან და რომიდან მოყავდათ სამოქმედოთ, აზეპირებდენ ტაციტს და იმავე დროს ავიწყდებოდენ ჩვენს ისტორიას, ჩვენს წარსულს, ქართველ გმირებს, ამისთანა სასწავლებლებში, რომ ერთი ორი ჩვენი დროის შესაფერი მამელუკ-იანიჩარი გამოვიდეს, ქვეყნის მტერი და მოსისხარი რასაკვირველია? და სწორედ იმათმა ჩაიდინეს ეს საზიზღარი საქმე!.. და არა გლეხობამ ან რომელიმე დასმა, რომელზედაც სულ სხვა წარმოდგენა მაქვს და ტყუილია ნუ მიწამლავთ მოხუცებულს გრძნობას დღევანდელი მითქმა-მოთქმით".

ილიას დასაფლავების დროს ი.ზურაბიშვილის სიტყვაში აშკარად არის ნათქვამი და მოწოდება, რომ ილიას სიკვდილს, საქართველო გამოეცოცხლებინა! "დე ამ წმინდა მსხვერპლმა მაინც შეაგნებინოს შენს შვილთ, სამშობლოს განწირული მდგომარეობა და აღძრას მათში გმირის დამბადი დიდი საგანი", თქვა მან და მისი წინასწარმეტყველება გამართლდა, რადგან ილიას სიკვდილმა ქართველი ხალხი გამოაღვიძა და მის კუბოს ირგვლივ მთელი ერი შემოკრიბა და ეროვნული ჭირისუფალი გახდა. გაზეთ "ისარის" 7 სექტემბრის ნომერში, რომელიც დასაწყისში ილიას სიკვდილის გამო ძალიან ორჭოფული აზრი ქონდა აღებული, აი რას აღიარებს სხვა და სხვა გარემოებათა და ფაქტების შესწავლის შემდეგ:"სხვადასხვა მითქმა-მოთქმიდან და ხმებიდან უფრო ძლიერად ისმოდა საზოგადოებაში ბრალდება, რომ ილია პოლიტიკურ ნიადაგზეა მოკლული და რომ იგი მსხვერპლია პარტიისა. რაკი ასეთი ბრალდება გაჩნდა და ამგვარი მითქმა ძლიერდებოდა, ცხადია, პრესის მოვალეობა იყო - იმისათვის ანგარიში გაეწია, კერძოთ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით და დღესაც ვართ, რომ მგოსნის მოკვლა არც ერთ პოლიტიკურ პარტიის საქმე არ არის...

საინტერესოა ილიას პოლიტიკურად სრულიად მოწინააღმდეგე 1907 წლის 4 სექტემბრის გაზეთის "ჩვენი გზის" სტატია სადაც ვკითხულობთ:"გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ როგორც მებრძოლი და როგორც საზოგადო მოღვაწე, ჩვენთვის ილია ჭავჭავაძე დიდი ხანია აღარ არსებობდა...მაგრამ,განა გარდამავალია ნაყოფი მისი იმდროინდელი სულისკვეთების და პოეტური გრძნობების მღელვარებისა,

როცა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე ჩვენი საზოგადოების მოწინავე რაზმში იდგა და მას ხელმძღვანელობდა...და თუ მისი მკვლელები იმას ფიქრობდენ, რომ განსვენებულთან ერთად ისინი კლავენ და სპობენ იმას, რაც ილია ჭავჭავაძემ თვისი ნიჭით და მოღვაწეობით შეიტანა ჩვენი საზოგადოების კულტურულ საღაროში,ჩვენ ზიზღით და მრისხანებით შევყვირებთ ასეთ მტარვალებს: მორს თქვენი მურტალი ხელი ამ სამკაულიდან. ეს სამკაულიც და მისი შემომქმედი ილიაც ეკუთვნის საზოგადოებას"... ამ გაზეთის მიერ წამოყენებული სხვა და სხვა ჰიპოტეზა აუცილებლად საყურადღებოა და საინტერესო, რადგან ის ბევრის მთქმელია:"ჩვენ ჯერ არ ვიცით ვისმა ბარბაროსულმა ხელმა იმსხვერპლა ილია ჭავჭავაძე,რომელმა შეიძლება მისი სისხლით, დღეს საკმაოა კაცს უხერხულად გამარჯობა უთხრა, რომ მოსისხლე მტრად გადაიკიდო. შესაძლოა ილია ჭავჭავაძე პირადი შურის მიზეზის მსხვერპლი გახდა. შეუმცდარი და უცოდველი არავინაა და შეიძლება განსვენებულს მიუძღოდა ვისმეს წინაშე ნებსით თუ უნებლიეთ საწყენი რამ, შესაძლოა მკვლელობა მოხდა იმ გამწვავებული ბრძოლის ნიადაგზედ,რომელიც მძვინვარებს დღეს მთელ რუსეთში მესაკუთრეთა და უმწეოთ დარჩენილთა შორის". თუ შევადარებთ გაზეთის 2 სექტემბრის მწერალი განდეგილის მიერ წამოყენებულ შეხედულებას, რომელშიც ლაპარაკობს, რომ "ჩვენ ვიცით ბევრი მაგალითები, რომ სამშობლოს საუკეთესო შვილნი საქვეყნო მტრად მიუჩნევიათ და სამარცხვინო ბოძზე მიუკრავთ სრულიად დაუმსახურებლად; გახსოვს, როგორ მოექცა საფრანგეთის ხალხი ზოლას,რომელიც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში ცხიზელ დარაჯათ ედგა თანამემამულეთა ავსა და კარგს...რაგინდ უკმაყოფილო ყოფილიყო გლეხობა, რა გინდ ბრაზ მორეული ილიას მაინც არ მოკლავდა, საგურამოს გლეხობა ილიას სისხლის დანთხევას ვერ იკისრებდა იგი წმინდაა იმის სისხლისაგან...შესაძლებელია ცოდვილი შვილი ამ გლეხთა შორისაც გამოერია, მაგრამ ის გლეხი კი აღარაა, იგი დაქირავებული ჯალათია, სხვისი სურვილისა და ბრძანებისა ყურ მოჭრილი მონა, უვიცთა და სულით დატაკი ბრმა იარაღი...ვინ უნდა დასდოს ეს მსჯავრი ილიას სისხლის მტვირთველს? ნაფიც მოსამართლეებმა? საზოგადოებამ? ერთმაც და მეორემაც, მაგრამ ყველაზე დიდი მოვალეობა ამ შემთხვევაში თვით საგურამოს მკვიდრთ აწევთ: დე, თვით ილიასთან ნაპურმარილევმა გლეხობამ დაგმოს საზიზღარი მკვლელი"...

1907 წლის 4 სექტემბრის გაზეთ "ისარში" მოთავსებულია წერილი,რომელსაც ხელს აწერს "ნ"-ი სადაც წერის სტილი გვაფიქრებინებს, რომ არის ნიკო ნიკოლაძე,რადგან მის მრავალ ფსევდონიმებში აქაიქ არის ასო "ნ"-იც. იძლევა კითხვას:"მერე ვინ იყო მისი მკვლელი? აი კითხვა, რომელსაც აძლევს თავისთავს და ქვეყანას ყოველი ქართველი. ვინ უნდა იყოს, თუ არა ვინმე ავაზაკი, ან გონება დაბნეული უვიცი, იარაღი რაიმე ქვენა გრძნობისა. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არც ერთი პარტია ამას არ იზამდა. ამაში ეჭვის შეტანაც კი ცოდვაა...დავფიქრდეთ, რა დროში ვცხოვრობთ. ვინ იცის, იქნება ილიას მკვლელს სწორედ ისიც უნდოდა, რომ მისი სიკვდილით, ჩვენ ქართველები ერთმანეთს გადავკიდებოდით. ფრთხილად უნდა ვიყოთ და გვახსოვდეს, რომ დღეს ყველა ქართველები მგლოვიარენი ვართ და რაიმე ეჭვით ნუ გაუორკეცებთ წყლულს მგლოვიარე,

თანამემამულე ამხანაგებს დღევანდელ უბედურებაში". რომ ყველა ზემოთ ნათქვამს დავაკვირდეთ და მას შევადაროთ ამონაწერს ჩვენი ძვირფასი პოეტის ვაჟა-ფშაველას მიერ წარმოთქმული სიტყვიდან ილიას დასაფლავების დღეს, აუცილებლად ბევრი მთქმელია, რომელიც ამბობს:"ბნელმა ძალამ აისრულა თავისი საწადელი, ეს ძალა მუდამ ეძებს მსხვერპლს თავის საკვებად; პირადი ინტერესებისათვის, საზოგადო სარგებლობის ნაცვლად...ბნელი ძალები არსებობენ, როგორც წინ ისე დღესაც და მომავალშიც არ მოისპობა, მათი არსებობა ვიდრე სიმართლე, ებრძვის უსამართლობას...იქნება თქვენთაგანმა ბევრმა არ იცოდეს, რომ ილიას მოკვლას უპირებდნენ ამ 40-50 წლის წინად,მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შეებრძოლა ცხოვრების დახავსებულ ფორმას-ბატონყმობას".

საინტერესოა და ბევრი რამეს აშუქებს 1907 წლის პირველი ნომერი გაზეთი "ცისკარი". აი ეს ამონაწერი,რომელიც აუცილებლად იპყრობს ჩვენს ყურადღებას. "ილია ჭავჭავაძის მხეცურმა მკვლელობამ ყველანი გულის სიღრმემდე აგვაშფოთა, ყველა ჩვენგანისუწმინდესი გრძნობები შებღალა, თუმცა შეიძლება ეს გრძნობები ზოგიერთ ფარისევლებსავით მუყირადა აფიშით არ გამოგვიფენია... იშვიათია ისეთი საშინელი საზიზღრობა, როგორც მცხოვანი მგოსნის მოკვლაა, მაგრამ კიდევ უფრო უმაგალითოა ის ზნეობრივი გახრწნილება, რომელმაც საერთო მგლოვიარობის მაე შე[illegible]რს თავი ამოაყარა... ილიას მკვლელები მხოლოდ შესაბრალისნი არიან, ვინაიდან ისინი ღვიძლი შვილებია დღევანდელი უსამართლოდ მოწყობილ ცხოვრებისა, რომელშიაც მათ გონებრივი სინათლე ვერ უპოვიათ და შურისძიებით თუ ანგარებით შეპყრობილთ, შემაძრწუნებელი საქმე ჩაუდენიათ. გაცილებით უფრო მძიმეა ის ვერაგული ბოროტება, რომელიც ყველა რჯულის ნაციონალისტმა ილიას ცხედარის გარშემო დაანთხიეს, საქართველოს უკიდურესმა რეაქციონერებმა, მონარქისტებმა,"პოგრომისტჩიკებმა", უზრდელ ავტონომისტებმა და ისარისებურმა "სოციალისტებმა"...პარტიული თუ პირადი ინტერესების გასასწორებლად ყველამ ერთად - ვინ აშკარად,ვინ ლაჩრულად ქარაგმებით გაზეთში ჩურჩულით, მორთეს განგაში; ილია ჭავჭავაძე სოციალდემოკრატებმა მოკლეს. სად და როდის მოკლეს სოციალდემოკრატებმა იდეური მოწინააღმდეგე, რომ ქართველ სოციალდემოკრატებს მოეკლათ? და მერე ვინ? ილია ჭავჭავაძე, სახელოვანი პოეტი, პროგრესიული მოღვაწე და ისიც სიკვდილის პირზე მიმდგარი მოხუცი, რომელიც კაი ხანია განზე იდგა და გამწვავებულ საზოგადოებრივ ბრძოლაში მონაწილეობას აღარ იღებდა! პოლემიკა ხშირად მწვავე და დაუზოგავი ყოველთვის ყოფილა და იქნება ძველსა და ახალს შორის, რადგან ეს საშუალებაა ძველი ავტორიტეტის დაცემისა და ახალი მოძღვრების გზის გაკაფვისა. მაგრამ განა ეს "ბრბოს მისისინებას" ნიშნავს -"ჰკა მაგათო". განა გაზეთი "კვალი" არ იყო, რომ ილიასთან თუმცა მართლაც გაცხარებული კამათი ქონდა გამართული,მაგრამ როცა განსვენებულმა საზღვარგარეთ საექიმოთ წასვლა დააპირა, სოციალდემოკრატიულმა გაზეთმა მწუხარებით აღნიშნა მისი ავადმყოფობა და გულწრფელად უსურვა ადრე დაბრუნება სამშობლოში ჯანმრთელად.

მაშ, რით აიხსნება, რომ რამდენიმე დღე, საზიზღარ ინსინუაციებს, საშინელ ცილის წამებას ასისინებენ სოციალდემოკრატების წინააღმდეგ?.. აი გაზეთ "კვალში" გამოქვეყნებული ილიას სრულიად ჯანმრთელი და ადრე დაბრუნების სურვილებისა, გამოქვეყნებული გაზეთ "კვალის" 24 ნომერში. "ეს კარგი ხანია ავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმყოფება თ. ი.ჭავჭავაძე და ექიმების სიტყვით, საშიშარი არა აქვს რა.
მაგრამ მაინც საზღვარგარეთ ურჩევიათ წასვლა და იქ მორჩენა, როგორც გავიგეთ
ამ ახლო ხანში კიდევ აპირებს წასვლას გერმანიაში. უსურვოთ სრულიად გაჯან-
საღებული ადრე დაბრუნებულიყოს სამშობლოში".

მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური, ფიზიკური, მორალური და კულტურული
მდგომარეობის გასაგებად და იქედან ხშირი დასკვნების გამოსატანად მოუსმინოთ
პროფესორ მ.წერეთელს, რომელიც იმდროინდელი ვითარების მოწმეც არის და აუცი-
ლებლად კარგი მცოდნეც. აი ამონაწერი მისი სიტყვიდან ილიას თბილისში ჩამოსვე-
ნების დროს 1907 წელს 7 სექტემბერს. "დასუსტებულმა,დამცირებულმა და შინაური
უთანხმოებით და მტრობით დაღლილებმა, მოვაღწიეთ მე-XIX საუკუნის კარებამდე
იმდენი სულიერი ძალაც აღარ შეგვწევდა, რომ ძველებური ვაჟკაცური ფოლადის
სურვილი მაინც შეგვრჩენოდა ბრძოლის განგრძობისა. თუმცა კი მთელი საქართველო
შეიძრა, ოდეს სცნა სურვილი ერეკლე მეფისა საქართველოს რუსეთისათვის გადაეცა..
"მაგრამ ერეკლეს დიდი ხანია გადაეწყვიტა ბედი ქართლისა" და არა მარტო ირაკლის
არამედ მთელი მაშინდელი თავად-აზნაურობას, რომელიც განაგებდა საქართველოს
ბედ-იღბალს, -
და საქართველომაც თავისი ხელით გამოიჭრა ყელი, რუსეთის ტახტის წინაშე. მთე-
ლი ჩვენი პოლიტიკური უზნეობა, მთელი ჩვენი სულიერი დაღლილობა მაშინ გამოჩნ-
და. არავითარი პროტესტი ხალხის მხრივ, არავითარი ძახილი "ქართველო ხელი
ხმალს იკარ" - ისა, გარდა თავ-განწირულ ბატონიშვილთა,რომელთაც ჩვენი უპირვე-
ლესი თავადები მგლებივით დასდევდნენ დასაჭერად...როდესაც ჩვენში აჯანყებებმა
უნაყოფოდ ჩაიარეს და საქართველოს უფრო მეტი განადგურებით გათავდნენ, ჩვენი
დადაჩრება უმწვერვალესი ხარისხისა იყო. თავად აზნაურობა მტრის ლაქიად გახდა,
მოღალატეებად, საქართველოს მტრად. ჩინმენდლებით შეიმოსა მთელი ბრწყინვალე
წოდება, ინტელიგენცია თითქოს სულ აღარ იყო და ჩვენი მწერლობა ოდნავღა ზუ-
ტავდა ისევ იმ ჩინოსანთა კალმის ქვეშ!.. მაგრამ დადგა მეხამოცე წლები...

ჩვენშიც დაიბადნენ აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე,
ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი. გაჩნდა ახალი წესები ლიტერატურულ შემოქმე-
დებისა, - და ჩვენც ცოტათი მაინც გავერკვიეთ კაცობრიობაში ამ მწერალთა და
მოღვაწეთა წყალობით და სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო...იმათ შორის - ჩვენი
საუკეთესო პოეტი, რომანისტი,პუბლიცისტი, ეკონომისტი, ასე გასინჯეთ სოციო-
ლოგიც...ენა მდიდარი, მაშინ დაკარგული ჩვენი ერის "განათლებულთა მიერ"
ისე ლაჩრულად, რომ ლაპარაკსაც აღარ კადრულობდნენ ქართულად...აღადგინეს
ზემოხსენებულმა საქართველოს შვილებმა, და ილია ჭავჭავაძე პირველი იყო.
ხალხის პირისაგან მოგვესმა, მძლავრ ქართულად ნათქვამნი სამაგალითო, უმშვე-
ნიერესი ქუხილებანი მისი".

"თავგანწირულ ბატონიშვილთა, რომელთაც ჩვენი უპირველესი თავადები მგლები-
ვით დასდევდნენ დასაჭერად". მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის
წინააღმდეგ, მაშინ რატომ იგივე "უპირველესი თავადები" არ იკისრებდნენ
ილიას ლიკვიდაციას, რადგან ილია არამც თუ საქართველოს ავტონომიის(მაშინ),
არამედ წოდებათა გაუქმებას, ბატონყმობის გადმონაშთების სრულ ლიკვიდაციას

და "თვითეულის გარჯითა და ბრძოლით მოპოვებული სიკეთისაგან ყველას თავისი
ერგოს უნაკლოდ"-ო, ღაღადებდა. მაშ რატომ დაინდობდა მას "უპირველესი თავა-
დები" და მეორე საუკუნის დასაწყისში სრულიად გადაგვარებული და რუსეთის
იმპერიალიზმის დაქირავებული ლაქიები? რატომ არ შეიძლება, რომ ილია ჭავჭავა-
ძის მოშორება უნდოდა მეფის რუსეთსაც და თავად-აზნაურობასაც? ამიტომ მოგვყავს
1907 წლის 1 სექტემბრის გაზეთ "ისრიდან" ამონაწერი, რომელიც აუცილებლად
ბევრის მთქმელია "რუსეთის სარევოლუციო პარტიებში ბრძანებას სცემენ იდეურ
მოწინააღმდეგეთ ხელი არავინ არ ახლოსო და ისეთი სულიგნები, როგორიც არიან
პურიშკევიჩები, კრუშევანები,გრინგმუტები, რომლებიც შხამავენ რუსეთის პოლი-
ტიკურ ჰაერს და სათავეში უდგანან ახლანდელ შესაზარ რეაქციას - ასეთი სუ-
ლიგნები თავისუფლად ცხოვრობენ...ჩვენ ამ გაზეთის თანამშრომლები, კარგა ხა-
ნია დავშორდით ილიას და მის თაობას; ჩვენს შორის იდეური წინააღმდეგობა
იყო; მაგრამ ერთი წუთითაც არ დაგვიწყნია ამ ადამიანის ღვაწლი ჩვენი უბედუ-
რი სამშობლოს წინაშე". და 2 სექტემბრის იგივე გაზეთი"ისარი" უმატებს:"ვინ
და რისთვის ჩაიდინა ასეთი ბოროტება ქვეყნის წინაშე...სამწუხაროდ დიდათ სა-
ეჭვოა, რომ ეს მკვლელობა წესიერად იქნეს გამოძიებული. ჩვენს დროში ეს ფრიად
გაძნელდა და ამ შემთხვევაში - კი უფრო გაძნელდება,რადგან ის "ვისაც ჯერ არს"
მაინც და მაინც თავს არ აიტკივებს"სიმართლის გასაგებად". თუ ზემონათქვამს
შევავსებთ, ამავე გაზეთის 1 სექტემბრის ნომრის ირონიით ნათქვამით,მაგრამ
სამწუხაროდ აუცილებელი სიმართლით "სამი ვერსის მანძილზე ყაზახების პოსტია
და პირველ ხანებში არაფერი გაუკეთებიათ და არც საკვირველია: ილია ჭავჭა-
ვაძე სტრაჟნიკი არ ყოფილა".

თუ გაზეთებიდან ამოწერილ საღი გონებით განვიხილავთ, ცხადია, რომ
პარტიათა მონაწილეობა ილიას ტრაგიკულად სიკვდილში აუცილებლად"სადაციდანა"
მოტანილია, რადგან არც ერთი, იმ ორი პარტიიდან,რომლებიც მაშინ არსე-
ბობდენ, სოციალ ფედერალისტების და სოციალდემოკრატების პარტიას, არ სჭირდე-
ბოდათ ილიას თავიდან მოშორება, რადგან ილია უკვე "დიდი ხანია გამდგარი იყო
ლიტერატურულ და აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობიდან".

მაშ დარჩა მესამე და ჩვენთვის უცნობი ძალა, მაშინდელი რეჟიმისა,
და მათი ყურმოჭრილი მონა ქართველი თავადაზნაურობის ნაწილისა,
რომლებმაც ჩინების შენარჩუნების მიზნით ცარისტული რეჟიმის ლაქიობა არ-
ჩიეს და ურთიერთ დახმარებით, საძაგელი კრიმინალობა ჩაიდინეს, რომ კრიმი-
ნალობა სოციალდემოკრატებისათვის გადაებარებიათ და ისეთი მძიმე დანაშაული
კი ჩაიდინეს, რომ მკვლელებიც კი გაძარცვეს და ილიას მკვლელობის სინათლეზე
გამოტანას შავი თალხი გადააფარეს, რადგან თალხის ქვეშ თვით იყვნენ მოკალა-
თებული არხეინად, როგორც "ზატონ სამარეში". ცნობილია სოციალდემოკრატები
ტერორის წინააღმდეგი იყვნენ და მხოლოდ ეროვნულ მტრებს, ეროვნულ მოღალატეებს
და დიდ ჯაშუშებს იშორებდენ თავიდან, რომლებიც თვით ილიას მიერ იყო საუკუნოდ
შეჩვენებული. ვფიქრობთ, რომ ყველა ზემოთ ნათქვამის შემდეგ არ იქნება ინტერეს
მოკლებული თუ მოუსმენთ და მოვიყვანთ ამონაწერს პოლიტიკური მოღვაწის სოციალ-
დემოკრატის და ილიას გაზეთის "ივერიას" თანამშრომლის ვლასა მგელაძის სიტ-
ყვიდან, რომელიც იქნა წარმოთქმული ილიას დასაფლავების დროს: "მინდა მოგმარ-
თოთ ამხანაგებო! მაგრამ სად არის ამხანაგები, პირში რომ ამხანაგს გიწოდებენ
და შემდეგ გაგყიდიან...მინდა გითხრათ მოქალაქენო! მაგრამ სად არის მოქალაქე?

მკვეთრი და გაშლილი სიტყვის მთქმელი? მოქალაქე-მებრძოლნი, ასე გულგან-გმირული არიან მთელ რუსეთში, როგორც ჩვენს წინაშე მდებარე ილია...თქვენ აღშფოთებული ხართ და ეძებთ მკვლელს და ვერ გიპოვიათ იგი. მკვლელი აქ არის - ეს არის შეუგნებლობა და სიბნელე...ეს არის...ეს საზარელი ქურდული მკვლელობა მიახლინა ბარბაროსობამ - უკულტურობამ, ბოროტებამ დაწყევლილში ყოფნამ. რა აკეთეთ თქვენ ხალხის აღზრდისათვის! არაფერი...არ გიშრომიათ,რომ ხალხს შეეგნო მისი ვინაობა და იგი ადამიანი გამხდარიყო...იდეური ბრძოლა, აზრის ქონება და შეხედულება გადააქციეს დანძლევა-კინკლაობათ. რაკი შენ არ მოგწონს ესა თუ ის მიმართულება ან მისი პიროვნება, ამისათვის ცოცხლად დამარხავენ და გაწამებენ ზნეობრივად, ჩვენ სასტიკ ბრძოლას ვაცხადებთ მათ წინაამდეგ, ვინც პატივისცემით არ ეპყრობა მოწინააღმდეგეთა პიროვნებას - რა მიმართულებისა და სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს იგი...

ჩვენ მთელი ჩვენი არსებით აღშფოთებული, წინააღმდეგობას ვუცხადებთ ილიას მკვლელებს და მათ ვინც მშრომელი ხალხისკენ ცალახი გადაისროლა ან გადაისვრის და პოეტის მოკვლაში ჩვენზედ ეჭვი შეიტანა...ჩვენ იმისთვის არ ვიბრძვით, რომ მოწინააღმდეგე მებრძოლთ ტყვიით შუბლი გაუხვრიტოთ, ფიზიკურად ვაწვალ-ვაწამოთ - ჩვენ ინკვიზიტორები არ ვართ...ჩვენ იმისთვის არ ვღუპვით ციხეებში, არ მივდივართ ციმბირში, სახრჩობელაზედ, რომ მოხუც ადამიანს ყბები ჩაუმტვრიოთ, ვაწამოთ...არა და ათასჯერ არა... ..ეს საზარელი ცილისწამებაა, სიკვდილია...აქ ილიას მკვლელობაზედ უარეს დანაშაულს ჩადიან..., იმათ ვისთვისაც ილია სწორედ სილა გაარტყეს - შეურაცყოფა მიაყენეს...აქ მოღვაწე პარტიულ საკინკლაოდ გასადეს ამა თუ იმ მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად...

ჩვენ ყველა იდეურ მოწინაღმდეგეებს პატივს ვცემთ; ამის შეგნებაშია საქმე, რომ კულტურული ბრძოლა შესაძლებელი გახდეს. ამ მხრივ მუშებზე შემცდარი აზრისანი არიან.ჩვენ მარტო კუჭისათვის არ ვიბრძვით...და დღეს როცა რეაქციას მიერ წათამამებულმა შეუგნებელთა ბოროტმა კაცმა, ეს ადამიანი, მისი მეტყყველი ენა დაადუმა - ყალბი პარტიული მოსაზრებით ცილი მას დასწამეს, ვისთვისაც პოეტმა თავისი ჩონგი ააჟღერა. - ეს სამინელებაა და ჩვენ ურჩევთ ყველა პარტიებს, რომელიც უნდა იყოს, თავისი თავი განწმინდოს...გაიწმინდეთ თავი ყველა პარტიამ, გახდით ღირსი მეთაურობისა და შემდეგ გამოდით ხალხის წინამორბედათ და მეთაურად...ეს ტრიბუნა რომელზედაც მე ახლა ვდგევარ, ხალხის სისხლით არის შეღებილი, წამებულთა ძვლებით არის აშენებული - იგი ძვირად არის ნაყიდი...ამისათვის სიცოცხლეს ვწირავთ და საკატორღო ტრაპეზედ ვამკაცურად ჩვენი თავი ზვარაკად აგვაქვს...საქართველოს ერი მძინარე დღეს იღვიძებს...მისი უფლებების დასაცავად ის დღეს სისხლს ღვრის საუკეთესო შვილებს სახრჩობელაზედ ისტუმრებს...მე ავადმყოფი, საუკეთესო ამხანაგების დამკარგველი, ნაწამები ფიზიკურ-ზნეობრივად მოგიწოდებთ თქვენ არა სატირელათ და საგოდებლად, არამედ საბრძოლველად უკეთესი მომავლისათვის...თუ მართლა გულწრფელად დაესწრით ამ ძლიერი ბუნების ადამიანს...გადაავლეთ თვალი რა სდება დღეს მთელ რუსეთის სივრცეზედ? როგორ იტანჯება მთელი ხალხი...დედას ცოლვათ უთვალიან შვილის ალერსს, მოხუცს მარჩენალს სტაცებენ და მებრძოლთ ყვავ-ყორანთა საგლეჯათ ყრიან...სსნა ერთია ბრძოლა ბნელ ძალებთან შეერთებული

ძალით, რომ დამყარდეს და შესაძლებელი შეიქნეს იდეური ბრძოლა...რომ თავისი რწმენის გამოთქმისათვის ჯვარს არავინ აცვამდეს".

აუცილებლად საკმარისი მაგალითები და ამონაწერები მოვიყვანეთ ილიას მკვლელობის საქმის მზის სინათლეზე გამოსატანად, მაგრამ არ იქნება ინტერეს მოკლებული, რომ მოუსმინოთ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს და საქვეყნოთ ცნობილ კარლო ჩხეიძეს: "დროებით ჩვენს საზოგადოებას კვლავ გადაეფარა პოლიტიკური მწუხრის ზეწარი, კვლავ გამოჩნდნენ ბნელი ძალები...ცხოვრების მოედანზე. გამოფხიზლებული ხალხის მაჯისცემა მიდუნდა, საერთო ჭირ-ვარამზე გაზრდილი აზრთა გაცვლა გამოცვლა შეწყდა, ხმა გაკმინდეთ და დადუმებული ველოდებით უმჯობესის მოსვლას. მიუხედავათ ასეთი საერთო მდგომარეობისა, მიუხედავათ იმ ათასგვარი ბორკილებისა, რომლებსაც ჩადის დღეს თავადებული და წუთიერათ გამარჯვებით გაამაყებული ბნელი ძალა, შენმა სიკვდილმა ყველა ძალზე ააღელვა და დაგვავალა სათანადო ანგარიში გაუწიოს როგორც იმ ბორკილმოქმედებს, რომლებმაც შენ გიმსხვერპლა, ისე იმ პირობებს, რომელთა გამო შესაძლებელი ხდება ჩვენში ასეთი ბორკილი მოქმედება. თანაც ჩვენ მოწყურებული ვართ უკანასკნელი ამ ქვეყნიური პატივისცემა მოგაგოთ და ჩვენი შენდამი სიყვარული აღვნიშნოთ... შენ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდი მაშინ, როცა რუსეთის ბნელი ცხოვრების საძირკველი მძლავრად შეირყა...ჩვენში შენ ერთი პირველთაგანი იყავი, რომელიც ჩაები განახლებული ცხოვრების ფერხულში და ჩადექი იმ მცირე რაზმში, რომელმაც იკისრა მეთაურობა მაშინდელი საზოგადოებისა და შენი ნიჭისდა პოეტური შემოქმედების საგნად დაისახე დაგესურათხატებია - ჩვენთვის ბატონყმური ცხოვრების საზიზღრობა. შენ გვაჩვენე უფსკრული და ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა ბატონსა და ყმას შორის. შენი გესლიანი ენით დასცინე და სასიკვდილოთ მოშხამე ის ვინც დიდებით და პატივით იყო წინეთ მოცული. შენ ჩვენი თვალის წინ საოცრად გადაშალე გონებრივი სიკოტრე, გონებრივი სიღუხჭირე, სრული არარაობა და პარაზიტობა ბატონის. იმ ბრწყინვალე წლების, რომელიც ფუქსავატი, სიამაყით და მედიდურობით იყო აღსავსე; შენ დაგვიხატე ლუარსაბი და დარეჯანი, ეს ღვიძლი შვილები და ტიპიური წარმომადგენლები ჩვენი ბრწყინვალე წლებისა. ამასთან ერთად შენ იმ დროისათვის საუცხოვოდ დაგვისურათე აგრეთვე უმწეობა უბედური მდგომარეობა,რომელშიც იმყოფებოდა ლუარსაბის უღელში გაბმული გლეხი. შენ დაუპირისპირე ერთმანეთს თავადი დათიკო და გლეხი გაბრო და დაგვანახე მათი ერთად არსებობა შეუძლებელია, რადგან პირველის ბედნიერება მეორის უბედურებაზე არის აგებული...ჩვენ მაშინ დავგმეთ ძველი ცხოვრება და სიტყვა დავსდეთ შეძლების და გვარად გავმკლავებოდით ბორკილებს, რომლითაც აღსავსე იყო ჩვენი ცხოვრება. ამგვარად შენმა მგოხნურმა ნიჭის ნაწარმოებმა ხელი შეუწყო ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყო ახალი თაობა...შენ თვითონ მოწმე გახდი იმის თუ რა ძლევამოსილი გახდა ეს სწავლა-მოძღვრება ჩვენში და რა ღრმა კვალი გაავლო ამ ჩვენს ცხოვრებაში, რამდენადაც შენ შენი იმდროინდელი შემოქმედებითი მუშაობით ხელი შეუწყვე ჩვენი საზოგადოების თვითცნობიერებას, რომ ჩვენ შეგვეყვარებია აღნიშნული მოძღვრება რამდენადაც შენ გააღვიძე ჩვენ ახალგაზრდა ბუნებაში გრძნობები, რომელიც აუცილებლად საჭირონი არიან, რომ ჩვენ გულწრფელად ვემსახუროთ სოციალიზმის დიდ მომავალს,

და აი სწორედ ამდენად გვსურს ჩვენ, რომ უკვდავი იყოს შენი სახელი...ჩვენდა საბედნიეროდ პროლეტარიატი უკვე შედგა განვითარების ისეთ საფეხურზე, რომ ის გაცილებით უფრო ღრმად და სავსებით აფასებს ხელოვნებას და შემოქმედებითი ნიჭის მარგალიტებს, როგორც შინა არსით, ისე გარეგანი სახით, ვინემ დანარჩენი ელემენტები ჩვენი საზოგადოებისა და ვაი იმას ვინც განისაზღვრავს, რომ ეს მარგალიტები გათელოს. ვაი თქვენ ეწყვის იგი შენი ცხედრის წინაშე, აგრეთვე იმათაც, ვინც შენი მოკვლის გაგონების შემდეგ, ბუკსა და ნაღარას სცემენ ქვეყნა მისწრაფებით და მურტალი მიზნით...ასეთები ვერ ხედავენ, რომ ამითი იგინი ვერ აქარწყლებენ შენი ნიჭის საუკეთესო ნაყოფს...ვაი იმათ იწყვის იგივე პროლეტარიატი და მთელი ხალხი, ვინც ღამის მართლა ავაზაკურად ისარგებლა შენი მკვლელობის შემთხვევით და ჩირქი მოსცხო მშრომელ ხალხს და იმას ვინც სელმძღვანელობს მათ. დღეს ჩვენში შურის ძიების მოწოდებას არ ვიკადრებთ ცხედრის წინაშე, მაგრამ სასტიკ ანგარიშს მოსთხოვთ მათ, ვინც ჩვენს სასიხარულო გზაზე ეკალსა სთესს და შხამს ასხევს". გაზეთი "ჩვენი გზა", 11 სექტემბერი.

საკმარისია, რომ ყველა ზემოთ მოყვანილი ამონაწერები გაზეთებიდან და წარმოთქმული სიტყვებიდან, თბილისში ჩამოსვენებისას თუ დასაფლავების დროს, მიუდგომლად იქნება წაკითხული, დარწმუნდება, რომ ილია არ არის მსხვერპლი ქართველის თავში დამუშავებული უკუღმართი თქმულებისა და თუ კარგად დაუკვირდებით რა გააკეთა ხელისუფლებამ საქმის გამოძიებისათვის ცხადია, რომ ავტორები თვით ხელისუფლება იყო. *

მამია ბერიშვილი

---

* მომავალ წელს დიდ ილიას უსრულდება, დაბადებიდან 150 წელიწადი. საბ. საქართველო აქედანვე ემზადება ამ დიადი თარიღის საზეიმო ვითარებაში ჩასატარებლად, რომლისთვისაც გამოყოფილია სპეციალური საუნივერსიტეტო კომისია, თბილისის უნივერსიტეტის რექტორის პატივცემულ ბატონ ს. ამაღლობელის თავჯდომარეობით. ვიმედოვნებთ, რომ საუნივერსიტეტო საიუბილეო კომიტეტი შემძლების და გვარად შესაძლებლობის პირობებში, სავსებით არ მოაქცევს დიდ ილიას პოეზიას და მოღვაწეობას საბჭოთა იდეოლოგიურ ფორმულაში.

"ჩ- დ"-ას რედაქცია.

# "ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი   დ ი ნ ე ბ ა შ ი ა"

## კომუნისტური პარტიები დღეს

### 1.იტალიის კომპარტია

I.

"ყველაფერი დინებაშია"-"კომუნისტური პარტიები დღეს" - ასეთი სათაური და ქვესათაური ჩავთვალე მიზანშეწონილად კომუნისტური მოძრაობის თანამედროვე მდგომარეობის გაანალიზებისათვის, ვინაიდან, როგორც ჰერაკლიტე(544-483 ქ.დ.წ.) ამბობს, "პანტა რეი" = panta rhei ="ყველაფერი დინებაშია",რაც, სხვათა შორის, ნიშნავს იმას, რომ უცვლელი ყოფიერება შეუძლებელია, და რომ ყოველი ყოფიერება მარადიული შექმნაა, ცხოვრებისეული მოვლენაა, რომელშიც, როგორც ყველაფერში, წინააღმდეგობანია შეერთებული, რომლის"დაუნახავი","მიმალული" ჰარმონია უფრო არსებითია(უკეთესია?!..),ვიდრე"შესახედავი" წინააღმდეგობანი.

და თუ ამგვარი   მიდგომით განვიხილავთ ტროცკის კომუნისტური "პერმანენტული რევოლუციის" თუ ლენინ-სტალინის "სოციალიზმის ერთ ქვეყანაში განხორციელების" თეორიებს, და შევადარებთ მათ კომუნისტური პარტიების დღევანდელ, თანამედროვე რაობას, რა შეგვრჩება ხელში?!..

II.

შევჩერდეთ, ამჯერად, იტალიის კომუნისტური პარტიის დღევანდელ თეორიულ-პრაქტიკულ რაობაზე:

ჯერ ზოგიერთი სტატისტიკური ცნობა: იტალიის რესპუბლიკის ტერიტორია უდრის 301.225 კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა - 56.983.000 სულს. იტალიის პარლამენტში, 1983 წლის არჩევნების შედეგად, ყველაზე უფრო ძლიერი ფრაქციაა "ქრისტიანულ-დემოკრატები", რომელთაც ჰყავთ 225 დეპუტატი; იტალიის კომუნისტურ პარტიას ჰყავს - 198 დეპუტატი; იტალიის სოციალისტურ პარტიას - 73 დეპუტატი; იტალიის სოციალურ მოძრაობას და მემარჯვენე ნაციონალისტებს ჰყავთ პარლამენტში 42 დეპუტატი; სოციალ-დემოკრატებს - 23 დეპუტატი; რესპუბლიკელებს - 29 დეპუტატი; ლიბერალებს - 16 დეპუტატი; რადიკალებს - 11 დეპუტატი; სამხრეთ ტიროლის სახალხო პარტიას - 3 დეპუტატი; პროლეტარულ დემოკრატიას - 7 დეპუტატი, და დანარჩენებს პარლამენტში ჰყავთ 3 დეპუტატი. როგორც ვხედავთ, იტალიის პარტიული ლანდშაფტი მეტად დანაწევრებულია, რომელთა შორის მეორე ადგილზეა იტალიის კომუნისტური პარტია, რომელსაც აღნიშნულ 1983 წლის არჩევნებში ხმა მისცა ამომრჩევლებთა თითქმის 30-მა პროცენტმა. ამგვარად, იტალიის კომპარტია არის ყველაზე უფრო ძლიერი პოლიტიკური ძალა კომუნისტურ ქვეყნებს გარეთ.

III.

იტალიის კომპარტიის დღევანდელი თეორიულ-პრაქტიკული მოღვაწეობის რაობა კი ყველაზე უფრო ნათლად მოსჩანს იტალიის კომპარტიის გენერალური

მდივნის - ალესანდრო ნატას - ინტერვიუდან, რომელიც მან მისცა დასავლეთ-გერმანულ ჟურნალის "შპიგელ"-ის კორესპონდენტებს 1986 წლის აპრილში. აქაც ორიოდე ცნობა ალესანდრო ნატას პიროვნების შესახებ: ალესანდრო ნატა უკვე 68 წლის ასაკშია. იტალიის კომპარტიის მე-17 ყრილობაზე, ფლორენციაში, 1986 წლის აპრილის დასაწყისში, იგი, დიდი უმრავლესობით, ისევ არჩეულ იქნა იტალიის კომპარტის გენერალურ მდივნად. ალესანდრო ნატა, ყოფილი მასწავლებელი, ორი წლის წინათ გახდა იტალიის კომპარტიის გენერალური მდივანი, ენრიკო ბერლინგუერის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ; და - მიუხედავათ დიდი წინააღმდეგობისა თვით პარტიაში, მან კომპარტია, ასე თუ ისე, დემოკრატიული სოციალიზმის გზაზე დააყენა, რაც, როგორც ჩანს, განსაზღვრული პოპულარობით სარგებლობს იტალიის მოსახლეობაში, რის დამადასტურებელი ფაქტებია ის, რომ 1963 წლის საპარლამენტო არჩევნებში, როგორც აღვნიშნეთ, იტალიის კომპარტიამ მიიღო ხმების 29,9 პროცენტი, ხოლო იტალიის კომპარტია ითვლის 1.600.000 წევრს. იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობა მტკიცე დგას მოსკოვისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის პოზიციაზე, რასაც მოყვა კომპარტიის მოსკოვის ერთგული წევრების ხელმძღვანელის - არმანდო კოსუტას - პარტიის ხელმძღვანელობიდან გაყვანა.

IV.

მოვიყვანოთ მთავარი ადგილები ალესანდრო ნატას ინტერვიუდან, - რომელიც მან მისცა, როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ-გერმანულ ცნობილ ჟურნალს -"შპიგელ-ს"(ნომერი 22,1986 წ.):

1.შეკითხვაზე - ენრიკო ბერლინგუერის სიკვდილის შემდეგ იტალიის კომპარტია გახდა "ევროპულ მემარცხენეთა შემადგენელი ნაწილი" და ხომ არ აქვს მას განზრახვა სოციალისტურინტერნაციონალის წევრი გახდეს - ალესანდრო ნატამ უპასუხა:
"ჩვენ განზრახული გვაქვს იდეები, პოლიტიკა და ორგანიზაცია კომპარტიისა განვაახლოთ ისე, რომ იგი უფრო მოდერნული, რეფორმირებული პარტია გახდეს. მაგრამ ჩვენ მივდივართ ამ მიზნისაკენ ისე, რომ ჩვენი ისტორიის ფესვები არ გადავჭრათ, ჩვენი დიდი ისტორიული, პოლიტიკური და იდეური მემკვიდრეობა არ დავივიწყოთ. ჩვენ არ გვაქვს მიზეზი არ ვუწოდოთ ჩვენს თავს იტალიის კომპარტია. აქტუალურად არ მიმაჩნია ვიფიქრო სოციალისტური ინტერნაციონალის წევრობაზე; ეს იქნებოდა ნაადრევი ჩვენთვის და ჩვენი პარტნერებისათვის ევროპაში."

"ჩვენ ვმუშაობთ მემარცხენეების ახალი ერთობის, ახალი ევროპული მემარცხენეების ერთობისათვის. მე ვფიქრობ, ეს არის არა მარტო ჩვენი მიზანდასახულობა, არამედ იდეაც, რომელიც დიდმა სოციალ-დემოკრატიულმა ხელმძღვანელებმა წამოჭრეს. მე მსურს ერთერთი მრავალთაგან დავასახელო: ოლოფ პალმე".(შენიშვნა:ოლოფ პალმე, შვეციის სოციალდემოკრატიული პარტიის ლიდერი და შვეციის მთავრობის თავჯდომარე, დაიბადა 1927 წელს და მოკლეს 1986 წელს, ჯერჯერობით უცნობ პირმა თუ პირებმა. შვეციის სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც თითქმის განუწყვეტლივ

პოზიციის, მთავრობის პარტია მიმდინარე საუკუნეში, მისცა მხოლოთ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას მაგალითი "სოციალური დემოკრატიის" განხორციელებისა, საერთოდ).

2. შეკითხვაზე - თუ რა აშორებს იტალიის კომპარტიას ამჯერად, ვთქვათ, გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიისაგან - ალესანდრო ნატამ უპასუხა: "ჩვენ ვაღიარებთ, არა დღეიდან პირველად, დემოკრატიულ გზას. ჩვენ ვართ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, პოლიტიკური დემოკრატიის მომხრე. ჩვენ ვდგევართ სრულიად ევროპულ რეალობაში, ესება ეს, ევროპის საერთო ბაზარს, რამიც ჩვენ უფრო ევროპიელები ვართ, ვიდრე სხვები, თუ რაც ეხება პოლიტიკურ-სამხედრო კავშირს".

3. შეკითხვაზე - იტალიის კომპარტიის შესახებ, რომელშიც კომუნისტური დოგმატური იდეოლოგია უკვე აღარ მოსჩანს - ალესანდრო ნატამ უპასუხა:

"ჩვენ დოგმატური იდეოლოგია უკვე დიდი ხანია უკან დავტოვეთ. ჩვენ გვქონდა ბედნიერება, ჩვენი პარტია დამწიფებულიყო წინააღმდეგობის მოძრაობიდან. ჩვენ გვსურდა უკვე 1944 წლიდან 1946 წლამდე ახალი პარტია ვყოფილიყავით."

"კომუნისტური ინტერნაციონალის სხვა პარტიებიდან განსხვავებით, ჩვენ შევეცვალეთ. ჩვენი იდეები დოგმებად არ გაგვეხადა. ეს გვასწავლეს ჩვენ გრამსკიმ და ტოლიატიმ..."(შენიშვნა: ანტონიო გრამსკი(1891- 1937) და პალმირო ტოლიატი(1893-1964) იყვნენ იტალიის კომპარტიის დამაარსებელნი და პარტიის გენერალური მდივნები, რომლებმაც იტალიის კომპარტია თავიდანვე წარმართა მოსკოვისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსით).

4. "ჩვენ - თქვა ნატამ - არ ჩამოგვიყალიბებია იერარქია: მარქსი, ლენინი, სტალინი, გრამსკი, ტოლიატი. ჩვენ უარი ვთქვით "გრამსკისმზე". ჩვენ მავზოლეუმში არ დაგვიბალზამებია არც გრამსკი და არც ტოლიატი, და არავის არ სურს დღეს ბერლინგუერის დაბალზამება".

"ჩვენ არ გვექნებოდა დღეს ის ძალა და პრესტიჟი, რომელიც გაგვაჩნია, რომ ჩვენ წარსულს არ ჩამოვშორებოდით და ჩვენ ასე ხშირად ისევ-და-ისევ არ გაგვენახლებინა ჩვენი პარტია. მარქსსა და ლენინს ჩვენ ვკითხულობთ მარქსისტულად".

"როცა ლენინმა მისი ნაწერი -'რა ვქნათ?'- პირველი გამოცემის ათი წლის შემდეგ ისევ გამოსცა, შესავალში მიუთითა: 'დაუკვირდით, ეს ბიბლია არ არის'. მე დავწერე ეს განსაზღვრულ პირობებში და გადამლაშებულია ზოგიერთი პრინციპების ხაზგასმაო. ეს ნიშნავს ჩემთვის: მე ყოველთვის უნდა გამოვიდე იტალიის სინამდვილის ინტერპრეტაციისაგან და უნდა დავიკავო შესაბამისი პოზიცია".

"ჩვენ ლენინისა და სტალინის კანონიკური ტექსტები ძლიერ აღრე უკან დავტოვეთ. ჩვენ გავიგეთ, რომ მარქსიზმი არ არის იერარქია, რომლის სათავეში პაპია, არამედ ფართო კულტურული არე. არსებობს მრავალი მარქსიზმი".

"კლასთა ბრძოლა სხვადასხვა ფორმებით მჟღავნდებოდა კაცობრიობის ისტორიაში, სოციალური სისტემების განსხვავებათა შესაბამისად. ანტიკურ

რომშიც არსებობდა უკვე კლასთა ბრძოლა". "დღესაც კლასთა ბრძოლა შეიძლება იყოს ერთი სახე ბიძგისა პროგრესისაკენ". "მარტო მუშებით წინ ვერ წავალთ". "სინამდვილე სხვაა და ამიტომ ჩვენი პოლიტიკაც სხვა არის, და ამით ჩვენი გაგება კლასთა ბრძოლისა, რომელსაც ჩვენ სულ უფრო ნაკლებად ვხმარობთ".

5."ჩვენ უკვე 1956 წელს,როცა ხრუშჩოვმა დაგმო სტალინის ხანა, გადავსინჯეთ ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. საერთაშორისო არენაზე ჩვენ ხაზი გავუსვით ჩვენს ავტონომიას მოსკოვის მიმართ".

6.შეკითხვაზე - ენრიკო ბერლინგუერი ოცნებობდა "მესამე გზაზე" აღმოსავლეთ კომპარტიებსა და დასავლეთის სოციალდემოკრატებს შორის;ევრო-კომუნიზმის შექმნაზე - ალესანდრო ნატამ უპასუხა:

"ბერლინგუერის იდეა იყო: ჩვენ უნდა შევიცნოთ ცვლილებანი, გარდაქმნები და წინააღმდეგობანი ევროპაში. ახალი პრობლემების გადაჭრისათვის, ჩვენ არ შეგვეძლო საბჭოთა მოდელზე ორიენტირება.არც სოციალისტურ და სოციალდემოკრატიულ ძალებსაც არ შეუძლიათ სწამდეთ, რომ ერთხელ და სამუდამოთ პასუხი გასცეს ყველა საკითხს. ბერლინგუერი მოითხოვდა მხარი დაეჭირა სოციალიზმის ევროპულ განზომილებისათვის. ამ გაგებით, მისი იდეა დღესაც ვარგისია".

"მე არ ვირჩევ არც გორბაჩოვსა და არც ბრანდტს. ჩვენ ვართ იტალიის კომუნისტური პარტია."

7."მე არ მჯერა, რომ სოციალიზმი არსებობდეს დემოკრატიისა და თავისუფლების გარეშე.როცა მე მოსკოვში ვიზიტისას ვთქვი, რომ არაფერს არ შეუძლია დემოკრატიის შემოქმედებითი ფასოვანების შეცვლა, - მე არ მსურდა მხოლოდ პოლემიკური ვყოფილიყავი. მე მსურდა მეთქვა, რომ სოციალისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია ბიუროკრატიული რეჟიმით,რომელიც არის ავტორიტარული და ზღუდავს თავისუფლებას."

8.შეკითხვაზე - თუ როგორ განსაზღვრავდა საბჭოთა სისტემას?არის საბჭოთა კავშირი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო? ბიუროკრატიული დიქტატურა? თუ ახალი კლასობრივი საზოგადოება? - ალესანდრო ნატამ უპასუხა:

"უთუოდ არ არის ეს თანასწორთა საზოგადოება. წარმოიშვა ახალი სოციალური ფენები. მაგრამ ეს არის საზოგადოება, რომელშიც მხოლოდ ერთი პარტია არის, რომელიც შერწყმულია სახელმწიფოში, და ეს არის დიდი პრობლემა. ამის შესახებ ველაპარაკე გორბაჩოვს."

"ჩვენ ვიკამათეთ ერთმანეთთან არა იდეოლოგიურად,არამედ პოლიტიკურად, როგორც პარტია პარტიასთან. არსებობს განსხვავებანი შეხედულებებსა და სტრატეგიაში..."

"მე განმეორებით აღვნიშნე, რომ ჯარების შეყვანა ავღანეთში იყო პოლიტიკური შეცდომა".

9.შეკითხვაზე - ორჭოფობა ხომ არ შეუძლია გამოიწვიოს იტალიის კომპარტიის წევრებში კომპარტიის ამგვარმა განახლებამ - ალესანდრო ნატამ უპასუხა:

"მე არ ვფიქრობ. დიდ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში თანხმობა უფრო ფართე და შეგნებულია. მე მექმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენმა ამხანაგებმა და ამომრჩევლებმა სიმწიფის პროცესი შეიგნეს..."

## V.

აი, ამონაწერები იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის ალესანდრო ნატას ინტერვიუდან, რომელიც მან მისცა დასავლეთ-გერმანულ ჟურნალ "შპიგელ-ს" 1986 წლის აპრილში და გამოქვეყნებულია აღნიშნული ჟურნალის 1986 წლის 22-ე ნომერში.

როგორც ვხედავთ, "ევრო-კომუნიზმი", ე.ი. "ევროპული კომუნიზმი", რომელიც საფრანგეთ-ესპანეთ-იტალიაში წარმოიშვა, და რომელიც კომუნისტური დოგმატიზმის განსაზღვრულ რეფორმებს ქადაგებდა, მართალია, საფრანგეთსა და ესპანეთში მარცხით დამთავრდა, მაგრამ იტალიის კომუნისტებსა და მათ მიმდევრებს შორის განსაზღვრული მიდრეკილება შეიმჩნევა დემოკრატიული სოციალიზმისაკენ. ალესანდრო ნატას პოლიტიკური ხაზი აქეთკენ მიუთითებს:

"ჩვენ ვაღიარებთ, არა დღეიდან პირველად, დემოკრატიულ გზას. ჩვენ ვართ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, პოლიტიკური დემოკრატიის მომხრე".

"მე არ მჯერა, თქვა ალესანდრო ნატამ, რომ სოციალიზმი არსებობდეს დემოკრატიისა და თავისუფლების გარეშე. როცა მე მოსკოვში ვიზიტისას ვთქვი, რომ არაფერს არ შეუძლია დემოკრატიის შემოქმედებითი ფასეულობების შეცვლა, - მე არ მსურდა მხოლოდ პოლემიკური ვყოფილიყავი. მე მსურდა მეთქვა, რომ სოციალისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია ბიუროკრატიული რეჟიმის პირობებში, რომელიც არის ავტორიტარული და ზღუდავს თავისუფლებას."

"ჩვენ უკვე 1956 წელს, როცა ხრუშჩოვმა სტალინის სახე დაგმო, გადავსინჯეთ ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. საერთაშორისო არენაზე ჩვენ ხაზი გავუსვით ჩვენს ავტონომიას მოსკოვის მიმართ".

## VI.

მოსკოვი, როგორც ჩანს, იძულებულია იტალიის კომპარტიის ამგვარი დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსი "მოითმინოს", ვინაიდან მას ძალა არ შესწევს ისე მოექცეს ალესანდრო ნატას, როგორც იგი მოექცა დუბჩეკს ჩეხოსლოვაკიაში, როცა 1968 წელს, საბჭოთა ჯარების ჩეხოსლოვაკიაში შეყვანით, ჩაახშო ჩეხოსლოვაკელი კომუნისტების მისწრაფება - აეშენებინათ სოციალიზმი "ადამიანური სახით". მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს მოსკოვის "თავშეკავებული" მოქმედების მიზეზი იტალიის კომპარტიისადმი, ერთი მაინც ნათელი ხდება: მსოფლიოში უკვე თვით კომპარტიებშიც "ყველაფერი დინებაშია", და ბევრ მათგანში უკვე ფეხს იკიდებს მოსკოვისაგან განსხვავებული პოლიტიკური კურსი, რაც, ჯერ კიდევ, 1948 წელს დაიწყო, როცა იუგოსლავია ჩამოშორდა მოსკოვს.

## VII.

თუ როგორ წარიმართება მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა მომავალში, ამის განჭვრეტა არც ისე ადვილი საქმეა. მაგრამ ერთი უკვე ნათელია: არც ერთი ქვეყნის კომპარტიას, თვით უშუალოდ მოსკოვის ბრძანებლობის ქვეშ მყოფ

კომპარტიებსაც, - აღარ სურთ მოსკოვის მორჩილება, ვინაიდან რუსული ბოლშევიზმი ვერ ეგუება არარუსი ერებისა და ქვეყნების განსაკუთრებულ ეროვნულ თუ ეკონომიკურ რეალურ მდგომარეობას.

## VIII.

თუ რამდენად შესძლებენ დიქტატორულ საწყისებზე, ე.ი. "ზემოდან-ქვემოთ" ბრძანების პრინციპებზე აგებული კომპარტიები გახდენ დემოკრატიული, ე.ი. აღიარონ "ქვემოდან-ზემოთ" ბრძანების პრინციპები, -ამას მომავალი დაგვანახებს. მაგრამ ისიც ნათელია, რომ საქართველოს საერთოდ არც კი გააჩნია ქ ა რ თ უ ლ ი კომუნისტური პარტია, და, ალბათ, მანამდე რუსული ბოლშევიზმის ბრჭყალებში დარჩება, სანამ თავს ვერ დააღწევს მას; თუმცა შეუძლებლად არ მიმაჩნია, რომ, ერთ დროს, ქართველმა კომუნისტებმაც "გამოიღვიძონ", ვინაიდან მათთვისაც ძალაში რჩება, ვფიქრობ, პრინციპი:"ყველაფერი დინებაში", ე.ი"ცვალებადობაშია", და ნუთუ ამგვარი "ცვალებადობის" შეჩერება შეიძლება საქართველოს საზღვრებთან?!..

## IX.

ბოლშევიზმი, ეს წმინდა წყლის რუსული მოვლენა, განაგრძობს რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას, რომლის დროს "პანსლავიზმის" თუ "მართლმადიდებელი ეკლესიის" იდეოლოგიური სახჩული, უფრო მოქნილი და ლენიური "ინტერნაციონალიზმით" შეცვალა, რომლის დროს ბოლშევიკებს რუსის ერი "მესიანიზმის" მქადაგებლის, მხოლოდ ყველა ქვეყნის, ერისა და ეროვნების გამბედნიერებლების როლში გამოჰყავს, რაც დიდ ტვირთად აწევს თვით რუსის ერსაც. ეხე-იგი, ბოლშევიკები, რუსი კომუნისტები კი არ კმაყოფილდებიან თავიანთი საკუთარი ერისა და ქვეყნის ბედნიერების გამგებლობით, არამედ, სხვა ქვეყნებისა და ერების დაპყრობით, ცდილობენ რაღაცნაირი წესისა და რიგის შექმნას გლობალური მასშტაბით. იტალიელი და ზოგიერთი სხვა ქვეყნების კომუნისტები კი, ცოტათ თუ ბევრათ, დარწმუნდნენ, რომ "ინტერ-ნაციონალიზმის" ბაზაა "ნაციონალიზმი"="ნაცია" და, პირველ ყოვლისა, თავიანთი საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე ფიქრობენ, რამდენადაც ამის საშუალებას "კომპარტიების ჟანდარმი" - მოსკოვი - იძლევა. მაგრამ, რაც დროს გადის, მოსკოვის ჩარევა სხვა კომპარტიების ცხოვრებაში სუსტდება, ხოლო ცალკეული კომპარტიები უფრო გაბედულად გამოდიან მოსკოვის აღნიშნული გლობალური პოლიტიკის წინააღმდეგ; და ვითომ, საქართველოს სფეროში რომ დავრჩეთ, ქართველი კომუნისტები შესძლებენ ჩამოშორდენ მოსკოვის გლობალურ პოლიტიკას, და იტალიერ კომუნისტებს იმდენად მაინც წაბაძონ, რომ საქართველო, ქართველი ერი დააყენონ თავიანთი მოქმედების ცენტრში?.. ყველაფერი დინებაშია?..

კარლო ინასარიძე
ლევილი, 1986 წლის აგვისტო
========================



# რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი  წ ე რ ი ლ ე ბ ი

მოვიდა.

--.•.--

პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მომითავსოთ ეს ჩემი წერილი თქვენი ჟურნალის მორიგ ნომერში.
პირველ ყოვლისა ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ჩემი თავი, აწ განსვენებული მამა ჩემი, აგვისტოს აჯანყების შემდეგ იძულებული გახდა თავი შეეფარებინა საფრანგეთისათვის.
მე დავიბადე საფრანგეთში, ვარ დედით ფრანგი, მამა მინერგავდა საქართველოს სიყვარულს, მასწავლიდა ქართულს და მაცნობდა ჩვენი ერის ისტორიას. მამამ დედასაც შეასწავლა ქართული და სახლშიც სულ ქართულად ვლაპარაკობდით. როდესაც დავჭაბუკდი მამამ მითხრა: დროა გაეცნო ხანამ მე ცოცხალი ვარ შენ ნამდვილ სამშობლოს და პირველად მე და დედა სამი თვით საქართველოში მამიდა ჩემთან და ბებიასთან გაგვაგზავნა.
იქ მე საგანგებო შკოლაში შევედი დედასთან ერთად ქართულ ენის სრულყოფა გაუმჯობესებისათვის. სკოლაში დიდი პატივით და სიყვარულით გვეპყრობოდენ, განსაკუთრებით დედას და გვინერგავდენ საბჭოთა რეჟიმის სილიადეს და სიყვარულს.
მამის გარდაცვალების შემდეგაც დედასთან ერთად ხშირი სტუმრები ვართ ამ მართლადაც ღვთაებრივ მამა ჩემის სამშობლოსი.
მამის შემწეობით მე ვიცოდი საქართველოს ტრაგედია,

ვიცოდი თუ , როგორ ძალით მას მოსტაცეს თავისუფლება. გავეცანი საქართველოს ცნობილ მამულიშვილთა მოღვაწეობას, დიდ ილიას და განსაკუთრებით, ქართველი ერის სანუკვარ საოცნებო 26 მაისის შემოქმედ დიდ ნოეს, დიდი ილიას ანდერძის შემსრულებელს. საქართველოში ბავშმაც კი იცის ნოე ჟორდანიას სახელი, ის ქართველი კაცის მეხსიერებაში განუყრელ სიმბოლოთ იქცა დიადი , დაუვიწყარი დამოუკიდებლობის ხანის,რადგანაც მისი მეთაურობით იმ დროინდელ მოღვაწეებმა , ქართველი ერი 117 წლის განმავლობაში ძალით ჩაწნილი საქართველო ამოგლიჯეს რუსეთის იმპერიის სხეულიდან დაუბრუნეს მას დამოუკიდებლობა და აღადგინეს საქართველო ერთ მთლიან სუვერენულ სახელმწიფოდ და რეალობათ აქციეს ქართველი ერის საუკუნოებრივი ოცნება.

--..--

საბჭოთა საქართველოში არაფრის ნახვა არ შეიძლება უცერემონიოდ, არ შეგიძლიათ გადადგათ არც ერთი ნაბიჯი თუ "გამცილებელი" თან არ გახლავთ განუყრელად, თქვენთანაც, რომ არ არის , თქვენ მაინც მუდამ მათ თვალ-დევნებაში იმყოფებით. თქვენ არ გაძლევენ დროს საკუთარი მოსაზრება იქონიოთ, მაგრამ თქვენ მაშინვე მიხვდებით და დაინახავთ, რომ მათ უშინაარსო ვულგალურ მოურიდებელ, პროპაგანდისტულ ლაყბობით სურსთ თქვენი შეყვანა სიცრუის ხეივანში.
მიუხედავათ მათი ცდებისა, რეალობა აშკარად ამჟღავნებს ჩვენი ბედშავი სამშობლოს ღღევანდელ ტანჯულ ყოფა ცხოვრებას, სადაც სამარცხვინოთ სდევნიან სიმართლეს და სიკეთე კი ტყვედ ჩაუგდეს ბოროტებას.
მიუხედავათ გაუგონარ პოლიციურ რეჟიმისა, ვაჟკაცურ

პატრიოსან ხელით ალხავსე მებრძოლნი , საოცარი გამბედაობით შეუდრეკლად ამხილენ ჩვენი ერის და მათ პირად ტრაღედიას.

დიდი გამბედაობა, ნების ყოფა და ღრმა რწმენაა საჭირო, რომ სარქველი ახადო და საქვეყნოდ ამხილო მათ მიერ დამყარებულ "ნათელ ბედნიერ" ცხოვრებას, სადაც ხარობს და ყვავის ერის უფლებების გატიალება,ადამიანის უფლებების გათელვა, ბოროტება, მტაცებლობა, უსამართლობა, მექრთამეობა, ერთმანეთის დაბეზღებ დახმენა კომუნისტურ კარიერიზმისათვის.

დაჩაგრულ ხალხის ყიჟინაა დაე ყველამ იცოდეს თუ ვისი ხელით , ან რა მზნით ხდება ჩვენი ქვეყნის უბედურება, რომელიც მას თავს დაატეხეს და ვინ წაართვა მას ძალით ერის მონაპოვარი საუნჯე თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

საქართველოს სხეულზე დამყნილ თავისუფლების კვირტმა გასაოცარ სისწრაფით იხარა , ულამაზეს ყლორტად იქცა , მაგრამ ნაყოფის გამოღებამდე ჩრდილოეთიდან მოსულ ურდოებმა ჩამოგვილეწა , მოგვინუსხა და ცდილობენ საქართველო კვლავ ჩააქსოვონ წითელ რუსეთის სხეულს.

მათი სუსხით , წამებით იღუპებიან საქართველოს საუკეთესო შვილნი, მაგრამ ქართველი ერის სული რჩება გარდაუცვლელი.

არც ერთი ყალბი ჟესტი, არც ერთი უმართებულო სიტყვა აღარაა დაშვებული, დატუსაღებულ საქართველოს სამ - ტროდ, გასამწარებლად და გასაუბედურებლათ, რომელსაც უკვე 65 წელია პირზე სიჩუმის ბოქლომი დაადევს და ხელ-ფეხზე კი მისთვის ტანჯულ რაინდ შვილთა სისხლით დაფერილი ხუნდები.

მიუხედავათ ამ ტრალიზმისა ქართველი ხალხი განაგრძობს ბრძოლას, მხნედ და შეუპოვრათ, რადგან სწამს, რომ არ არსებობს არავითარი გონიერი საბუთი მომავლს ყოვლად შემძლე იმედით არ შეხედოს მწუხარების კაეშანს მიეცეს და აღარ იწამოს, რომ საქართველო კვლავ აღსდგება თავისუფალი, იგი აღსდგება და განიბნევიან შინაურნი და გარეშე მტერნი მისნი, რადგან შევედით ერთა და პიროვნებათა განთავისუფლების ეპოხაშიდ.

საქართველო მე ვიხილე, უბედური, რომელსაც მის შავ ბედით მდგომარეობაშიდ ერის გრდემლზედ გამოუჭედია ის დიდი, მტკიცე, ურყევი, უტეხი იარაღი, რომლის სახელია ერთობა და, რომელიც მას უსათუოდ გაუადვილებს გამარჯვების გზებზედ სვლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ. აი რა მაგალითს გაძლევთ თქვენ და ხხითვენ მოგიწოდებს ჩვენი ტანჯული სამშობლო, თქვენ უცხოეთშიდ ზოგიერთ ჯამაძლარ ემიგრანტებს. ვაი მათ ვინც სულის ჩამდგმელია ემიგრაციის დაყოფა დაქუცმაცების, სიძულვილის ჩამოგდების, მტერს, რომ ახარებს და ქართველ მებრძოლ ერს გულს უკლავს.

— — . . — —

საქართველოშიდ ნახულ გმირულ მაგალითებმა აღფრთოვანებაშიდ მომიყვანა, თქვენმა ქცევამ კი გული მომიკლა თქვენი დაქუცმაცებით და ერთი მეორის კილვა· დამცირებით- ასე გესმისთ თქვენ საქართველოს სამსახური? და ამბხ უწოდებთ თქვენ პატრიოტიზმს? თქვენი მოვალემოვალეობაა ზურგი აქციოთ და გათიშოთ ყველა გამთიშველნი და სიმართლის დამმასინჯებელნი და ერთობა დაიცვათ და აღადგინოთ.

--..--

მე და დედა პარიზის იშვიათი სცუმრები ვართ, მაგრამ ერთ პარიზელ მამას მეგობრის საშუალებით, რომელიც უკვე ხნიერია მიგზავნის მანდ გამოსულ ჟურნალებს. პირფერობით არ მიიღოთ , მომწონს თქვენი ჟურნალი, ვიცი თქვენი ვინაობა, როდესაც თქვენი ქალიშვილი ეთერი მოწვეული იყო თბილისის ოპერა ბალეცის თეაცრ-შიდ **ხაცეკვაოდ იმ დროს**. მე და დედაც თბილისშიდ ვი-მყოფებოდით ,ბილეთები შავ ბაზარზედ ძლივს ძლივობით შევიძინეთ, ამოდენა თანხის დახარჯვით გამოწვეული მწუხარება ეთერის ცეკვების განუმეორებელ სიცურფე სი-ლამაზემ დაგვავიწყა. ოვაციებს ხომ საზღვარი აღარ ქონდა , ალბათ გეცყოდათ , მაყურებლებმა, რომ აღარ მოშვენ და გაიძახოდენ"ბის" , შემდეგ სიცყვა, სიცყვა, დღესაც არ მავიწყდება და ამიცომ გწერთ ქალ. ეთერის წარმოთქმულ სიცყვაზედ "ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფე-ბი თქვენთან ერთად ჩემს ნამდვილ სამშობლოშიდ"- ეს იყო რაღაც ზღაპრული ოვაციები,რომელსაც ბოლო არ უჩა-ნდა, ეთერი ვარდ ყვავილებშიდ სიხარულით გაბრწყინე-ბული მადლობას გვიხდიდა. განათლების მინისცრი სცე-ნაზედ ავიდა და მიესალმა. თქვენ წარმოგიდგენიათ ბე-ბია მისიც, დედა თქვენიც კი აიყვანეს სცენაზედ და გვითხრა "გეხვეწებით გაუშვით ეხლა, არ მომიკლათ ეს ჩემი გოგო". ყველა დამსწრე ეთერის სახით ერთდა იმა-ვე დროს ოვაციებით ცაშს უკრავდა მის ბაბუას ნ. ყო-რდანიას.მთელი პრესა ეთერიზედ აღფრთოვანებულ რეცე-ნზიებს სწერდა . თბილისშიდ ყველა უკმაყოფილო იყო, რომ ეთერის უარი უთხრეს ლანჩხუთში მოგზაურობაზედ. განსაკუთრებით ხარობდენ, რომ ეთერი ქართულ ენას კა-რგად ფლობდა.

--..--

ეხლა დაუჯერებელი საკვირველი ამბავი. თქვენი ჟურნალი საქართველოში ვნახე და ჩემს სიხარულს და გაკვირვებასაც საზღვარი აღარ ქონდა, როგორ ან რა გზით ? ვერ ამეხსნა, მასპინძელმაც არა იცოდა რა. დიდის მოწიწებით გადმომცა და თანაც დააყოლა, არ და მღუპო არ დამისვარო, სახლშიდაც ვერ გაგატან აქვე უნდა წაიკითხო, იციროგორ ეძიან მაგ ჟურნალს? ფოცო სურათებსაც ვიღებთ, მაგრამ ყველას ორგინალის ნახვა სურს.

--.--

მამას მეგობარმა საფრანგეთში გადმომიგზავნა "ივერია"-ს უკანასკნელი ნომერი. დიდი ინცერესით წავიკითხე მოწინავე ბ-ნ ა. მანველაშვილისა, უსათუოდ მიმზიდველი და კარგი თხრობა აქვს საქ. ისცორიისა,რომელიც მან ჩინებულათ იცის, მაგრამ ის შეგნებულათ ღალაცობს და ამახინჯებს ისცორიულ სინამდვილეს, როდესაც სწერს" ნ. ჟორდანიას წინდაწინვე გემი გამზადებული ყავდა გასაქცევათ უცხოეთში". ესაა პაცივცემული ისცორიკოსი სინამდვილე?ესაა ნამდვილ მიუდგომელ პაციოსან ისცორიკოსის მოვალეობა? თქვენ განა არ იცით, რომ პრეზიდენცი დამფუძნებელი კრების გადაწყვეცილებით , დადგენილებით და დავალებით გაემგზავრა უცხოეთში ბრძოლის გასაგრძელებლათ? რასაკვირველია იცით , და ჩინებულათაც იცით, და არც კი გრცხვენიათ, რომ ასეთ თქვენ მიერ განგებ გაყალბებულ ისცორიას გსურსთ გაზიაროთ უცხოეთში დაბადებული ქართველი ახალგაზრდობა.
ასეთივე სიცრუე სიცყვით დაწერილი წინადადება მე წავიკითხე სკოლებისათვის განკუთვნილ საქართველოს ისცორიის სახელმძღვანელოებში ხაზ. საქართველოში.

პატივცემულო ბატონო ისტორიკოსო, თქვენ ხომ ჩემზედ უკეთ იცით, რომ ისტორია მეცნიერებაა, რომელიც ნამდვილ ურყევ ფაქტებს ემყარება. ისტორიკოსის მოვალე- ეს ფაქტები მიუდგომლად ალაპარაკოს და შესაფერისი ნამდვილი, მიუდგომელი ლოგიკური დასკვნები გააკეთოს, რადგან საბოლოოდ ისტორია სიყალბეს ვერ ითმენს.

ამ ჟურნალს მე უსათუოდ წავიღებ საქართველოშიდ, შევძლებ მის მიწოდებას ხელისუფლებასა და წითელ პროფესორებისადმი, რომელთა სიხარულს საზღვარი არ ექნება, რადგან თქვენი "ისტორიული გამუქება" ჩვენი პრეზიდენტის ბრახვების, ტყუპი ძმასავით გავს და ემთხვე: ვაბოლშევიკურ ახსნა სწავლებას. თქვენ მამა ცხონებულო თქვენც ხომ მათ აკადემიიდან ხომ არ ბრძანდებით გამოსული? . გაგიგონიათ ალბათ ერთი ანდაზა "მექოთნე ქოთანს ყურს ... იქ გამოაბამს, სადაც მას სურს. ისტორია ეხხომ ქოთანი არაა და თქვენ მექოთნე, თქვენი სურვილისამებრ, რომ ყურს აბამთ?.

თქვენ მხოლოდ ნ. ჟორდანიას და მისი ხანის სიძულვილით სწერთ და მსჯელობთ, როგორც ყრუ მუნჯი საოპერო წარმოდგენის შესახებ.

ვინაა კრიტიკის წინააღმდეგი? შეიძლება არ მოგწონდესთ არ გიყვარდესთ ზოგიერთი ეპოხა, მაგრამ ვის შეუძლიან მისი გაყალბება, ვის შეუძლიან მისი ამოშლა ისტორიის ანალებიდან? და ან მასზედ ისეთი სიყალბის წერა, რასაც თქვენ კადრულობთ. მე ვერ ვნახე ოჯახი საქართველოშიდ, სადაც ფეხზეადგომით ნ.ჟორდანიას სახელს მოწიწებით არ იხსენიებდენ, მისი სახელი სამუდამოდ ვით ბუმბერაზი შევიდა საქართველოს ისტორიაშიდ , ესაა ბ-ნო ალექსანდრე სინამდვილე, რისი

გაგება თქვენ არ გსურთ.
დასასრულ ვიტყვით, სამწუხაროა, ფრიად სამწუხარო და სავალალო, რომ თქვენ ნიჭს ასე ანიავებთ დაჩვენი ქვეყნის მტრებს ახარებთ.

--..--

ჟურნალ ივერიაშიდ გავეცანით აგრეთვე **მეორე ისტორი-კოსის** ბატონ **X. კაშიას წერილს** 26 მაისზედ. წერი-ლი ნიჭიერადაა დაწერილი, მაგრამ შეგნებულად ისტორი-კოსი სრულიად არ იხსენიებს და ივიწყებს ამ დიადი თარიღის მიმქრმელ ნიშან სვეტს ნოე ჟორდანიას.
მე პატივცემულო ისტორიკოსო ეხლახან დავბრუნდი საქა-რთველოდან , მე არ ვიცი თქვენ როდის დასტოვეთ საქა-რთველო, მაგრამ იცოდეთ ერთი , ქართველი ხალხი არ ივიწყებს და არც დაივიწყებს სანამ ის იარსებებს, მიუხედავათ ბოლშევიკების ცდისა,მის საამაყო შვილს დიდ ნოეს, რადგან სწორედ მან ჩასვა საოცნებო ნა-ნატრი, აღტაცების წარმომსახველი წარმტაცი 26 მაი-სი საქართველოს სხეულის ჩარჩოშიდ და მისი სახელიც შიგ დარჩება სამუდამოდ შეუცვლელად გამოკვეთილი, მი-უხედავათ თქვენი ნება სურვილისა.
წავიკითხე მეორე წერილი იმავე ავტორისა"სტალინი-ზმის" არსება. უნდა ვაღიარო ჩემდა სამარცხვინოთ ალბათ ჩემი ქართული ენის საკმაოდ არ ცოდნისა და განვითარებისა, ვერ გავიგე, ვერ ავხსენი საბოლოოდ მის სიტყვათა კორიანტელით სავსე წერილშიდ, რისი თქმა სურს პატივცემულ ავტორს, ალბათ მისი წერილი უმაღლეს კულტურულ- განათლებით აღჭურვილ პირთათვის არის განკუთვნილი და არა ჩემისთანა უბრალო მომა-კვდავებისათვის. მივემგზავრები რა ამ მოკლე ხანში თბილისში ამ წერილსაც თან წავიღებ ჩემს სკოლაშიდ

"სათარგმნელათ" და ახახსნელად ჩემთვის გასაგებ ქართულ ენაზედ.

--..--

"ივერიაში." გავეცანი აგრეთვე "არ დასაკარგ" წერილის შინაარს აწ განსვენებულ გრიგოლ რობაქიძეზე, რომელმაც გული მომიკლა და უზომოდ დამამწუხრა.
განა შეიძლება გამოქვეყნება საკინკლაო, შეუმოწმებელ კერძო წერილისა, სამშობლოსათვის დევნილ და წამებულ საქართველოს საამაყო მწერალ აწ განსვენებულ, გ. რობაქიძეზედ?
შეიძლება ეს"არა დასაკარგი" კი არა არამედ დასაწვავი წერილი პირად მტრობა სიძულვილზედაა, აშენებული და პირად სულიერ განწყობილებაზედ დაწერილი, ამიტომ მეტად საშიში და სახიფათო. განა შეიძლება დაყრდნობა კერძო წერილშიდ გამოგონებულ უმართებულო "ბრალდებაზედ"და მით დიდ მწერლის და მამულიშვილის გრ. რობაქიძის დადაღვა?
საქართველო უმღერის და გულშიდ იხუტებს მის საყვარელ შვილს, დიდ პატრიოტს და სახელოვან მწერალს.
ვის შეუძლია დაივიწყოს მისი"ლამარა",მისი მიმართვა მიუნხენის თაისუფლების რადიოდან ქართველი ერისადმი, ან მისი მამა-შვილური რჩევა და დარიგება იმავე რადიოს საშუალებით ქართველ ახალგაზრდობის მიმართ?
ვის შეუძლია დაივიწყოს მისი ბრძოლები საქართველოს დამპყრობის პირველ წლებშიდ, ჩრდილოეთიდან მოსულ ურდოებთან მათ ცარცვა გლეჯის შესაჩერებლად ქართველ მამულიშვილებთან ერთად.(იხილეთ მისი წერილი ამ მომენტზე "ჩვენ დროშას" სამაისო ნომერშიდ)
დასასრულ ბოლოშით ამ ჩემს წერილს ვამთავრებ ერთ ჩვენ მწერლის სიტყვებით" ოლითგანვე ასე მოგვდგამს

"ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს შევსტიროდით,
"რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დი-
"დი კაცი თუ გამოგვერია მას ისე დავკორტნით, როგო-
"გორც დაკოდილ ძერას ყვავები. ჩვენი უბედურება ამ-
"ყამადაც ეგაა"...სწორედ სამარცხვინოა, რომ ამ ჩვე-
ულებიდან ვერ გამოვდივართ.
ბოდიშს ვიხდი პატივცემულო ბატონო რედაქტორო, რომ
მისამართს ვერ გიგზავნით გასაგები მიზეზები გამო
და ვერც ხელს ვაწერ ამ ჩემს წერილს.
მე მომავალში დაგიკავშირდებით და თქვენ ყურნალსაც
ვიშოვნი.
გთხოვთ მიიღოთ ბატონო ლევან ჩემი ღრმა პატივის ცე-
მა, მეგობრობა და საუკეთესო სურვილები. გისურვებთ
ჯანმრთელობას მე და დედა და თქვენ პირად უბედურებ-
ისა და მწუხარების დაძლევას.

--..--

ზემოთ მოყვანილი ციტატი ამოღებულია კ. გამსახურდიას
რაინდულ რომან "დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა"
დან. ("ჩვენი დროშა"-ს რედაქცია)

--..--

## კარლო ჩხეიძის გარდაცვალებიდან 60 წლის თავზე.



კარლო ჩხეიძე.
(1864—1926 წ.)

კარლო ჩხეიძე ისეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ქვეყანა შეჰხარის, ვისი სახელითაც ამაყობს ერიდა ვისაც პატივითა და სიხარულით ეგებებიან. ჭაბუკობიდავე მან ერისა და ჩაგრულთა წყლული თავის წყლულად გაიხადა , ჩადგა მათ სამსახურში და ვით უმწიკვლო შეუპოვარი რაინდი მათ ინტერესებს და სამართლიანობას იცავდა მის კეთილშობილ გულის უკანასკნელ ფანცქალამდე.

კარლოს ნათელმა გონებამ, ორგინალურ ნიჭმა და ორატორულ მონაცემ სიდიადემ ფართოდ გაუღო მას სახელისა და ამაღლების კარები, მსოფლიოს უდიდეს ტრიბუნაზედ აავლინა და შუქურივით გამონათდაისტორიის კარებში. სახელმწიფო დუმის ტრიბუნიდან კარლოს ხმა მოწოდების ზარივით გუგუნებდა მთელ რუსეთის გაუვალ იმპერიაში გაბედულად, უკომპრომისოდ იცავდა ჩაგრულ ერთა და მშრომელთა ინტერესებს.

მეფის რუსეთის იმპერიის კარ ჩაკეტილ ისტორიის ანალებში დაუვიწყარია მისი პირდაპირობა, შეურიგებლობა და მხილება რუსეთის მიერ პოლონეთისა და ფილიანდიის დამონებისა და მოითხოვდა მათთვის რუსეთის მიერ ძალით წართმეულ თავისუფლების აღდგენას.

სახელმწიფო დუმის რეაქციონურ წევრებს კარლოზედ მოჰგონდათ განუწყვეტელი დამამცირებელი იერიშები, მაგრამ კარლოს სულის განრისხება და მისი ზღვაებრივი გრგვინა, მათში იწვევდა შიშს, მოკრძალებას და რიდს, ჩაგრულ ერებში და ხალხში კი კარლო იმსახურებდა საკვირველ წარმტაც საუცხოო მომხიბლელობას, პატივის ცემას და სიყვარულს.

თებერვლის რევოლიუციის ზარმა კარლო უდავო საიმპერიო რევოლიუციის მოძრაობის წამყვან მეთაურად მოა-

ქცია, მაგრამ შფოთიანმა სტიქიამ მოკლე ხანში გა-
დალევა და გააპარტახა ნამდვილი რევოლუციონური შე-
გნება და გონიერება და დაიწყო რუსეთის რევოლუციის
უფსკრულისაკენ სვლა და თავქვე დაშვება, რამაც გამო-
იწვია მრავალ ერთა იმედების დამსხვრევა, დემოკრატი-
ის აღკვეთა და თავისუფლების დაკარგვა.

კარლომ სამშობლოს მოაშურა, და ის შეიქნა საიმპერიო
ფერფლიდან ახლად ამდგარ თავისუფალ დემოკრატიულ სუ-
ვერენულ საქართველოს ერთ-ერთი ნამდვილი სამკაულთაგანი.
ქართველმა ერმა ნიშნად პატივისა და უზომო სიყვარუ-
ლისა კარლო რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოს, დამფუძნე-
ბელ კრების თავჯდომარედ აირჩია, რომელშიდაც მან
ჩვენი ქვეყნის თავისუფლების მთელი თავისი რწმენა და
მომავლის იმედები ჩააქსოვა.

ჩრთილოეთიდან თებერვლის სუსხმა და ძალადობამ ფეხ-
ქვეშ გათელა ახლად გაშლილი ნორჩი უმანკო ყვავილი
საქართველოს თავისუფლებისა .

კარლოს გული სამუდამოდ , განუკურნებლად დაიჭრა ამ
უსამართლო უხეში ფაქტით და თან გამოჰყვა უცხოეთში
ლტოლვილობაში. ეს სასოწარკვეთილება და გულის იარა
უფრო გაუღრმავა 1924 წლის ტრაღედიამ და მოხდა წარმო
უდგენელი ამბავი, გვაუწყებს ღრმად დამწუხრებული ნოე
ჟორდანია- " კარლომ თავის ხელით გადიჭრა სიცოცხლის
ძარღვი , თავის ნებით დააბოლოვა თავის დღენი, ბრძე-
ნმა უარყო ბრძნული აზრი, " სიკვდილამდე არ მოუკლავს
თავი კაცსა მეცნიერსა" მან კი თავი მოიკლა ბრძოლისა
და ტანჯვის ხანაში და დაგვტოვა ობლად უცხოეთში.

ჩვენ მივეჩვიეთ მსხვერპლის მიტანას, მტერმა მოგვტა-
ცა მრავალნი, ჩვენი ქვეყანა სავსეა წამებულთა საფლა-
ვებით, არა ვართ ჩვეული თავის თავის თავისივე ხელით

სამსხვერპლოზე მიტანის და აი კარლომ მოგვცა ეს საშინელი მაგალითი, კარლოს ტრაღედია ქართველი ერის ტრაღედიაა, ამ ერის ტანჯვა-წვალებამ კარლოში ჰპოვა ტრაღიკული გამომხატველი. მან ველარ გაუძლო ამ წვალებების ყურებას, გოლგოთაზე გაკრული ხალხის წამებას და მან არჩია სამუდამოდ თვალების დახუჭვა"...

1926 წელი ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში უბედურ წელთ აღრიცხვად უნდა ჩაითვალოს .*"7 ივნის დილის 8 საათზე სოფელ ლევილში მწოლარე კარლომ სხვადა უზრალო მაგიდის დანით მალულად საზნის ქვეშ ყელის გამოჭრა, მის გვერდით მყოფმა მეუღლემ დანის გამოტაცება შეხძლო, მაგრამ ისიც ხელში დაიჭრა , დანა შორს გადააგდო , მივარდა ფანჯარასთან და მორთო ყვირილი დახმარებისათვის, კარლომ ისარგებლა ამ შემთხვევით აიღო დანა და განაგრძო ეს საშინელი საქმე, მას მოვარდნილ მეზობლებმა ნოე რამიშვილმა და ერმილე ებრაელიძემ დანა გამოსტაცეს ხელიდგან და საჩქაროდ კლინიკაში მოათავსეს,სადაც ის გარდაიცვალა, თვალები მას ევგენი გეგეჭკორმა დაუხუჭა. კარლოს თავს ადგენ მისი ახლო მეგობრები და ორი ქართველი ექიმი, ანტონ ყორყოლიანი და იოსებ ცინცაძე, აი მათ მიერ გადმოცემული კარლოს უკანასკნელი სიტყვები:" ვფიცავ ჩემს სამშობლოს, მე მინდა სიკვდილი. მინდოდა მენახა ჩემი დედა სამშობლო, მარა ვერ ვეღირსე , არ დამივიწყო ჩემო ქვეყანავ შენი უღირსი შვილი . ერთი ბახმაროდან გადმომახედა - ზევით, რომ მზეადა ძირს ღრუბლები , ნამეცია გოგვაძეს უთხრა: შენ სახლში მოგიკლეს ალფეზ გოგვაძე (ნამეციას მაზლი, მოკლეს ეს ცნობილი მებრძოლი ეროვნულ გმირის ვალოდია გო-

*ჟურნალი "ბრძოლა" ივლისი 1926 წელი.

გვაძის ძმა ბოლშევიკებმა)- ნეტა მეც ისე მომკვდარი ყავი "- . აქ ვხამ წერტილს პატივცემულო მკითხველო, რადგან მხურს აღარ დაგაღონოთ, დაგამწუხროთ ამ საზარელ გულის განგმირავ ცრაღედიის თხრობით, რომელიც ვრცლადაა აღწერილი იმ დროინდელ პრესაშიდ, ვიცყვით მხოლოდ, რომ ამ დიდ ბუნოვანმა ადამიანმა ყველაფერი გაითვალისწინა მის ლოგინთან მყოფ მეგობრებს დაუბარა "საქმეს მოუარეთ "-წერილობით კი დაგვიცოვა ხულ მოკლე ბარათი- " ჩემს სიკვდილში ბრალი არავის დახვდან" კ. ჩხეიძე ___ ივნისი 1926წ. ს. ლევილი.

ხანდახან კუბო თითქოს უფრო აცისკროვნებს ზოგიერთ მიცვალებულს; თითქოს მხოლოდ კუბო არღვევს ხოლმე იმ კედელს, რომელიც მიცვალებულს სიცოცხლის დროს ფარავდა ჩვენგან მის ზნეობა-მოქალაქეობის მომხიბლავ სილამაზეს, მის გონების სიდიადეს და სულის სიმაღლეს, ზოგჯერ მიცვალებულები კუბოდან უფრო მძლავრ , უძლეველ და დიდებულ მოძღვრებად გამოიყურებიან ვიდრე სიცოცხლეშიდ გვეჩვენებოდენ, ახეთია კარლოს სიკვდილი და კუბო.

კარლოს ლეგენდარულ მებრძოლის საქმიანობას, სიკვდილმა კიდევ უფრო ფართედ ახადა ფარდა და ცხადად წარმოგვიდგინა მისი სულიერი გოლიათობა, სამშობლოს სიყვარულის ბუმბერაზობა და მისი კაცობის დიადობა! თუ რამდენად დიდი იყო კარლოსადმი სიყვარული და პატივისცემა ეს გამოჩნდა მის დასაფლავების დღეზედ, მის გვირგვინებით შემკულ, ცოცხალ ყვავილებშიდ ჩაფლულ კუბოს მწუხარებაშიდ შეერთებულნი სულით და გულით თავს ევლებოდენ საფრანგეთის ინგლისის, გერმანიის, ბელგიის სოციალისც პარციათა მეთაურები და რჩეული წარმომადგენლები, ცნობილ პერ ლაშეს სასაფლაოზე

ლეონ ბლუმი, ბრაკე, სევერაკი, რენოდელი, დებრუკერი და სხ.მათ წარმოსთქვეს კარლოსსადიდებელი და მისი სახით ჩვენი ტანჯული ერისადმი უაღრესად შინაარსიანი სიტყვები და ძმური თანაგრძნობა გამოგვიცხადეს უზომოდ ღრმად დამწუხრებულ ქართველებს.

ლეონ ბლუმა აღშფოთება გამოთქვა"რომ დღეს მსოფლიოშიდ ბატონობს უსამართლობა და ძალმომრეობა, რომლის მსხვერპლი გახდა პატარა მშვიდობიანი, სუვერენული დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკა და თქვენი და ჩვენი სწორუპოვარი მსოფლიო დემოკრატიის და სამშობლოს უანგარო მსახური ამხანაგი კარლო. ჩვენ თქვენთან ვართ, იქონიეთ რწმენა თქვენი ქვეყნის განთავისუფლების, ჩვენ თქვენ არ გივიწყებთ და არასოდეს არ დაგტოვებთ".

რუსი, სომეხი,პოლონელი, უკრაინელი, ბელორუსი, ფინელი,ჩეხი, მუსულმანი, ყველანი მწუხარებაშიდ-შეერთებულნი სამძიმარს გვიცხადებდენ მიცვალებულისადმი პატივის გამოთქმებში.

კარლოს მოღვაწეობა და სულიერი მშვენება ატყვევებდა ყველა ერთა წარმომადგენლებს და თვით ერთ დროს რუსეთის მეთაურს კერენსკის, რომელმაც თავის სიტყვაშიდ თავი ახადა კარლოს იდეის ნათელ აზროვნებას სულიერ სიმდიდრის სკივრს და მისი ტიტანიური მოღვაწეობის საგანძურისაღწერით დაგვატკბოდა გაგვაოცა.

"განუსაზღვრელი და განსაცვიფრებელია კარლოს მოღვაწეობა და დამსახურება მთელი რუსეთის მაშტაბით და ამიტომ გთხოვთ ქართველებს, როდესაც საქართველო კვლავ განთავისუფლდება კარლოს ცხედარი საბოლოოთ მშობლიურ მიწაზე დაკრძალამდე უნდა გატარდეს თა-

ვისუფალ რუსეთის დიდ ქალაქებშიდ,რათა რუსის ხალხს მიეცეს საშუალება, რომ ნიშნად პატივის ცემისა და სიყვარულისა თავი მოიხაროს დაუვიწყარ კარლოს კუბოს წინაშე!"

18 ორატორმა წარმოსთქვა სიტყვა. სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვეს ევგენი გეგეჭკორმა და ფრანგულათ ირაკლი წერეთელმა. სამგლოვიარო დეპეშები მოვიდა ყველა ქვეყნებიდან რიცხვით აუწერელი.

კარლო, როგორც იდეალური ნაყოფი-ქართველი ერისა შეუდარებლად ძვირფასი, დაუვიწყარი, საყვარელი პიროვნებაა, რომელიც დიდების სახელით შევიდა მის მშობლიურ ერის ისტორიაშიდ, რადგან ის სასიქადულოა ჩვენთვის- მისი სისხლის და ხორცის მქონებელთათვის და მის და მის სულიერ , ზნეობრივ თვისებათა მემკვიდრეთათვის.

. ლ. ფ.

19 -- კარლო განისვენებს პერ ლაშეს სასაფლაოზე. დროს ლევილის ძმათა სასაფლაოზემისი გადმოსვენების, რასაც გვავალებს ჩვენი სინდისი, მორალური მოვალეობა და ამ დიდებულ მამულიშვილის სახელის პატივის ცემა.

ესაა სთვისტომოს თავჯდომარის და ლევილის სასაფლაოს მომვლელ კომიტეტის უწმინდესი და პირველი მოვალეობა. ვიმედოვნებთ, რომ ამ ჩვენს საეროვნო თხოვნას შეიწყნარებენ და მას დაჩქარებით განახორციელებენ, რადგან კარლოს საფლავს დაკარგვა მოელის.

ლ. ფ.



ვერონიკ- ' ლიალია ჩხეიძე.

1909-1986.

ლიალია ჩხეიძე-- ბარონ ანატოლ ფონ გრახმანისა.

1909-1986.

--..--

კარლო ჩხეიძის გარდაცვალების 60 წლის თავს დაემთხვა უცხოეთშიდ . მისი ერად ერთი ქალიშვილის გარდაცვალება, რამაც უზომოდ დაგვამწუხრა. ლიალიას სამუდამო განშორებით ჩაქრა უცხოეთშიდ კარლო ჩხეიძის შთამომავლობა, რამაც გული კიდევ უფრო დაგვისევდიანა. ლიალია დაკრძალულ იქნა სამშაბათს 8ივლის მის მეუღლის გვერდით ლევილის ძმათა სასაფლაოზედ. ჩვენმა საყვარელმა მოძღვარმა მამა ილიამ მიცვალებულის წესის აგებამდე, დამსწრე საზოგადოებას ფართოდ გადუშალა საქართველოს საამაყო შვილის კარლოს მოღვაწეობა მისი უმწიკვლო სამსახური და თავდადება სამშობლოსადმი, რომელმაც ლტოლვილობაში ველარ აიტანა თავისუფალ სუვერენულ საქართველოს დაპყრობა, მისი ხალხის წამება და თავის ტანჯულ ცხოვრებას ბოლო მოუღო უცხოეთშიდ თვითმკვლელობით.

მამა ილიამ შეავედრა ქრისტესა ღმერთსა, მხევალი მონა ღვთისა ლიალია, რათა დაამკვიდროს სული მისი სასუფეველსა შინა სადაც სამშობლო საქართველოსათვის თავდადებულნი განისვენებენ.

საუკუნო იყოს ხსენება მისი.

--..--

ლ. ფ.

პატივცემულო მკითხველო!

თქვენთვის გასაცნობად ვაქვეყნებთ პრ. ექვთიმე თაყაიშვილის განცხადებას იმ ფერწერით სურათების შესახებ, რომელიც მან ჩააბარა საზ. საქართველოს მიერ წარმოგზავნილ ემისარს პრ. შ. ამირანაშვილს ამ უკანასკნელის ხელწერილით. პროფ. თაყაიშვილის განცხადებას დართული აქვს გრძელი სია სურათებისა, რომელსაც სამწუხაროდ ვერ ვაქვეყნებთ უადგილობის გამო.

„ჩ. დროშა"-ს რედაქცია.

[illegible] 25 [illegible] 1945 [illegible]

[illegible] 68 [illegible]

[illegible] 68 [illegible]

[illegible]

1945 [illegible] 20 [illegible]
[illegible]
[illegible]
([illegible]
[illegible]).

[illegible]

[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

P. S. ეს სურათები დამატებაა იმ განძეულობის, რომელიც საქართველოს ეროვნულ მთავრობამ დაუბრუნა საქართველოს, რომელიც მან გამოიტანა უცხოეთში შესანახათ და დასაცავათ.

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ, თქვენი ჟურნალის უახლეს ნომერში მომითავსოთ ეს ჩემი განცხადება:

ჟურნალ "კავკასიონის" ხელმძღვანელის, პოეტ გიორგი ყიფიანის თხოვნით, მე ერთი სტატია უძღვენი 1924 წლის აგვისტოს აჯანყების 60 წლისთავს, რაც გამოქვეყნებულ იქნა ხსენებული ჟურნალის 1986 წლის 21 ნომერში, რომელიც დარიგდა სწორედ ჩვენი, ან გარდაცვლილი პოეტის დაკრძალვის დღეს. ჩემი წერილის უკანასკნელი აბზაცი, სამწუხაროთ, "გადაკეთებულად" გამოქვეყნებული. აი ეს ადგილი:

"1924 წლის 28-29 აგვისტოს ეროვნული აჯანყების 60 წლისთავზე, ქედს მოვიხრით დაღუპულ გმირთა წინაშე, რომლებმაც ქაისხრო (ქაქუცა) ყოლოყაშვილის მეთაურობით თავი შესწირეს საქართველოს, ქართველი ერის უკვდავებას".

ამ აბზაცში რედაქციას ჩაუმატებია ჩვენი ეროვნული გმირის სახელი და გვარი, თუმცა ცნობილია, რომ მთელი საქართველო დაყოფილი იყო თერთმეტ სამოქმედო რაიონად, რომელთა საერთო მეთაური იყო "დამკომი", ე.ი. "დამოუკიდებლობის კომიტეტი". ქაქუცა ჩოლოყაშვილი კი მეთაურობდა, როგორც ამას სოლომონ ზალდასტანიშვილი წერს თავის მოგონებაში ("საქართველოს 1924 წლის ამბოხება" მიუნხენი, 1956 წელი), თიანეთის, დუშეთის, კავთის-ხევის, მანგლისისა და ბორჩალოს აჯანყებულებს, ე.ი. იყო ერთი სამოქმედო რაიონის მეთაური, და არა აჯანყების საერთო მეთაური.

პატივისცემით,
კარლო ინასარიძე
ლევილი, 1986 წლის ივლისი

ჟურნალ "ივერია"-ს ამა წლის ივლისის ნომერშიც მოთავსებულია კრიტიკა, ახსნა განმარტების მოთხოვნით ბ-ნ მ. ზერიშვილის მიმართ, მის მიერ "ჩ.-დ-"ში მოთავსებულ "სწავლული მღვდელი"-ის სახელწოდებით" (ჩ-დ-ა" მაისი 1986წ.) ბ-ნ მ. ზერიშვილის საპასუხო წერილი სათანადო ახსნა განმარტებით უადგილობის გამო მოთავსდება მხოლოდ შემდეგ ნომერში.

"ჩ-დ" ის რედაქცია.

# ქართველი თავისუფლად მოაზროვნეები
# თენგიზ გუდავა და ერმალო ზალაძე

ქართველი დისიდენტების, ე.ი. თავისუფლად მოაზროვნეების შესახებ, უკანასკნელ ხანში, მეტად მჭლე ცნობები მოგვეპოვება. პარტიულმა ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, თითქმის ჩაკეტა ყველა გზა, რომლითაც ჩვენი თავისუფლად მოაზროვნეების "თვითგამოცემითი" დოკუმენტები ჩვენამდე აღწევდა. მაგრამ თითო-ოროლა ცნობა მაინც ქვეყნდება ზოგჯერ დასავლეთის დემოკრატიულ პრესაში. აი, მაგალითად, რას წერს დასავლეთ-გერმანული დიდი გაზეთი "ზიუდდოიჩე ცაიტუნგი" თავის 1986 წლის 16 ივნისის ნომერში თავისუფლად მოაზროვნე თენგიზ გუდავას შესახებ:

"როგორც რეიტერის დეპეშათა სააგენტო იტყობინება მოსკოვიდან, ქართველი მუსიკოსი და ადამიანის უფლებათა დამცველი - თენგიზ გუდავა -, მისი დედის ცნობით, მის საქმეზე სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ, - მოთავსებულ იქნა ფსიქიატრიულ კლინიკაში. თენგიზ გუდავას დედა იტყობინება, რომ მისი შვილი თენგიზი ფსიქიატრიულ კლინიკაში ჯერ უნდა დარჩეს განუსაზღვრელი დროით. გუდავას საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესზე, მას ბრალი დასდეს ანტისაბჭოთა პროპაგანდისა და აგიტაციის წარმოებაში და საბუთები წაუყენეს, რომ გუდავამ დასავლეთის ჟურნალისტებს დოკუმენტები გადასცა."

ამ ცნობის სათაურია -"ქართველი დისიდენტი მოათავსეს ფსიქიატრიულ კლინიკაში".

იმავე - "ზიუდდოიჩე-ცაიტუნგის" 1986 წლის 23 ივნისის ნომერში კი გამოქვეყნებულია "ასოშიეიტედ პრესის" დეპეშათა სააგენტოს ცნობა მოსკოვიდან, რომელშიც ნათქვამია:

"საბჭოთა დისიდენტები - <u>თენგიზ გუდავა</u> და <u>ერმალო ზალაძე</u> -, გუდავას დედის ცნობით, ანტისაბჭოთა პროპაგანდისა და აგიტაციის წარმოების ბრალდებით, საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ დასაჯა პატიმრობით. გუდავას დედის ცნობით, მის შვილს - თენგიზს - მიუსაჯეს შვიდი წლით პატიმრობა მომდევნო სამი წლით "შინაგანი გადასახლებით", ერმალო ზალაძეს კი მიუსაჯეს ხუთი წლით პატიმრობა მომდევნო სამით წლით გადასახლება. თენგიზ გუდავას დედამ - რაისამ - ეს ცნობა მიაწოდა "ასოშიეიტედ-პრესის" დეპეშათა სააგენტოს თბილისიდან. ორივე თავისუფლად მოაზროვნეს - თენგიზ გუდავასა და ერმალო ზალაძეს - პროკურორმა წაუყენა ანტისაბჭოთა დოკუმენტების უცხოელებისათვის გადაცემის ბრალდება.

პროკურორმა მათი ამგვარი მოქმედება "უაღრესად საშიშ ბოროტმოქმედებათ" ჩათვალა."

ამგვარად, ქართველ თავისუფლად-მოაზროვნეთა არც ისე მცირერიცხოვან გუნდს, კიდევ ორი წამებული მიემატა: თენგიზ გუდავა და ერმალო ზალაძე.

==================
=======

პატივცემულ დ-რ ილია კუჭუხიძის საყურადღებოთ.
"აგრესიული რეცენზია"

--..--

ამა წლის 8 აგვისტოს ჩვენმა რედაქციამ მიიღო პატივცემულ დოქტორ ილია კუჭუხიძის ათ გვერდიანი , ზემოთ აღნიშნულ სათაურიანი წერილი, თხოვნით ჩვენ ჟურნალშიც მოხათავსებლათ, რომელიც მიმართულია ჟურნალ "ივერიაში" მე 29 ნომერში გამოქვეყნებულ "ფიცხელი" რეცენზიის "გამომცხობ" ( ეხ სიტყვები დ-რ ილია კუჭუხიძისაა წერილის ტექსტში).
ბატონ მ. ქავთარაძის წინააღმდეგ.
ჩვენი ცნობებით ახეთივე წერილი ბ-ნ ილიას გაუგზავნია ბ-ნ მ. ქავთარაძისთვისაც, რომელიც როგორც გადმოგვცეხ თანახმად ალათისა და ვალდებულებისა ბ-ნ ილიას წერილს "აგრესიული რეცენზიას " აქვეყნებს ჟურნალ "ივერიის ფურცლებზე, ამიტომ ჩვენი ჟურნალის რედაქცია, მიზან შეუწონლათ სთვლის მის "ჩვენ დროშაში" გამოქვეყნებას.
იმ შემთხვევაში თუ ჟურნალი "ივერია" არ გამოაქვეყნებს დ-რ ი. კუჭუხიძის წერილს და მის გამოთქმულ ხურვილს მხვლელობას არ მისცემს, ჩვენ თანხმობას ვაცხადებთ წერილის გამოქვეყნებაზე. ტექსტი ინახება ჩვენი ჟურნალის არხივშიც, მის ავტორის განკარგულებაში.

"ჩვენი დროშა"-ს რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა





## 26 მაისი პარიზში.

1986 წ.

საზეიმო ვითარებაში , იდღესასწაულა პარიზის ქართვე-
ლობამ დიადი 26 მაისი. სათვისტომოს თავჯდომარემ
ბატონ თ. ნასყიდაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მი-
ულოცა ეს დაუვიწყარი თარიღი და მის შინაარსიან სი-
ტყვაში განავითარა ამ დიადი დღის მნიშვნელობა და
გამოსთქვა რწმუნება მისი გამარჯვების. მოძმე და-
პყრობილ ერთა სახელით მხურვალე სიტყვები წარმოსთ-
ქვეს სომხეთის, უკრაინელების, პოლონლების, ბელორუ-
სების და ვენგრელების წარმომადგენლებმა.
დიდებულათ ჟღერდა ქართული გუნდი, რომლის სულის ჩა-
მდგმელია საფრანგეთშიც დაბადებული , დავაჟკაცებული
ბ-ი ოთარ პატარიძე. მასთან ერთად შეზრდილ ბატონე-
ნებმა ო. ზურაბიშვილმა, პინსკიმ(დედით ამილახვარმა)
მ. მდივანმა, და მ. ოდიშელიძემ დიდი გრძნობით, სი-
ყვარულით და შთაგონებით შეასრულეს ქართული სიმღერე-
რები და მისი მელოდიებით მოხიბლეს, როგორც ქართვე-
ლობა ისე უცხოელები, რისთვისაც მათ დაიმსახურეს

ჩვენი უზომო მადლიერება , სიყვარული და პატივის-ცემე. გახარებს ამ ქართველ ჭაბუკთა ურთიერთ-შორის სპეტაკი და ურყევი მეგობრული დამოკიდებულება, რი-სთვისაც ერთხელ კიდევ ჩვენი განმორებითი დიდი მა-დლობა.

საზეიმო სხდომა დამთავრდა ტრადიციულ ვახშმით.

--..--

დამსწრე.

....

26 მაისი ქ. სოშოში.

--..--

სოშოს ქართულმა სათვისტომომ იდღესასწაულა, ჩვენი ძვირფასი სამშობლოს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი.

საზეიმო დარბაზი მორთული იყო ქართულ-ფრანგულ დროშე-ბით. საზეიმო სხდომას ესწრებოდენ ფრანგი მეგობრები. საზეიმო სხდომა გახსნა სოშოს ქართულ სათვისტომოს თავჯდომარემ ბ-ნ გრიგოლ კვარცხავამ. ილაპარაკა თუ, როგორ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რა დიდებით შეხვდა ქართველი ერი 26 მაისს. რუსეთმა ხელ მეორეთ დაგვიპყრო, წაგვართვა სამშობლო, მაგრამ ბრ-ძოლა გრძელდება. მოვა დრო საქართველო განთავისუ-ფლდება და ქართული დროშა კვლავ იფრიალებს ჩვენ ძვი-რფას სამშობლო საქართველოში.

სასიამოვნო სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნ რემონ ზენარმა, ილაპარაკა საქართველოს წარსულზე, ქართველი ხალხის ზნე ჩვეულებაზე, მათ სტუმართმოყვარეობაზე და გმი-რულ ბრძოლებზე, რომელიც გადაიტანა ქართველმა ერმა საუკუნოებით, მრავალ რიცხოვანი მტრის წინააღმდეგ საქართველოს თავისუფლების შესანარჩუნებლად. უსურვა

თავისუფლება საქართველოს და ბედნიერება ქართველ ერს.

საზეიმო სხდომა დამთავრდა " დიდება საქართველოს".

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა ნადიმი. გაიშალა ქართულ ფრანგული სუფრა გაჩაღდა ქეიფი, ქართულ ცეკვა სიმღერებით.

ქეიფი გაგრძელდა გვიან საღამომდის, საღამოს დავიშალენით მხიარულად მომავლის რწმენით.

გამგეობა.

Levan PAGAVA
3, rue Adolphe Chérioux
Issy les Moulineaux

Issy, le 3 juillet 1986



PRESIDENCE DE LA REPUBLIQUE

Monsieur le Président de la République,

A l'occasion de votre voyage en URSS, nous nous permettons de vous adresser ce mémorandum sur notre pays occupé par la Russie Soviétique : la Géorgie.

Nous doutons, hélas, que l'on vous laisse visiter la Géorgie.
En effet, le Président Vincent Auriol ainsi que Guy Mollet ont découvert la mise en scène du pouvoir occupant en visitant notre pays.
Ils ont ainsi pu constater, en dépit de la propagande, la réalité des faits et la lutte inégale et dangereuse que le peuple menait contre l'occupant.

Nous nous permettons de vous adresser cet exposé au nom du Parti Social-Démocrate Géorgien en exil, afin de contribuer à une information plus précise sur le sort de notre pays qui a été la première victime de l'impérialisme soviétique.

La France nous a accueilli depuis 1921. Vous trouverez sur la déclaration jointe l'estime que nous lui portons.
Léon Blum nous encourageait fraternellement et nous répétait qu'il n'abandonnerait jamais les sociaux-démocrates géorgiens qui menaient la lutte pour la libération de la Géorgie.

Vous trouverez également dans notre envoi, le dernier numéro de notre journal édité de manière artisanale, faute de moyens plus importants. Nous réussissons à l'envoyer en Géorgie d'où nous recevons beaucoup d'encouragements.

En vous remerciant de votre attention, nous vous prions d'agréer, Monsieur le Président, l'expression de notre haute considération.

Le Bureau Politique du Parti Social-Démocrate à l'Etranger

ეს წერილი გაეგზავნა საფრანგეთის პრეზიდენტს ბატონ ფრანსუა მიტერანს, მის საბ. რუსეთში გამგზავრების წინ, რომელსაც დაურთეთ მოხსენებითი ბარათი, ახსნა განმარტებით, საბ. რუსეთის აგრესიისა ჩვენს პატარა ნეიტრალურ , დემოკრატიულ , მის მიერ ცნობილ სუვერენულ სახელმწიფოს საქართველოს წინააღმდეგ.
საქართველოს რესპუბლიკის გაუქმება და დაპყრობა.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

A PROPOS DU VOYAGE DU PRESIDENT DE LA

REPUBLIQUE FRANCAISE EN U.R.S.S.

Il est, peut-être, opportun et même d'un intérêt général de soumettre à Monsieur le Président de la République Française qui s'apprête à partir pour Moscou le cas de la Géorgie, pour lui faire savoir de quelle manière les dirigeants de Moscou tiennent leur parole et font honneur à leur signature apposée sur les traités internationaux.

Le 7 Mai 1920, le Gouvernement soviétique signa, avec la Géorgie, un traité par lequel il reconnaissait, d'une façon catégorique et sans aucune réserve, l'indépendance et la souveraineté de cette dernière.

Voici dans quels termes était conçu le premier paragraphe de ce traité : "Se basant sur le droit de tous les peuples, proclamé par la République Socialiste Fédérative Soviétique Russe, de disposer d'eux-mêmes, jusque et y compris la séparation totale de l'Etat dont ils font partie, la Russie reconnait sans réserve l'indépendance et la souveraineté de l'Etat géorgien et renonce de plein gré à tous les droits souverains qui appartenaient à la Russie, à l'égard du peuple et du territoire géorgiens".

Plus tard, le 14 Novembre 1920, le même Gouvernement soviétique signa avec la Géorgie un accord de transit et de commerce qui garantissait les intérêts économiques des deux pays.

Ce qui arriva trois mois après la signature de cet accord est connu de tout le monde. Le 11 Février 1921, les armées rouges, sans déclaration de guerre, envahissaient la Géorgie du côté de l'Arménie et de l'Azerbaidjan soviétisés par la force, ainsi que du côté de la mer Noire, et, après cinq semaines d'une résistance acharnée de la part de la Géorgie, elles réussissaientà occuper son territoire.

Cette violation flagrante des obligations internationales fut un véritable défi jeté à la face du monde civilisé.

En effet, deux semaines avant cette invasion inouie, le 27 Janvier 1921, le Conseil Suprême des Alliés (France, Angleterre, Italie, Japon, Belgique), siègeant à Paris, reconnaissait de jure l'indépendance de la Géorgie et, faisant connaitre au Gouvernement géorgien cette reconnaissance. Le Président de ce Conseil, Aristide Briand, écrivait entre autres : "Les Puissances alliées sont heureuses de pouvoir témoigner ainsi à nouveau de la sympathie avec

./...

laquelle elles ont suivi les efforts du peuple géorgien vers l'indépendance et de l'admiration que leur inspire l'oeuvre qu'il a déjà accomplie".

La Géorgie était reconnue également par la plupart des autres puissances et elle se trouvait avec elles en relations diplomatiques normales. Sa légation à Paris, ouverte dès le début de 1921, fonctionna jusqu'en 1933 inclus.

Il n'est donc pas étonnant que la violation de la Géorgie, entrée dans la famille des peuples libres, par la puissance qui avait été l'une des premières à la reconnaître, ait soulevé dans le monde une indignation générale. Parmi les protestations sans nombre émanant des différents pays, la plus sévère fut celle du Conseil Municipal de Paris, le 23 Février 1921, qui se terminait par ces mots : Le Conseil Municipal de Paris "voue au mépris des hommes le Gouvernement bolcheviste, qui, sans déclaration de guerre, porte le meurtre dans la République de Géorgie".

On n'a pas oublié les manifestations de sympathie à la Chambre des Députés chaque fois que la Géorgie martyre était évoquée. Il suffit de mentionner ici un cas. Le 2 Avril 1922, M. Edouard Herriot, s'adressant au Président du Conseil, disait : "La souveraineté de la Géorgie a été formellement reconnue par les Puissances alliées. Elle a été reconnue, d'autre part, par le Gouvernement russe lui-même en vertu d'un traité fort précis. Je demande à M. le Président du Conseil de bien vouloir déclarer que son Gouvernement demeure attaché à la cause de cette indépendance. Le disant au nom de la France, qui a déjà agi pour l'indépendance de la Pologne et des Tchèques, qu'il nous permette de faire parvenir un espoir à un malheureux peuple opprimé." Raymond Poincaré, Président du Conseil, lui répondit : "L'honorable M. Herriot n'a fait qu'exprimer la pensée du Gouvernement lui-même, telle qu'elle a été exprimée plusieurs fois déjà à l'Etat de Géorgie. Ce Gouvernement possède d'ailleurs à Paris un représentant et ce représentant a accès au Ministère des Affaires Etrangères."

Le Gouvernement français défendit hors de la France, avec la même énergie, les droits de la Géorgie. Il insista et obtint que la délégation soviétique ne soit pas admise à représenter la Géorgie aux Conférences internationales de Gênes et de Lausanne.

Voici les instructions données à la délégation française à Gênes par Raymond Poincaré, Président du Conseil, et lues par lui à la Chambre des Députés, le 2 Juin 1922 : "Le Gouvernement français qui, avec les autres Gouvernements alliés, a reconnu l'ancien Gouvernement géorgien comme Gouvernement <u>de jure</u> ne saurait d'ailleurs admettre de traiter aujourd'hui une question de cette nature avec les représentants du pouvoir de fait qui a chassé de Géorgie le Gouvernement régulier".

./...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Pendant l'insurrection du peuple géorgien contre le pouvoir d'occupation, en Août et Septembre 1924; sur l'initiative des délégations française et belge, l'Assemblée de la S.D.N. chargea son Conseil "de saisir les occasions qui pourraient se présenter d'aider, par des moyens pacifiques et conformes aux règles du droit international", au rétablissement de l'indépendance de la Géorgie. M. Mac Donald, délégué du Canada, rapporteur de la Sixième Commission, qualifia ainsi l'envahissement de la Géorgie : "Un fait presque sans précédent dans l'histoire du monde. La Russie, bien qu'elle eut reconnu la Géorgie, l'attaqua, au mépris de ses engagements. Depuis cette date, la situation de ce pays a suscité la sympathie de toutes les nations du monde."

Il est vrai que, par la suite, la France a reconnu le Gouvernement de l'U.R.S.S., mais cette reconnaissance n'a pas empêché le Gouvernement de la République de maintenir à Paris la Légation de Géorgie pendant neuf années encore. Du reste, dans le télégramme de reconnaissance, envoyé le 28 Octobre 1924 par le Président du Conseil, M. Edouard Herriot, en dehors de la réserve générale : reconnaissance de jure "comme Gouvernement des territoires de l'ancien Empire russe où son autorité est acceptée par les habitants", il a été fait une réserve spéciale pour la Géorgie et la Bessarabie, stipulant que cette reconnaissance "ne saurait porter atteinte à aucun des engagements pris".

Le peuple géorgien n'a pas accepté et n'acceptera jamais l'autorité du Gouvernement soviétique qui occupe son territoire, en violation perfide du traité signé par lui et consacré par le monde entier.

Avant la ratification du Pacte d'Assistance Franco-Soviétique, les élus de la France, défenseurs traditionnels des peuples opprimés, pourraient demander au Gouvernement de Moscou s'il est prêt à évacuer la Géorgie ou, au moins, à laisser le peuple géorgien exprimer librement sa volonté nationale.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## LETTRE DU GROUPE SOCIALISTE AU PARLEMENT

### à M. HERRIOT, *Président du Conseil,*

### sur la Reconnaissance des Soviets et l'Indépendance de la Géorgie

Paris, le 3 juillet 1924.

Monsieur le Président du Conseil,

Vous allez procéder prochainement à la reprise des relations diplomatiques avec la Russie soviétique.

Le Parti socialiste, vous le savez, n'a aucune objection à formuler contre un tel acte. Mieux, il n'a cessé de le réclamer comme nécessaire.

Le Groupe socialiste appuiera donc la mesure que vous vous proposez de prendre, en conformité d'ailleurs avec la déclaration ministérielle, en conformité aussi avec la lettre que vous avez bien voulu faire tenir au Congrès socialiste de juin 1924.

Mais le Parti socialiste désire attirer votre attention sur un important détail à propos duquel sa pensée n'est pas moins constante.

Le peuple d'un petit Etat du Transcaucase, la Géorgie, qui avait proclamé son indépendance, au même titre que les autres petits ou grands Etats issus de la Russie et de sa Révolution, se demande anxieusement aujourd'hui si, en accomplissant l'acte de reconnaissance de la Russie soviétique, les Etats alliés et particulièrement la France, ne vont pas abandonner la position qu'ils ont prise à son égard.

L'indépendance géorgienne, proclamée le 26 mai 1918, confirmée le 12 mars 1919 par l'Assemblée constituante de Géorgie, a été reconnue par la France « de jure », le 27 janvier 1921.

La France était autorisée à une telle décision, puisqu'entre autres choses, la Géorgie avait été, antérieurement, reconnue par la République soviétique de Russie. Un traité avait, en effet, été conclu le 7 mai 1920 par lequel le gouvernement russe reconnaissait, à la fois, le droit des peuples à disposer d'eux-mêmes et le droit particulier de la Géorgie à son indépendance.

L'article 1er de ce traité est ainsi conçu :

« Se basant sur le droit de tous les peuples, proclamé par la République Socialiste Fédérative Soviétique Russe, de disposer librement d'eux-mêmes jusques et y compris la séparation totale de l'Etat dont ils font partie, la Russie reconnait sans réserves l'indépendance et la souveraineté de l'Etat géorgien, et renonce de plein gré à tous les droits souverains qui appartenaient à la Russie à l'égard du peuple et du territoire géorgiens. »

En février 1921, sans déclaration de guerre, la Géorgie a été envahie par les armées russes. Son peuple n'a, depuis ce temps, cessé de protester contre la violence dont il était ainsi l'objet, sans doute parce qu'il était un petit Etat sans défense.

Le Groupe socialiste ne veut pas rechercher en ce moment si les gouvernants de la Russie soviétique sont décidés à maintenir longtemps encore une occupation militaire qui s'est faite en violation du traité qu'ils ont solennellement signé.

Il lui suffit de constater que la France a la tradition du respect des traités et de la parole donnée.

Il pense donc que la République française ne saurait, sans dommage moral pour elle-même, abandonner l'attitude prise à l'égard d'un petit peuple dont l'indépendance a été universellement reconnue. Le Gouvernement français doit la conserver, même si le développement des négociations ne permettait pas d'obtenir l'assentiment de la Russie.

Le Parti socialiste suggère donc que le Gouvernement de la République déclare qu'il reconnait pleinement « de jure », l'Union des Républiques soviétiques « sous réserve des actes internationaux par lesquels fut reconnue « de jure » l'indépendance des différents Etats issus de l'ancien empire russe, et ayant leurs représentants accrédités auprès du Gouvernement français. »

Il tombe sous le sens que si une telle formule, à défaut d'une autre plus explicite, n'était pas adoptée, l'abandon de la cause géorgienne risquerait de devenir une menace pour d'autres petits pays, puisqu'il sanctionnerait tacitement une entreprise de la force et en rendrait pour d'autres cas la tentation toujours possible.

Le Groupe socialiste au Parlement pense enfin que, sans doute quelque jour le problème de la Géorgie indépendante se posera à nouveau devant la Société des Nations et que des conditions favorables permettront de le résoudre.

Le Gouvernement de la République commettrait donc une faute en aliénant par avance sa liberté de jugement devant le Tribunal International de la Paix.

Dans l'espoir que vous voudrez bien examiner ces considérations avec la bienveillance et l'esprit d'équité internationale que commande un tel problème, le Groupe socialiste se tient à votre disposition pour toute conversation complémentaire.

Veuillez agréer, Monsieur le Président du Conseil, nos salutations socialistes.

Le Groupe socialiste au Parlement.

⁂

## A LA FRANCE

Je bois à la FRANCE et à son peuple charmant,
Je bois à la FRANCE et son esprit si grand.
Je bois à la FRANCE, pays de liberté,
De loi respectée, de beauté glorifiée,
Je bois à la FRANCE qui accueille les vaincus,
Le havre des faibles et des exilés.
La FRANCE a cru en nous, de notre pays, chassés,
Et je bois à sa santé.
Je bois à la FRANCE qui a su jadis,
Briser ses chaines et ses boulets.
A son génie qui guide l'esprit, à sa bonté, à sa lumière
Qui nous réchauffe et nous bénit.

A. Jordania

ეროვნული ბიბლიოთეკა

# -DECLARATION-

--..--

Nous sommes les enfants d'un peuple opprimé . La force étrangère nous a arraché la liberté politique ainsi que la liberté nationale ; nous sommes sous le joug en tant que peuple et nation .

Qui comprendra mieux notre souffrance que celui qui croit en ces deux libertés et qui a inscrit sur son drapeau le droit de l'homme et le droit des peuples, et qui a déclaré ce droit pour tout le monde, pour toute l'humanité ? C'est la France qui était et reste le défenseur des opprimés . La France a su réunir en elle-même l'esprit français et universel, l'esprit national et humanitaire .

Nous ne croyons pas et n'avons jamais cru que ceux qui imposent le despotisme à leur propre peuple, pourraient apporter aux autres la liberté, et que les conquérants de peuples libres puissent affranchir les nations opprimées . Le banditisme international détruit tous les droits sous toutes ses formes . Deux drapeaux opposés flottent aujourd'hui sur le monde : celui de la liberté, et celui de l'esclavage ; la place du drapeau Géorgien se trouve dans le camp de la liberté .

Tel est le mobile de notre orientation politique et dans la même direction vont nos pensées nationales .

Le peuple Géorgien souffre sous la domination de la Russie Soviétique ; Il n'a jamais admis cet état de choses, et combat sans cesse son oppresseur, le Pouvoir Soviétique, et avec celui-ci tous ceux qui l'aident , contre tous ses alliés quels qu'ils soient . Nous n'étions jamais, nous ne sommes et ne seront en aucun temps du côté de l'URSS et de ses défenseurs, ni au point de vue idéologique, ni politique, ni national . Il y a longtemps que les ponts sont rompus entre nous et que la lutte entre nous est déclarée . Maintenant les Alliés se sont placés dans la même position que nous .
La dénonciation du bolchévisme par nous comme l'ennemi, non seulement de la Géorgie mais aussi de toute l'humanité, comme résurrection de l'ancienne barbarie russo-asiatique, est devenue évidente aujourd'hui etest partagée par le monde civilisé .

Nous n'avons pas changé notre place, et la ligne de notre conduite reste la même qu'auparavant, sans aucune variation . L'histoire a justifié notre position, la position du peuple Géorgien, et aujourd'hui notre point de vue est partagé par la démocratie mondiale .
Et, si jusqu'à maintenant, nous étions animés par l'espoir, aujourd'hui notre espoir est fondé sur une base réelle .

---..---



# სამგლოვიარო



## გარდაიცვალენ.

-------..--------

ოთხშაბათს ამა წლის 27 აგვისტოს 64 წლის ასაკში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ პარიზის საავადმყოფოში გარდაიცვალა, აწ განსვენებულ ჩვენ ამხანაგის ერასტო მაჭავარიანის ქვრივი კატია მაჭავარიანისა.
დაიკრძალა ბანიოს სასაფლაოზე.
სამძიმარს უცხადებთ მის ვაჟს ჰანრის და მისშვილიშვილს ტარიელს.

---..---

არგენტინაში: გრიშა ბუაძე.
" არჩილ გოჩიაშვილი.
ჩვენი სამძიმარი მათ ოჯახებს.

---..---

საუკუნო-იყოს ხსენება მათი.

# კალისტრატე სალია

ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 85 წლის ასაკში გარდაიცვალა კ. სალია.
საქართველოში ის იყო ახალგაზრდა მარქსისტი . საქართველოს დაპყრობის შემდეგ ის განაგრძნობდა ბრძოლას დამპყრობელთა წინააღმდეგ და, როგორც ასეთს ატუსაღებენ და მეტეხის ციხეში ათავსებენ.
1923 წელს 63 ქართველთან ერთად მას უცხოეთში ასახლებენ. საცხოვრებლად ის ირჩევს პარიზს და იწყებს ტაქსიზე მუშაობას, როგორც მძღოლი.
ის არ ივიწყებს პოლიტიკურ მუშაობასაც ,ხდება "თეთრი გიორგის"ორგანიზაციის თვალ საჩინო წევრი(ეს პოლიტიკური მოძრაობა პარიზში ჩამოყალიბდა)დროთა მსვლელობაში ის პოლიტიკას თან და თან შორდება და თავის მეუღლე ნინო სალიასთან აარსებს ქართველოგიურ ჟურნალს "ბედი ქართლისა"რომელიც შემდგომ გამოდიოდა ქართულ , ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.
ის იყო ერთად ერთი სამეცნიერო ქართველოგიური ორგანო ევროპაში, რომელშიაც იბეჭდებოდა ევროპისა და საბჭოთა ცნობილ ქართველოლოგ ორიანტალისტების წერილები.
თანახმად განსვენებულის სურვილისა მისი გვამი დაწვეს და ფერფლი მიაბარეს ლევილის ძმათა სასაფლაოს მიწას. ჩვენი სამძიმარი მის მეუღლეს ქ-ნ ნინოს.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

ზუგდიდელი.

„ჩვენი დროშა"-ს რედაქცია უღრმეს მადლობას უცხადებს ყველას, ვისი კეთილშობილებით და მეოხებით ჟურნალი განაგრძობს არსებობას.
მასალები და ფულადი დახმარება უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით :

*Pagava Levan – 3, Rue AdolpheCherioux*
**92130 ISSY LES MOULINEAUX**

შემომწირველთა სია.

1. ბ. კვარცხავას ოჯახიდან--- 1000 ფ.
2. ა. ჟორდანია-ფაღავას ხხ.- 500-
3. ხოშოს ახალშენი---------- 300-
4. კ. ინასარიძე---------- 300-
5. მარიკა ყენე------------ 200-
6. ქეთო ბარნოვი------------ 200-
7. ნ. ბედელაძე------------ 200-
8. პ. ვაშაძე-------------- 200-
9. შ. თაყაიშვილი----------- 200-
10. ყ. მორალაშვილი 25დ.ჩეკი= 181-
11. მკითხველი--------------- 154-
12. რ. გვეტაძე-------------- 150-
13. ყ. ახათიანი ------------ 100-
14. შ. ბერეჟიანი------------ 100-
15. დ. ქიმერიძე------------- 50-
16. თამარ-ტება გოლდმანი 3835 ფრ.
100- დოლარი

ნაშთის რეპორტი-- 1229 ფ.+ 3835 = 5064-
100დ. + 100დ.== 200დ.

გასავალი.

ყ. მაისის დამატებითი ნომრების ხარჯი:
400ფრ.
აგვისტოს+
ნომერი- 3890
4290ფრ

5064-4290=
= 774 ფრ.

სალაროშია:
774 ფრანკი.
+ 200 დოლარი.

# სარჩევი.

--..--

გვერდი.

1. პრეზიდენტ ნ. ჟორდანიას სურათი.
2. მამა ჩემს-- ასმათ ჟორდანიას ასული.
3. აგვისტოსათვის-- ნოე ჟორდანია.
5. ნაწყვეტები ნოე ჟორდანიას დღიურებიდან.
11-12. საქართველოს აჯანყება-- ასმათ ჟორდანიას ასული
13. სამშობლოს გმირთა ხსოვნას.
14. ხალხის რჩეული.
16. აგვისტო 1924 წელი   ლევან ფალავა.
23. 28 აგვისტო ხსოვნის დღეა--- შოთა აბაშიძე.
24. ცოტა რამ დღ. საერთაშორისო ვითარებაზე--ლ. ფალავა
36-38. მოკლედ--- ლ. ფ.
39. მილოცვა--ლ. ფ.
40. სახალხო გვარდია --- კ. ინასარიძე.
45. ვინ ან რატომ მოკლეს ილია ? მ. ბერიშვილი.
59. ყველაფერი დინებაშია. კარლო ინასარიძე.
65. რედაქციაში წერილები მოვიდა.
75. კ. ჩხეიძის გარდაცვალებიდან 60 წლის თავზე --ლ.ფ.
82. ლ. ჩხეიძის გარდაცვალება. ლ. ფ.
85. პატივცემულ მკითხველებს.
86. ბ-ნ კ. ინასარიძის წერილი "ჩ-დ"-ის რედაქტორს.
87. ქართველი თავისუფლად მოაზროვნეები.
88. დ-რ ი. კუჭუხიძის საყურადღებოთ .
89. 26 მაისის საზეიმო დღეები პარიზსა და ქ. სოშოში
92. წერილი საფ. პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანისადმი.
98. " ა ლა ფრანს" ასმათ ჟორდანია.
99. " დეკლარასიონ"
101. სამგლოვიარო .
104. "ჩ. დ."-ის შემოსავალ გასავლის ანგარიშები.
105. სარჩევი.



რედაქტორი-- ლევან ფალავა.

ჟერანი-- პროკოფ ინწკირველ

Redacteur: Levan PAGAVA
3 rue Adolphe Cherioux
92130 Issy les Moulineaux

Hors commerce

N° 109

Gérant : Pr. Intskirveli

ჰ-919